საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№46 (328)
16 - 22 დეკემბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

პოლ კრეიგ რობერტსი:

3

## თუ რუსეთი ვერ შეძლებს ევროპის გაღვიძებას, ომი გარდაუვალია

## «ძალიან მიკვირს, ყოფილი ხელისუფლების წევრებს პირდაპირ ქუჩაში რომ არ უსწორდებიან»

7




5



## არც ერთია უკრაინელი და არც — მეორე, ორივე აშშ-ის «ძაღლიშვილია»



## თურქული გამბიტი და საქართველოს მომავალი

14

## ბაიდენის ხარჯა, კორუფცია და მოპარული ნახატები

4






10

## ვნახე ყაზანი და... შემეცოდა საქართველო

9

# იოვანეს ალგორითმი

### აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე არჩევნების გაყალბების სისტემის ავტორს – ივანე კილურაძეს ამხელს

## «ინდექსმა ხომ არ გავნო, ვანო?»

ესენი გლობალიზაციის მხედრები არიან, რომელთაც თავი მეცნიერების ცის თაღზე მოციალე ვარსკვლავებად მიაჩნიათ და იმ სიმაღლიდან საქართველოს ერთ მცირე კუთხე-კუნჭულად აღიქვამენ, რომლის ხალხს, ენას, ტრადიციებს, კულტურას, მეცნიერებასა და რწმენასაც დასცინიან და არად აგდებენ. ერთი სიტყვით, ესენი არიან სხვათა მიერ დაგეშილი კოლაბორაციონისტები, საქართველო და ქართველი ხალხი რომ სძაგთ და მზად არიან, თავიანთი „მეცნიერული ნაღვაწით“ ბატონი ვანოს დარად გავნონ კიდეც...

12

ვალერი კვარაცხელია:

8

## ლენინგრადის ბლოკადის დროს რუსმა ხალხმა არნახული გმირობა გამოიჩინა. უზრდელი და გაუნათლებელია, ვინც იმ გმირულ დღეებს აბუჩად აიგდებს

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის დაწესების წინააღმდეგია



**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი მიწის — ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი იოაჰიმ ჰერმანი საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის დაწესების წინააღმდეგ გამოდის.** „იმის ნაცვლად, რომ გავიმეოროთ შეცდომები, რომელიც დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის დაწესებით დავუშვით, სჯობს, ევროპა საზღვრების დაცვის გაძლიერებით სერიოზულად დაკავდეს“, — განაცხადა **იოაჰიმ ჰერმანმა** გამოცემა Passauer Neue Presse-თვის მიცემულ ინტერვიუში. ჰერმანის მოსაზრებით, საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის გაუქმება გამოიწვევს მიგრაციული კრიზისის გამწვავებას. როგორც მან აღნიშნა, „რუსეთთან კონფლიქტის“ დაწყების შემდეგ გაიზარდა უკრაინელების რაოდენობა, რომლებმაც გერმანიას თავშესაფრის თხოვნით მიმართეს.



### კახა კახიშვილი:

## პრობაციონერებისთვის გადასახადებს ვაუქმებთ

**სასჯელაღსრულების მინისტრმა კახა კახიშვილმა მთავრობის სხდომაზე არასაპატიმრო სასჯელაღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებაზე ისაუბრა.**

„არასაპატიმრო სასჯელაღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილება შედის. ვაუქმებთ გადასახადებს. მოგეხსენებათ, პრობაციონერი, რომელიც საცხოვრებელ ადგილს იცვლის, 20 ლარს იხდის პრობაციის ბიუროში. თუ პრობაციონერი ერთი თვით იცვლის ადგილს, 50 ლარი უნდა გადაეხადა სამთვიანი ნებართვისთვის. მიგვაჩნია, რომ ეს არის უსამართლო, ამიტომ გამოვდივართ ინიციატივით, რომ ეს გადასახადები გაუქმდეს.

გარდა ამისა, გვაქვს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, ეს ის დაწესებულებაა, რომლიდანაც მსჯავრდებულებს შაბათ-კვირას შინ წასვლის საშუალება ეძლევათ. ამ დაწესებულებაში დარეგულირებული არ იყო ხანმოკლე პაემნის წრე. ახლა ხანმოკლე პაემნის წრე ფართოვდება, გარდა მშობლისა და მეუღლისა, ფართო წრეს საშუალება ეძლევა, მსჯავრდებულები მოინახულოს“, — განაცხადა კახიშვილმა.



### მირიან ნიკოლაძე:

## ზვიად ქორიძემ გამოძიებას ცრუ ჩვენება მისცა

**„კოკაინის საქმეზე“ მსჯავრდებული ანასტასია ზაუტაშვილის ადვოკატმა მირიან ნიკოლაძემ მთავარ პროკურატურაში დაკითხვის შემდეგ განაცხადა, რომ გამოძიებას მიაწოდა ყველა მტკიცებულება, რომლებითაც ელისაშვილისა და ქორიძის განცხადებები ბათილდება. მისი თქმით, ზვიად ქორიძემ გამოძიებას მისცა ცრუ ჩვენება, ამიტომ იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს.**

ნიკოლაძის განცხადებით, ანასტასია ზაუტაშვილი კატეგორიულად უარყოფს ზვიად ქორიძის განცხადებას, თითქოს ქორიძეს მსჯავრდებულმა უთხრა, რომ ეკა ბესელიას შეწყალების დაპირების სანაცვლოდ თანხა გადაეცა. ადვოკატი ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურა პასუხისგებაში არ მისცემს ალეკო ელისაშვილსა და ზვიად ქორიძეს, „კოკაინის საქმეზე“ მსჯავრდებულები უკიდურესი ზომებით, მათ შორის თვითდაზიანებებით, იმუქრებიან. ადვოკატის განცხადებით, მსჯავრდებულები მოითხოვენ, რომ საქმე 1 იანვრამდე გამოიძიონ და დამნაშავეები დასაჯონ.

WPB World Prison Brief

ICPR Institute for Criminal Policy Research



## საქართველო პატიმრების რაოდენობით მსოფლიოში 93-ე ადგილზეა,

## მსოფლიოში პატიმართა 25% სასჯელს აშშ-ის ციხეებში იხდის



**საპატიმროების კვლევის საერთაშორისო ცენტრმა (WPB), რომელიც ახლახან შეუერთდა სისხლის სამართლის პოლიტიკის კვლევის ცენტრს (ICPR), გამოაქვეყნა 2015 წლის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც საქართველოში ყოველ 100 ათას მცხოვრებზე 274 პატიმარი მოდის.**

საპატიმროების კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ სიაში საქართველო მე-40 ადგილზეა, ლიდერი კი არის სეიშელი — 799 პატიმარი 100 ათას მცხოვრებზ;. მეორე ადგილზეა აშშ — 698 პატიმარი 100 ათას მცხოვრებზე.

**ICPR-ის მონაცემებით, ამჟამად აშშ-ში 2,2 მლნ პატიმარია** (აშშ-ის ციხეებში სასჯელს იხდის მსოფლიოს პატიმართა 25%), ჩინეთში — 1,6 მლნ, რუსეთში კი — 3,5-ჯერ ნაკლები, ვიდრე აშშ-ში — 642,4 ათასი.

ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო 93-ე ადგილზეა (10236 პატიმარი).

**P.S.** სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ახლახან გავრცელებული განცხადების თანახმად, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში აღმოიფხვრა პატიმართა წამებისა და არასათანადო მოპყრობის სისტემური პრობლემა; გაუმჯობესდა ბრალდებულთა და მსჯავრდადებულთა საცხოვრებელი პირობები. ბრალდებულთათვის მინიმალური ფართობი გაიზარდა 4 კვ.მ-მდე; გაიზარდა პაემნების რაოდენობა და გაფართოვდა გარე სამყაროსთან ურთიერთობის შესაძლებლობა; ორჯერ გაიზარდა პენიტენციური ჯანდაცვის ბიუჯეტი. შედეგად, პატიმართა სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა 144-დან (2011 წ.) 12 შემთხვევამდე შემცირდა (2015წ.).




## «ქართველების ეს ბანდა ჩამოსულია გასტროლებზე, როგორც საცირკო დასი ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში»

**უკრაინის უმაღლესი რადას სხდომაზე დეპუტატმა დიმიტრი გოლუბოვმა (ფრაქცია „პეტრო პოროშენკოს ბლოკი“, „უკრაინის ინტერნეტპარტიის“ ლიდერი) ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი, მისი გუნდი და შსს-ს ოდესის ოლქის სამმართველოს ხელმძღვანელი გია ლორთქიფანიძე კორუფციაში დაადანაშაულა.**

„მოგეხსენებათ, 30 მაისიდან ოდესაში მუშაობს ქართველ რეფორმატორთა ბანდა, საქართველოს მთავარი რეფორმატორიეს — მიხო სასწაულმოქმედის ხელმძღვანელობით.... 12 ნოემბერს გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილის გუნდი ძარცვავს საქველმოქმედო ფონდს, რომელიც მეომართა სარეაბილიტაციოდ არის განკუთვნილი. ამ ფულით აწყობენ ბანკეტებს, ყიდულობენ ძვირად ღირებულ ავტომობილებს, იძახებენ მომღერლებს იტალიიდან, თბილისიდან და გასართობ ღონისძიებებს ატარებენ, ფანტავენ ფულს საკუთარი პიარისთვის და ა.შ. მაგალითად, 190 000 გრივნა ამ ფონდიდან დაიხარჯა ფურშეტისთვის „ბრისტოლში“, 3 მილიონი სამი დღის მანძილზე გადაერიცხა სააკაშვილის პირადი პიარისთვის ტელეარხს „ინტერს“, 4 მილიონი გრივნით შეიძინეს 6 ავტომობილი რეფორმატორების კორტეჟისთვის. 30 000 დაჯდა საწვავი; როგორც გამოირკვა, ფონდის ფულით შეიძინეს სააკაშვილის პირადი მცველების — გიორგი რუბაშვილისა და გიორგი ცინცაძის თვითმფრინავის ბილეთები. მაგრამ ყველაზე მთავარია, რომ სამხედროების სარეაბილიტაციო ფონდის ხარჯზე იმგზავრა ოდესის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა, მილიციის გენერალ-მაიორმა ლორთქიფანიძემ, ეს კი კორუფციული დანაშაულის გამოვლინებაა.... მოვითხოვ ანტიკორუფციული პროკურორისგან, დაუყოვნებლივ გამოიკვლიოს აღნიშნული ფაქტი და მისცეს სათანადო შეფასება, რადგან ეს არის სამართალდარღვევა. ამ ადამიანმა უნდა გაწმინდოს მილიციელთა რიგები?! რა წმენდა! რისი რეფორმები?! ნამდვილი „რეკეტიორები“ არიან, მექრთამეები, კანონიერი ქურდები!... დროა, ყველამ გაიგოს, რომ ქართველების ეს ბანდა ჩამოსულია გასტროლებზე, როგორც საცირკო დასი ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში და აგროვებს ფულს საქართველოში არჩევნებისთვის. ესენი წავლენ და მათ შემდეგ დარჩება გაფლანგული ფული, კორუფციული გარიგებები და სირცხვილი, რომელსაც ჩვენს გუნდს მიაწერენ“, — განაცხადა გოლუბოვმა.



## «სერგო, აკო, მაკო, კაკო და ჩიორაბელურები მაინც ვერ დაბრუნდებიან»

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის — ომარ ნიშნიანიძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს არჩევნებში გამარჯვებაზე საუბრის საფუძველს ტკბილი სიზმარი აძლევთ.**

„უნდა გავაწბილო ისინი და ვუთხრა, რომ ვერ ეღირსებიან სანუკვარი ოცნების ასრულებას. ამაში მათივე წარსული შეუშლის ხელს. ის ავბედითი 9 წელი ყველას ძალიან მწარედ ახსოვს საქართველოში. ხშირად გვსაყვედურობენ, არ უნდა დაანებოთ ამ 9 წელზე საუბარს თავიო? სხვებისა არ ვიცი და, მე არ ვაპირებ ამის დავიწყებას. როგორც ისტორიკოსი, თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ეს პერიოდი ხშირად გავიხსენო, რათა ასეთი რეჟიმი აღარასოდეს დაბრუნდეს. შეიძლება ჩვენ არჩევნები წავაგოთ, მაგრამ სერგო, აკო, მაკო კაკო, ჩიორაბელურები მაინც ვერ დაბრუნდებიან. ჩვენ რომ გვიკიჟინებენ, შეეგუეთ წაგებასო, თავად არჩევნებამდე მიაღწევენ? ჩვენთვის რჩევების მიცემას, ურჩევნიათ, ამაზე იფიქრონ“, — განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ გაზეთ „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.



## მორიგი ტერორისტული აქტი საფრანგეთში

**საფრანგეთში კიდევ ერთი ტერორისტული აქტი განხორციელდა. ნიღბიანი მამაკაცი „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით საბავშო ბაღში შეიჭრა და აღმზრდელს ყელი გამოსჭრა, შემდეგ კი მიიმალა.** შემთხვევა პარიზის გარეუბან სენ-დენში მოხდა. საფრანგეთის პოლიცია და ანტიტერორისტული ქვედანაყოფები საშუალო ასაკის მამაკაცს ეძებენ.



ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### პოლ კრეიგ რობერტსი:

# ვაშინგტონს მსოფლიო არმაგედონისკენ მიჰყავს, ევროპა კი ინსტრუმენტია

**ცნობილი ამერიკელი ეკონომისტისა და პუბლიცისტის — პოლ კრეიგ რობერტსის აზრით, რუსეთის განზრახვა, ომი თავიდან აიცილოს, საერთაშორისო ვითარებას ძაბავს.**

## «თუ რუსეთი ვერ შეძლებს ევროპის გაღვიძებას, ომი გარდაუვალია»



„28 სექტემბერს, გაეროს 70 წლისთავის იუბილეზე სიტყვით გამოსვლისას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი აღარ მოითმენს მსოფლიოში შექმნილ ვითარებას. ორი დღის შემდეგ კი, სირიის მთავრობის მოწვევით, რუსეთმა დაიწყო ომი დაიშის (დაიში — ად დაულია ალ-ისლამია ფილ ირაკ უა აშ-შამ, ანუ „ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფო“. შამი — არაბული სახელწოდებაა ლევანტის, ტერიტორიისა, რომელიც აერთიანებს სირიას, ლიბანსა და პალესტინას. დაიში — ეს არის იგივე „ისლამური სახელმწიფო“) წინააღმდეგ. **რუსეთმა წარმატებას მიაღწია „ისლამური სახელმწიფოს“ ბაზების განადგურების საქმეში და დაეხმარა სირიის არმიას, დაებრუნებინა „ბოევიკების“ მიერ მიტაცებული რაიონები. რუსეთმა გაანადგურა ათასობით ბენზინმზიდი, რომელთა დახმარებითაც „ისლამურ სახელმწიფოს“ მოპარული სირიული ნავთობი თურქეთში გადაჰქონდა იმ განგსტერის ოჯახისთვის, რომელიც ამჟამად თურქეთს მართავს.**

რუსეთის გაბედული მოქმედება მოულოდნელი იყო ვაშინგტონისთვის. იმის შიშით, რომ რუსეთის სწრაფი წარმატება ხელს შეუშლის ამერიკისა და ნატოს ვასალებს ასადის წინააღმდეგ ომის წარმოებაში, ხოლო მარიონეტულ მთავრობას კიევში რუსეთისთვის ბორბლებში ჯოხის გაჩხერაში, ვაშინგტონმა თურქეთის ხელით მოაწყო რუსეთის ბომბდამშენის ჩამოგდება. ეს მოხდა რუსეთისა და ნატოს შეთანხმების მიუხედავად, რომლის მიხედვით თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული ინციდენტი რუსეთის ავიაციის მოქმედების ზონაში.

უარყო რა თავისი მონაწილეობა, ვაშინგტონმა ისარგებლა თვითმფრინავის ჩამოგდებაზე რუსეთის თავშეკავებული რეაქციით, ხოლო თურქეთმა არც კი მოიბოდიშა და დაიწყო ევროპის დარწმუნება, რომ რუსეთი ქაღალდის ვეფხვია და რომ რუსეთზე ზემოქმედება ახლო აღმოსავლეთის, უკრაინის, საქართველოს, ჩერნოგორიისა და ა.შ. საკითხებზე რისკის შემცველი არ არის. ამერიკელთა რამდენიმე დღის წინანდელი შეტევა ასადის მეომრებზე სწორედ იმას ემსახურებოდა, რომ გაემყარებინა თვალსაზრისი: რუსეთის საქციელი, რომელიც პასუხისმგებლობის გაცნობიერებიდან გამომდინარეობს და ომის აცილებისკენ არის მიმართული, შიშისა და სისუსტის ნიშანია.

რუსეთის თავშეკავებული პასუხი პროვოკაციებზე მათ მომწყობებს კიდევ უფრო მეტი პროვოკაციის ჩადენისკენ აქეზებს. ვაშინგტონმა და მისმა გულუბრყვილო ვასალებმა კაცობრიობა მიიყვანეს ძალიან საშიში ვითარების ზღვარზე, როდესაც რუსეთი და ჩინეთი არჩევანის წინაშე დააყენეს: დათანხმდნენ ამერიკის ვასალობას ან მოემზადონ ომისთვის.

**«რუსეთმა წარმატებას მიაღწია «ისლამური სახელმწიფოს» საწყობების განადგურების საქმეში და დაეხმარა სირიის არმიას, დაებრუნებინა «ბოევიკების» მიერ მიტაცებული რაიონები. რუსეთმა გაანადგურა ათასობით ბენზინმზიდი, რომელთა დახმარებითაც «ისლამურ სახელმწიფოს» მოპარული სირიული ნავთობი თურქეთში გადაჰქონდა იმ განგსტერის ოჯახისთვის, რომელიც ამჟამად თურქეთს მართავს»**

რუსეთის მთავრობამ ფსონი დიპლომატიურ მიდგომაზე დადო და ევროპის ქვეყნების მთავრობებს მიმართა. კრემლს იმედი ჰქონდა, რომ ევროპის ქვეყნების მთავრობები გააცნობიერებდნენ, რომ მათი ინტერესები სულ უფრო შორდება აშშ-ის ინტერესებს, მაგრამ ამ პოლიტიკამ საკუთარი თავი ამოწურა.

ახლა მსოფლიო პარადოქსული ვითარების მომსწრეა: რუსეთის გაბედული გადაწყვეტილება, თავიდან აიცილოს ომი, მას (და არამხოლოდ) სწორედ ომისკენ უბიძგებს.

ეჭვგარეშეა, რომ ვაშინგტონს მსოფლიო არმაგედონისკენ მიჰყავს, ევროპა კი ამ საქმეში მხოლოდ ინსტრუმენტია. თუ რუსეთი ვერ შეძლებს ევროპის გაღვიძებას, ომი გარდაუვალია“.



## ჯონ კერი: რუსეთისა და აშშ-ის თანამშრომლობით მსოფლიო მოიგებს

**15 დეკემბერს მოსკოვში რფ-ის საგარეო მინისტრ სერგეი ლავროვისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის შეხვედრა გაიმართა.** შეხვედრის წინ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ მსოფლიოსთვის აუცილებელია, ვაშინგტონმა და მოსკოვმა შეხების წერტილები გამონახონ, ლავროვმა კი ხაზი გაუსვა იმას, რომ ტერორიზმის პრობლემა გაცილებით ფრთოა, ვიდრე სირიის პრობლემატიკა.

„ჩვენს ქვეყნებს შორის, რა თქმა უნდა, არის უთანხმოება, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენ ყველას დავანახვეთ, რომ შეგვიძლია, ეფექტიანად ვითანამშრომლოთ. მსოფლიოს სჭირდება, რომ ორმა ზესახელმწიფომ შეხების წერტილები გამონახოს“, — განაცხადა ჯონ კერიმ.

## ყველაზე მატყუარა პოლიტიკოსები



**დასავლელი პოლიტიკოსების ერთ-ერთი თვისება ტყუილის თქმაა. მხოლოდ ჰიტლერი რად ღირს, რომელმაც ცრუ თეორიებით გერმანელთა მთელი თაობა გააბრუა და აიძულა, სხვა ადამიანები დაეხოცა. ახლაც იგივე ხდება, ოღონდ — შეფარულად.**

პროპაგანდისტული კამპანია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ იმისთვის სჭირდებათ, რომ ამ ქვეყნებში წინააღმდეგობის გაუწევლად შეიყვანონ ჯარები და დასაჯონ დამნაშავე „დიქტატორები“, დახოცონ მშვიდობიანი მოქალაქეები, გაძარცვონ სახელმწიფოები და დაეპატრონონ მათ სიმდიდრეებს. დასავლელი პოლიტიკოსები ტყუილებით კვებავენ, პირველ რიგში, თავიანთი ქვეყნების მოქალაქეებს, ცდილობენ, დაარწმუნონ ისინი, რომ მათი ხელისუფლება ერთადერთ სწორ პოზიციას იკავებს და აუცილებელია ჯარების გაგზავნა სირიაში. იქ ხომ დიქტატორი და ტერორისტები არიან?!

თუმცა, როგორც გაირკვა, ამ სატყუარას ბევრი არ ყლაპავს.

გერმანულმა გამოცემამ **ALLES SCHALL UND RAUCH**-მა თავისი მკითხველების საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა საკითხზე — **„ვინ არის წლის მთავარი მატყუარა?“**

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, წლის მთავარი მატყუარა არის გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი (39%)**, მეორე ადგილზეა აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა (21%),** მესამეზე — თურქეთის პრეზიდენტი **რეჯეფ თაიფ ერდოღანი (18%)**, მეოთხეზე — ისრაელის პრემიერმინისტრი **ბენიამინ ნეთანიაჰუ (8%)**, მეხუთეზე — უკრაინის პრეზიდენტი **პეტრე პოროშენკო (7%).**

გამოკითხვაში მონაწილეობდა 40 ქვეყნის 3000 მოქალაქე.

„2015 წლის მთავარი მატყუარას“ კანდიდატებად გამოცემამ დაასახელა: იაპონიის პრემიერმინისტრი **სინძო აბე,** დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **დევიდ კემერონი,** ისრაელის პრემიერმინისტრი **ბენიამინ ნეთანიაჰუ**, უნგრეთის მთავრობის მეთაური **ვიქტორ ორბანი**, საბერძნეთის პრემიერმინისტრი **ალექსის ციპრასი**, თურქეთის პრეზიდენტი **რეჯეფ თაიფ ერდოღანი**, საფრანგეთის პრეზიდენტი **ფრანსუა ოლანდი**, სირიის პრეზიდენტი **ბაშარ ასადი**, აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა**, უკრაინის პრეზიდენტი **პეტრე პოროშენკო**, რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი,** ირანის პრეზიდენტი **ჰასან რუჰანი**, შვეიცარიის პრეზიდენტი **სიმონეტა სომორუგა,** ავსტრიის კანცლერი **ვერნერ ფაიმანი** და გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი,** რომელმაც პირველი ადგილი დაიმსახურა. **ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ ანგელა მერკელი ყველაზე მატყუარა პოლიტიკოსია, ჟურნალმა „თაიმმა“ ის „წლის ადამიანად“ დაასახელა.**

ყველაფერი თავდაყირა დადგა და ყველაფერი ისე ხდება, როგორც ინგლისელი მწერლის — ჯორჯ ორუელის წიგნებში: „ომი — ეს არის მშვიდობა, ტყუილი — ეს არის სიმართლე!“

**P.S. საინტერესოა, რომელ ადგილს დაიკავებდა ამ გამოკითხვაში მიხეილ სააკაშვილი, რომელიც 2008 წელს გვიმტკიცებდა, რუსეთთან ომში გავიმარჯვეთო, და ამის აღსანიშნავად ტაშ-ფანდურაც კი გამართა რუსთაველის პროსპექტზე, ახლახან კი კიეველებს უმტკიცებდა, პატიოსნების მეტი არაფერი გამაჩნიაო.**

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც ჰანტერ ბაიდენი უკრაინის უდიდესი ენერგეტიკული კომპანია BURISMA-ს დირექტორთა საბჭოში შეიყვანეს, ამ თემაზე ბევრს წერდნენ აშშ-ში, მაგრამ არავინ ახსენებდა კორუფციულ სქემებს, ახლა კი, როგორც ჩანს, სიტუაცია შეიცვალა — ამერიკის წამყვანი გამოცემა ასე „თავხედურად“ წერს კორუფციულ სქემებზე, რომლებშიც აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის შვილი, ჰანტერ ბაიდენი, მონაწილეობს.**

# ბაიდენის ხარჭა, კორუფცია და მოპარული ნახატები



**7-8 დეკემბერს უკრაინის დედაქალაქ კიევში აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ჯოზეფ(ჯო) ბაიდენის ვიზიტმა კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა ამერიკელთა დამოკიდებულება თავიანთი ვასალების მიმართ და პირიქით — ვასალების დამოკიდებულება სიუზერენის მიმართ, როგორ შესციცინებენ ვასალები თავიანთ სიუზერენს თვალებში იმედით, რომ იქნებ გამოხრული ძვალი გადაუგდოს... ეს შეიძლება ითქვას არა მხოლოდ უკრაინაზე, არამედ საქართველოზეც, სადაც ყველაფერს აშშ-ის ელჩი აკონტროლებს, სადაც თავდაცვის მინისტრი ამერიკის ელჩის თითის აქნევით (პირველ მოქალაქე ივანიშვილთან ყავის სმის დროს) ინიშნება, სადაც სისხლისმსმელ ჯალათსა და ცოცხით გამაუპატიურებელს, ამერიკელთა ძალისხმევით, „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებენ, სადაც საშიშ ამერიკულ ბიოლოგიურ ლაბორატორიას ისე ამუშავებენ, რომ მოსახლეობას არაფერს ეკითხებიან, სადაც ამერიკელთა ფულით ნაკვებ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოს პატრიარქსა და ყოველივე ქართულზე იერიში იერიშზე მიაქვთ და სადაც დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული ამერიკელები ცდილობენ ქართველების, როგორც ერის, განადგურებას მართლმადიდებლური ღირებულებების მოშლითა და ე.წ. ლგბტ ღირებულებების დაკანონებით...**




## ხარჭასა და შვილს შორის

რამდენიმე დღის წინათ უკრაინის დედაქალაქ კიევში ჩასულმა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მოლაპარაკებები გამართა უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოსა და პრემიერ არსენი იაცენიუკთან, შემდეგ კი უკრაინის პარლამენტში სიტყვით გამოვიდა და განაცხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოსთან უფრო ხშირად ურთიერთობს, ვიდრე თავის ცოლთან, და რომ უკრაინა კვლავაც რჩება აშშ-ის ხელმძღვანელობის მკაცრი მეთვალყურეობის ზონაში(?!). **„მე და პოროშენკომ, ალბათ, ათას საათზე მეტი დრო გავატარეთ სატელეფონო საუბრებში“,** — განაცხადა ბაიდენმა, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, რაზე საუბრობდა პოროშენკოსთან — სასიყვარულო თემაზე, სამხედროზე თუ ფინანსურ დახმარებაზე.

ისე, **ათასი საათი დაახლოებით 41 დღეა და ამდენ ხანს, ალბათ, ხარჭასაც არავინ ესაუბრება, თანაც — ტელეფონით...**

**თუმცა, ჯო ბაიდენის ეს ფრაზა, ალბათ, იმაზე მიანიშნებდა, რომ აშშ-ს ყელში ამოუვიდა უკრაინა და მისი პრობლემები.** ნიშანდობლივია, რომ პარიზში გამართულ საერთაშორისო შეხვედრაზე, რომელიც კლიმატის პრობლემებს მიეძღვნა, ფოტოების გადაღების ცერემონიის წინ, აშშ-ის პრეზიდენტმა **ობამამ** ყველა სახელმწიფოს ლიდერს ჩამოართვა ხელი, მაგრამ პოროშენკოსკენ არც გაუხედავს. ეს კი უკრაინის მიმართ აშშ-ის პოზიციის ცვლილებაზე მიანიშნებს...

შემდეგ სააკაშვილის მეგობარმა (ასე ამბობს თვითონ სააკაშვილი) ჯო ბაიდენმა უკრაინელებს მოუწოდა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანებისკენ“, რადგან „კორუფცია ძალიან ამუხრუჭებს პროგრესს უკრაინაში“.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტს, ეტყობა, „დაავიწყდა“, რომ ამერიკული გამოცემები (არა მხოლოდ) თვითონ მას ადანაშაულებენ კორუფციაში. მაგალითად, **THE NEW YORK TIMES**-ი წერს: **„იმ დროს, როცა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი უკრაინის ხელისუფლებას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისკენ მოუწოდებდა, მისი შვილის — ჰანტერ ბაიდენის კავშირი ბუნებრივი აირის მწარმოებელი უკრაინის უდიდეს კომპანია BURISMA HOLDING-თან, მამის განზრახვის (კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის — ნ.კ.) გულწრფელობის მიმართ ეჭვს აჩენს“.**

45 წლის **ჰანტერ ბაიდენი** ზემოაღნიშნული კომპანიის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში 2014 წლის აპრილში შევიდა. სწორედ მაშინ გაყინეს ლონდონში 23 მლნ დოლარის საბანკო ანგარიშები, რომლებიც თითქოს ამ კომპანიის მფლობელს, ვიქტორ იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდში ეკოლოგიის მინისტრს, მილიონერ ნიკოლაი ზლოჩევსკის ეკუთვნოდა, მაგრამ უკრაინელმა პროკურორებმა უარი თქვეს ბრიტანელი გამომძიებლებისთვის სათანადო დოკუმენტების მიწოდებაზე და ლონდონის სასამართლო იძულებული შეიქნა, ყადაღა მოეხსნა ანგარიშებისთვის.

**როდესაც ჰანტერ ბაიდენი უკრაინის უდიდესი ენერგეტიკული კომპანია BURISMA-ს დირექტორთა საბჭოში შეიყვანეს, ამ თემაზე ბევრს წერდნენ აშშ-ში, მაგრამ არავინ ახსენებდა კორუფციულ სქემებს, ახლა კი, როგორც ჩანს, სიტუაცია შეიცვალა — ამერიკის წამყვანი გამოცემა ასე „თავხედურად“ წერს კორუფციულ სქემებზე, რომლებშიც აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის შვილი, ჰანტერ ბაიდენი, მონაწილეობს.**

საერთოდ კი, **ჯო ბაიდენი უკრაინაში აშშ-ის პოლიტიკის რეალიზაციის საქმეში მთავარი ფიგურაა. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი არც მალავს, რომ სწორედ ის წყვეტს საკადრო საკითხებს უკრაინის მთავრობაში. მისმა შვილმა კი საკვანძო თანამდებობა დაიკავა უკრაინის უდიდეს ენერგეტიკულ კომპანიაში. და ეს არის წმინდა წყლის კორუფცია — ჯო ბაიდენი თავისი ოჯახის გასამდიდრებლად პოლიტიკურ ძალაუფლებას იყენებს.**

## გადაგდება – დახმარება ამერიკულად

კიევში მეხუთედ ჩასულმა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა უკრაინელებს 190 მილიონი დოლარით დახმარების დაპირებაც ჩაუტანა (ამით აშშ-ის დახმარება უკრაინისადმი 760 მლნ დოლარს მიაღწევს), მაგრამ ყველა მიხვდა, რომ ეს დოლარები დარჩება იქ, სადაც არის და უკრაინის საბიუჯეტო სისტემაში არ მოხვდება — ამ „მიზნობრივ“ ფულს ვერც უკრაინის პრემიერი იაცენიუკი იხილავს და ვერც პრეზიდენტი პოროშენკო, უკრაინელ ხალხზე ხომ ლაპარაკი, საერთოდ, არ არის.

სხვათა შორის, **პოროშენკო აშშ-ისგან მილიარდ დოლარს ითხოვდა.**

ბაიდენის დაპირება არის პაწაწინა ტკბილი აბი, იმისათვის გაცემული, რომ შეამციროს სიმწარე უკრაინელებისა, რომლებიც ხედავენ დასავლეთის მიერ პოროშენკოს რეჟიმის დაფინანსებაზე ოცნების კრახს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით, უკრაინას 2015-2018 წლებში სხვადასხვა წყაროდან 40 მლრდ დოლარის დახმარება უნდა მიეღო. ამას გარდა, გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ვალის რესტრუქტურიზაცია (15,3 მლრდ), ევროკავშირის კრედიტები (2,5 მლრდ), აშშ-ის კრედიტები (2 მლრდ), დახმარების თანხები წლების მიხედვითაა გაწერილი. კერძოდ, **2015 წელს ევროკავშირს უკრაინისთვის 1,8 მლრდ დოლარის ოდენობით კრედიტი უნდა მიეცა, აშშ-ს — 2 მლრდ დოლარის, მაგრამ წლის ბოლომდე 2 კვირა რჩება და ამ კრედიტებზე არაფერი ისმის. არაფერი ისმის საერთაშორისო სავალუტო ფონდისგანაც, რომელიც ვალდებულია გააკონტროლოს, როგორ სრულდება უკრაინის დაფინანსების პროგრამა.** მოკლედ, ის, რაც დამართა დასავლეთმა უკრაინას, შეიძლება ერთი სიტყვით გამოიხატოს: **გადააგდეს!** ასეთია არსებობისთვის ბრძოლის მეთოდი, რომლითაც დასავლურმა ცივილიზაციამ აქამდე მოაღწია, თუმცა ეს უკრაინელებისთვის შვების მომგვრელი არ არის. და **ეკონომიკაგაპარტახებულმა და ტერიტორიებშემოძარცულმა უკრაინამ მოპარული ფერწერული ტილოებით ვაჭრობა დაიწყო ჰოლანდიასთან, ამან კი ჰოლანდიელთა განრისხება გამოიწვია.**

## დილით – ფული, საღამოს – მოპარული ნახატები

„ველურობის ეპიზოდი, რომელიც დაკავშირებულია ძველი ჰოლანდიელი მხატვრების ფერწერული ტილოების პოვნასთან უკრაინაში და ამ ტილოების გაყიდვაზე მოლაპარაკებების გამართვასთან, ნათლად წარმოაჩენს, რა დიდი გზა უნდა გაიაროს უკრაინამ, რომ ევროპელ ერად იქცეს — და ეს ამბავი ხსნის, რატომ შიშობენ ჰოლანდიელები ევროკავშირთან უკრაინის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას“, — წერს Blumberg View-ი.

ლაპარაკია XVIII საუკუნის ე.წ. პატარა ჰოლანდიელების — **იან ვან გოიენის, იაკობ ვაზენის, მათიას ვიტჰოოსის, იან რეიტშოოფის, იან ლინსენისა** და **გერმან ჰენსტენბურგის** 24 ნახატზე, რომლებიც 2005 წელს მოიპარეს ჰოლანდიის ქალაქ ჰორნის დასავლეთ ფრისლანდიის მუზეუმიდან. მუზეუმის წარმომადგენლები ზარალს 10 მლნ დოლარად აფასებენ. ეს ნახატები იპოვეს უკრაინაში, მუზეუმის თანამშრომლებმა კი ეს ამბავი შეიტყვეს კიევში, ჰოლანდიის საელჩოში მისული ორი უკრაინელისგან, რომლებიც საელჩოს თანამშრომლებს უკრაინელი მოხალისეების ბატალიონების წარმომადგენლებად წარუდგნენ. მათ განაცხადეს, რომ აქვთ ჰოლანდიური მუზეუმიდან მოპარული ყველა ნახატი. ეს ბატალიონი, რომელიც უკრაინელი ნაციონალისტებისგან შედგება, მჭიდროდ არის დაკავშირებული „მემარჯვენე სექტორთან“.

ჰოლანდიური მუზეუმის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისაუბრეს **ბორის გუმენიუკთან, რომელიც მათ ბატალიონის მეთაურად წარუდგა და ნახატების დაბრუნების საფასურად 50 მლნ ევრო მოითხოვა, ანუ 5-ჯერ მეტი, ვიდრე ტილოები ღირს.** ამასთანავე, მუზეუმის თანამშრომელთა განცხადებით, გამოძალვის მცდელობაში გარეულია არა მხოლოდ გუმენიუკი, არამედ უკრაინის სპეცსამსახურების წარმომადგენლები და პოლიტიკოსებიც, კერძოდ, ნაციონალური პარტია „სვობოდას“ ლიდერი **ოლეგ ტიაგნიბოკი** და უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი **ვალენტინ ნალივაიჩენკო.** მოლაპარაკების შედეგებით იმედგაცრუებულმა დასავლეთ ფრისლანდიის მუზეუმის დირექტორმა ედ გირდინკმა, რომელიც ვარაუდობს, რომ ტილოები აღმოსავლეთ უკრაინაში, ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაციის ზონაში მოქმედი სახმელეთო რაზმების წარმომადგენელთა ხელშია, განაცხადა: **„მივმართავ იმ ადამიანებს, რომელთა ხელშიც აღმოჩნდა ჩვენთვის მოპარული ფასეულობები, აგრეთვე, მათ, ვინც იცის, სადაც ინახება ეს ფასეულობები. ისინი თქვენ არ გეკუთვნით და თქვენ არ შეგიძლიათ, ამ ფასეულობებით ივაჭროთ. ეს ის არ არის, რისი გაცვლაც შეიძლება „აყროლებულ“ ფულზე. ეს ხელოვნების ნაწარმოებებია — ნაწილი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისა, ჩვენი ისტორიისა და ის აქ უნდა იყოს“.**

ეს ამბავი, რომელიც ჰოლანდიაში ფართოდ გაშუქდა, ნამდვილად ვერ შეაყვარებს უკრაინას ჰოლანდიელებს, რომლებმაც უკვე 427 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს ევროკავშირთან უკრაინის ასოცირების რატიფიკაციის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე და ამ საკითხს ჰოლანდიის პარლამენტი 2016 წლის აპრილში განიხილავს.

უკრაინის ხელისუფლებას კი ისღა დარჩენია, იფიქროს, რა მოუხერხოს ამ ნახატებს. **უკრაინა იარაღით სავსე ქვეყანაა და ეს იარაღი (ისევე, როგორც ჰოლანდიელი ოსტატების ტილოები) ამჟამად აქვთ რადიკალური დაჯგუფებების წარმომადგენლებს, რომლებიც ამჟამინდელი ხელისუფლებისადმი დიდი პატივისცემით არ გამოირჩევიან.** მათ წინააღმდეგ კი მკაცრი ზომების გატარება საფრთხილოა: უკრაინელი მოხალისე ნაციონალისტები ხომ იანუკოვიჩის რეჟიმის დასამხობად გამოიყენეს და მათი პროვოცირება შეიძლება საბედნიერო აღმოჩნდეს პოროშენკოს რეჟიმისთვის.

ნიკა კორინთელი

* ცნობისათვის: პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩ შარიკოვი მიხეილ ბულგაკოვის მოთხრობის „ძაღლის გულის“ პერსონაჟია. ის თავდაპირველად უჯიშო მაწანწალა ძაღლი იყო, ოპერაციის შედეგად კი ძაღლი, რომელსაც ადამიანის ჰიპოფიზი და მამაკაცის საკვერცხეები გადაუნერგეს, ადამიანად იქცა, ბოლოს კი ისევ ოპერაციით — კვლავ ძაღლად. შარიკოვს უწოდებენ თავხედ, გაუნათლებელ და არაკომპეტენტურ ადამიანს, რომელიც მიზეზთა გამო სახელისუფლო სტრუქტურებში აღმოჩნდა.

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არც ერთია უკრაინელი და არც — მეორე, ორივე აშშ-ის «ძაღლისშვილია»





## «პატიოსან», მაგრამ «გასტროლიორ» სააკაშვილს სახეში წყალი შეასხეს

**აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის ვიზიტმა უკრაინაში პოლიტიკური ვითარება დაძაბა. ორიოდე დღის წინათ უკრაინის რადაში გამართული უკრაინის რეფორმების საბჭოს სხდომა, რომელსაც პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო და პრემიერი არსენი იაცენიუკი ესწრებოდნენ, სკანდალით დასრულდა. უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა არსენ ავაქოვმა ოდესის ოლქის გუბერნატორს, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ჯერ ქურდი უწოდა, შემდეგ კი ყვირილით „გაეთრიე ჩემი ქვეყნიდან!“-ო სახეში წყალი შეასხა.**

„ბატონმა სააკაშვილმა ჩემს კითხვაზე — რატომ მიმართა ოდესის პორტთან არსებული ქარხნის შესახებ რუს ოლიგარქს „ურალხიმიდან“ და როგორ არის ეს დაკავშირებული ამ ქარხნის პრივატიზაციასთან — საკუთარი თავის კონტროლი დაკარგა. ოდესის გუბერნატორს ისტერიკა დაემართა და ამიყვირდა: „არავის აქვს უფლება, მიხეილ სააკაშვილს ასე ელაპარაკოს... შენ კორუფცირებული მინისტრი ხარ, მე კი — პატიოსანი ადამიანი“ და პირდაპირ შეურაცხყოფაზე გადმოვიდა. თავი შევიკავე, მისთვის ხელი რომ არ დამერტყა და სახეში წყალი შევასხი. დიდი ხანია, არ მინახავს ასეთი გაშიზოიდებული პოპულისტი... არაფრის თქმის საშუალებას არ იძლეოდა, სიტყვას ყველას აწყვეტინებდა, მათ შორის, პრეზიდენტსაც.

**სააკაშვილი არის ყბედი, რომელიც პასუხს არაფერზე აგებს... საკმარისია არტისტები და ცირკის კლოუნები.** საჭიროა მუხლჩაუხრელი მუშაობა და არა — ბაქიბუქი. უხერხული კითხვები ისტერიკას იწვევს? — ყელში ამოვიდა... არ ვაპირებ, ავიტანო აგრესიული არამზადის უზრდელობა, რომელიც ხმაურიან საბაბს ეძებს პოსტის დასატოვებლად, რადგან თავის უშუალო ადგილზე საქმე ჩააფლავა. არ ვაპირებ, ავიტანო ხეპრე, რომელიც ჩემს ქვეყანას ატყუებს ლამაზი პოზით — ის სუფთაა, სხვა ყველა კი ნეხვშია ამოსვრილი... კორუფცირებულებზე თვეობით კი არ უნდა ილაპარაკო ფაქტების წარმდგენის გარეშე, არამედ ისინი ციხეში უნდა ჩასვა. ან რა, ოდესის პორტთან არსებული ქარხნით საყვარელიძე არ არის დაკავებული? ოღონდ რა შუაშია აქ სააკაშვილის საუბრები რუსულ „ურალხიმთან“? ოდესის პორტთან არსებული ქარხანა საჯაროდ უნდა გაიყიდოს დასავლურ სახელოვან კომპანიაზე და არა ოფშორზე რუსი ოლიგარქისა, რომელთანაც ჩუმჩუმად ლაპარაკობენ მაღალფარდოვან ფრაზებს ამოფარებული მაღალჩინოსნები.

უბრალოდ, საჭირო იყო სააკაშვილისთვის პასუხის გაცემა... მან კი აიწყვიტა... უწყინარმა კითხვამ ისტერიკა და შეურაცხყოფა გამოიწვია... ქურდს ქუდი ეწვის?!“ — დაწერა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა არსენი ავაქოვმა სოციალურ ქსელში.

**რეფორმების სხდომაზე მომხდარ კონფლიქტში უკრაინის პრემიერმინისტრი არსენი იაცენიუკიც ჩაერია. მან სააკაშვილს „გასტროლიორი“ უწოდა და ქვეყნის დატოვება მოსთხოვა.**

ოდესის პორტთან არსებული ქარხანა, რომელიც განხეთქილების ვაშლად იქცა სააკაშვილსა და იაცენიუკს შორის, უკრაინაში ქიმიური დარგის უდიდესი სახელმწიფო საწარმოა. იქ აწარმოებენ ამიაკს, კარბამიდს, თხევად აზოტსა და ჟანგბადს, გოგირდმჟავა ნატრიუმს და სხვ. მედიასაშუალებები ოდესის ოლქის მთავარ პროკურორ დავით საყვარელიძის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყებოდნენ, რომ უკრაინის პროკურატურა იძიებს კორუფციულ სქემას, რომელიც დაკავშირებულია ოდესის პორტთან არსებული ქარხნისა და ავსტრიული კომპანია Antra-ს შორის გარიგებასთან და რომელშიც თითქოს იაცენიუკიც მონაწილეობდა, ლაპარაკია 90 მლნ დოლარის მითვისებაზე.

ოდესის პორტთან არსებული ქარხნის პრესსამსახურმა კი გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ოდესის ოლქის გუბერნატორმა ქარხნის წინააღმდეგ წამოიწყო პიარკამპანია, რომელმაც საწარმო მილიონობით დოლარით დააზარალა. სააკაშვილის ბრალდებები კი მიმართულია იქით, რომ პრივატიზების წინ შემცირდეს ქარხნის რეალური საფასური და ის დასავლელმა მეწარმეებმა ხელში იაფად ჩაიგდონ.

მოკლედ, **სააკაშვილმა თავისი ტყუილებითა და თვალში ნაცრის შეყრის პიარაქციებით თავი ოდესაშიც გამოიჩინა და გასაკვირი არ იქნება, თუ მას ოდესიდან სამარცხვინოდ გამოაძევებენ. რასაკვირველია, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ აშშ თავის „ძაღლისშვილს“ კვლავ ხელს არ დააფარებს.**

ავაქოვისა და სააკაშვილის კონფლიქტში საინტერესო არის ის, რომ **ამერიკელების ხელდასხმული ამ ორი პირისგან, რომლებიც თავს იმავე ამერიკელების მეცადინეობით გაპარტახებული და ტერიტორიებდაკარგული უკრაინისთვის დამაშვრალ ადამიანებად წარმოაჩენენ, არც ერთია უკრაინელი და არც მეორე — ორივე ამერიკელთა „ძაღლისშვილია“.**

## კორუფციასთან «მებრძოლი» ეკა ზღულაძე უკრაინიდან 4 მლნ დოლარის გატანას ცდილობდა



ვიდრე უკრაინის შს მინისტრი არსენ ავაქოვი მიხეილ სააკაშვილს წყალს ასხამდა, მისი მოადგილე ეკა ზღულაძე უკრაინიდან დიდი ოდენობით თანხის გატანისას გამოიჭირეს.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში აშშ-ის ელჩმა **ჯეფრი პაიეტმა** სწორედ ზღულაძეს ანდო უკრაინის ახალი სამართალდამცველი სისტემის მშენებლობა, „კატრუსია“ (ასე ეძახიან ეკა ზღულაძეს უკრაინაში) არც ისე დიდი ენთუზიაზმით ცდილობდა შსს-ს გარდაქმნას, მან ყველაფერი თავის კოლეგას, სააკაშვილის რეჟიმისდროინდელ განათლების მინისტრს — **ხატია** (ხატიკო — უკრაინელთათვის) **დეკანოიძეს** გადააბარა, კადრების წმენდას კი თავი აარიდა. და აი, ზღულაძის პასიურობის მიზეზებს ფარდა აჰხადა უკრაინის შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა **ვიტალი ზახარჩენკომ:**

„ორი კვირის წინათ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ეკა ზღულაძე თავის მეუღლესთან (რაფაელ გლუკსმანი — სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი — ნ. კ.) მიემგზავრებოდა საფრანგეთში, რადგან ფეხმძიმედაა და ორი თვის შემდეგ უნდა იმშობიაროს. ის ბორისპოლის (კიევის აეროპორტი — ნ. კ.) საბაჟოზე დააკავეს ჩემოდნით, რომელშიც იყო, არც მეტი, არც ნაკლები, 4 მლნ აშშ დოლარი. შესაბამისი ორგანოების შეკითხვაზე მადამ ზღულაძემ ისე, რომ თვალი არ დაუხამხამებია, ღიმილით განმარტა, რომ ეს მისი პირადი ნივთებია. ფული კი პარიზში მშობიარობისთვის სჭირდებოდა.

**ზღულაძე ბორისპოლის აეროპორტში 4 საათის განმავლობაში იმყოფებოდა, ურეკავდა შს მინისტრ ავაქოვს, რომელმაც მთელი თავისი გავლენა გამოიყენა, ეკა ლაჟვარდოვან სანაპიროზე რომ გაეშვა.** ამისათვის კი დაუკავშირდა სასაზღვრო სამსახურის უფროსს, რომელსაც, ბუნებრივია, უკრაინის უშიშროების სამსახურები უსმენს. შემდეგ მოვლენები ისე წარიმართა, როგორც მოსალოდნელი იყო — უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა **გრიცაკმა** განკარგულება გასცა, დაედგინათ ზემოაღნიშნული თანხის წარმომავლობა, რომლის შემდეგაც მას მოახსენეს, რომ აშშ-მა უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებისთვის თანხა 10 მლნ (სხვა ინფორმაციით — 14 მლნ) დოლარის ოდენობით გადასცა ქალბატონ ზღულაძესა და ავაკოვს, რომლებმაც ეს ფული, იმის ნაცვლად, რომ დანიშნულებისამებრ გამოეყენებინათ, მიითვისეს“.

ასეთი საქციელი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა მხრიდან გასაკვირი არ არის, ისინი ხომ ორმაგი სტანდარტებით ებრძოდნენ კორუფციას — რაც უბრალო მოკვდავისთვის არ შეიძლებოდა, მათთვის დასაშვები იყო. ასეა, უკრაინას, რომელსაც თითქოს თავისი კორუფცირებული მოხელეები არ ჰყოფნიდა, ახლა „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებიც დაემატნენ.

## შარიკოვებმა* «ბაიდენის ტესტი» ვერ ჩააბარეს




უკრაინის რადაში (პარლამენტი) საანგარიშო მოხსენებით გამოსვლისას პრემიერმინისტრ არსენი იაცენიუკს „ტესტიკულებში“ ეცნენ.

იაცენიუკის სიტყვით გამოსვლისას ტრიბუნას მიუახლოვდა „პეტრე პოროშენკოს ბლოკის“ დეპუტატი **ოლეგ ბარნა**, რომელმაც ჯერ სამგლოვიაროლენტიანი ვარდების თაიგული მიართვა მთავრობის მეთაურს, შემდეგ კი „კვერცხებში“ ხელი სტაცა და ტრიბუნიდან გათრევა დაუპირა.

ამ არეულობის მიზეზი იყო იაცენიუკის პასუხი ბარნას კითხვაზე ქვეყნის ენერგეტიკის მდგომარეობის შესახებ. იაცენიუკმა დეპუტატს ურჩია, ეს კითხვა „თავისი მინისტრისთვის — დემჩიშინისთვის (ვლადიმერ დემჩიშინი — უკრაინის ენერგეტიკის მინისტრი — ნ. კ.) დაესვა. ამ პასუხმა გააცეცხლა დეპუტატი, რომელიც მივარდა იაცენიუკს და ტრიბუნიდან გაგდება დაუპირა.

ამის შემდეგ ინციდენტი ჩხუბში გადაიზარდა უკრაინის პრემიერის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის.

უკრაინის ხელისუფლებამ მომხდარს ქვეყნის სიმბოლოს წინააღმდეგ ჩადენილი ბარბაროსობა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში რეპუტაციის შელახვა უწოდა.

ეს ინციდენტი უკრაინის რადაში აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის — ჯოზეფ ბაიდენის გამოსვლიდან მეორე დღეს მოხდა. ახლა უკრაინელები იმაზე წუხან, რომ ბაიდენის სიტყვების შემდეგ, — მსოფლიო უკრაინას შეჰყურებსო, რადაში მყოფმა „შარიკოვებმა“ „ბაიდენის ტესტი“ ვერ ჩააბარეს და უკრაინას თავი საქვეყნოდ მოსჭრეს.

**ნიკა კორინთელი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ალარაფრის იმედი არ მაქვს. არადა, „ოცნებას“ წინასაარჩევნოდ სულ გვერდით ვედექი, გვარბევდნენ, გვებრძოდნენ, მაგრამ უკან არ ვიხევდით, პოლიციელები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში მემუქრებოდნენ, ახლახან ერთ-ერთ განყოფილებაში შემხვდნენ — იმავე თანამდებობებზე მუშაობენ. დასახელება არ მინდა, არც რაიონის და არც გვარ-სახელების. 2007 წლის 7 ნოემბერს ათი პოლიციელი მცემდა, ყველა თანამდებობაზეა. მოხსნილი არავინ არის“.**

## კახა კუპრეიშვილი:

# დათა ახალაიამ გამყიდა!

**სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში ძალიან ბევრი ადამიანია, მაგრამ მათმა უმრავლესობამ წართმეულის დაბრუნების იმედი დაკარგა, თუმცა საკითხავია: რა არის წართმეული? — ზოგს ქონება წაართვეს, ზოგს — ღირსება და ზოგსაც — საარსებო წყარო, ანუ სამსახური, მხოლოდ იმიტომ, რომ უკანონობაზე თვალი არ დახუჭეს. „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია კახა კუპრეიშვილი — ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის ინსპექტორი და „ნაციონალების“ ყოფილი მეგობარი, რომელიც იმიტომ გაწირეს, რომ დავით კეზერაშვილისთვის ხელი დაეფარებინათ. ვის არ მიმართა სამი წლის განმავლობაში აფხაზეთის ომის ვეტერანმა, ახალგაზრდა კაცმა, მაგრამ ამაოდ. მისი ყველა განცხადება დღემდე პასუხგაუცემელია და, როგორც თვითონ ამბობს, ეს იმიტომ ხდება, რომ ფინანსურ პოლიციაში თანამდებობებზე ისევ ძველი კადრები არიან და არც ამ ხელისუფლებას სჭირდება სიმართლის მთქმელი თანამშრომელი.**


კახა კუპრეიშვილი


დათა ახალაია

**— რატომ და ვის გამო დატოვეთ დაკავებული თანამდებობა 2006 წელს? ჩვენთვის ცნობილია, რომ ფინანსურ პოლიციაში მაღალი თანამდებობა გეკავათ იმ პერიოდში, როდესაც ამ უწყებას დავით კეზერაშვილი ხელმძღვანელობდა.**

— ქვემო ქართლის ფინანსურ პოლიციაში რიგითი თანამშრომელი ვიყავი, მაღალი თანამდებობა არ მეკავა. იმხანად წითელი ხიდიდან რაღაც გაურკვეველი ტვირთი შემოდიოდა და ჩვენი ხელმძღვანელი გვავალებდა, ეს ტვირთი ტერმინალ „ოპიზამდე“ გაგვეცილებინა. დატვირთული მანქანების რაოდენობა კი საკმაოდ დიდი იყო. ტვირთის ლეგალურობაში იმიტომ შევიტანე ეჭვი, რომ მანქანებს არავინ ამოწმებდა. ღამით შემოსული მანქანები დილით შეუმოწმებლად გადიოდნენ.

ქვემო ქართლში ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი **ზაზა მეთაფლიშვილი** იყო, რომელსაც ჩემი ეჭვების შესახებ ვუთხარი. ეს ამბავი მეთაფლიშვილს, ბუნებრივია, არ ესიამოვნა, ზუსტად ორ დღეში დამიბარა და მითხრა, სამსახურიდან უნდა წახვიდე, განცხადება დაწერეო. მისი ეს ბრძანება გავაპროტესტე, ვუთხარი, სამსახურში შენ არ მიგიღივარ და ვინც მიმიღო, მასთან გავივლი კონსულტაციას-მეთქი, მაგრამ დრო არ დამიტოვეს — შეთხზეს რაღაც ისტორიები და სამსახურიდან გამათავისუფლეს.

გასაჩივრების ვადა ათი დღე იყო და მეც ამ ათ დღეში გავასაჩივრე ჩემი გათავისუფლების გადაწყვეტილება. სარჩელი სასამართლოში შევიტანე, კარგი ადვოკატი მყავდა. მართალია, პროცესი სამ თვეს გაგრძელდა, მაგრამ სამსახურში აღმადგინეს. გეგმაში მქონდა, თუ თავს აღვიდგენდი, ჩემივე განცხადების საფუძველზე გავთავისუფლდებოდი, საბუთების გაფუჭება არ მსურდა.

ცოტა ხანში მითხრეს, კეზერაშვილის მოადგილე **მერაბ გელოვანი** გიბარებსო. ის იყო კაცი, რომლის ბრძანების საფუძველზეც გამათავისუფლეს სამსახურიდან და სასამართლომ სწორედ გელოვანის ბრძანება გააუქმა, რამაც ის ძალიან გააღიზიანა. მათ შეცდომა დაუშვეს, მაშინ გამათავისუფლეს, როდესაც ბიულეტენზე ვიყავი, სწორედ ამ ფაქტით იხელმძღვანელა სასამართლომ.

მივედი გელოვანთან, გაცეცხლებული დამხვდა. მითხრა, შენც დაგიჭერ და იმ შენს ექიმსაცო. ვუპასუხე, ოფიცრები ასე არ საუბრობენ, თანაც მე შენი არ მეშინია, ვინ ვის დაიჭერს, მაგას გაჩვენებ-მეთქი.

გადავწყვიტე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში მივსულიყავი, **გერონტი ალანიასთან** ახლო ურთიერთობა მქონდა. მას კი კუდში მაღალი თანამდებობა ეკავა. ალანიას ყველაფერი ვუამბე ჩემი პრობლემების შესახებ, ვუთხარი, მემუქრებიან, არადა, მართლაც შემოდის საეჭვო ტვირთი, რომელიც, შესაძლოა, ქვეყანას საფრთხესაც უქმნის-მეთქი. **ჯიბეებამოკერილი დავდიოდი, მეშინოდა, რამე არ ჩამედოთ და სამარცხვინოდ არ დავეკავებინე.**

ალანია საქმით დაინტერესდა. ყველა ადამიანის სახელი და გვარი ჩაიწერა, მათ შორის, ჩვენი ხელმძღვანელის — ზაზა მეთაფლიშვილის, რომელიც, სიმართლე გითხრათ, არაფერ შუაში იყო. ამბობდა, კეზერაშვილის ბრძანებას ვასრულებო, თუმცა ადამიანს, რომელიც ასეთ თანამდებობაზეა, უფლება აქვს, უკანონო ბრძანება არ შეასრულოს და ზემდგომი ჩააყენოს საქმის კურსში, რომ უკანონო ბრძანებას ასრულებინებენ, რაც მე გავაკეთე.

**«კეზერაშვილის საეჭვო ტვირთები მაინც დაიჭირეს. ფირმას, რომელსაც ეს ტვირთები შემოჰქონდა, «კარგო» ერქვა. «კარგოში» მომუშავე მთელი პერსონალი მოგვიანებით «საქართველოს ფოსტაში» გადავიდა და დღესაც იქ არის»**

**გერონტი ალანია მაშინვე შევიდა კუდის იმჟამინდელ ხელმძღვანელ დათა ახალაიასთან და, როგორც ჩანს, ყველაფერი უამბო. დახმარებასაც დამპირდა, მაგრამ მითხრა, რომ შედეგზე პასუხს ვერ აგებდა, რადგან დაახლოებით ასეთივე საქმე უკვე იყო და ვერაფერი გააკეთეს.**

საბაჟოზე, როდესაც კეზერაშვილის მანქანები შემოდიოდა, დარღვევა ბევრი იყო. გარდა იმისა, რომ მანქანებს არ ამოწმებდნენ, ტვირთის შემომტანებს თანხის ნახევარსაც არ ახდევინებდნენ. მაგალითად, თუ გადასახდელი იყო 10 000 ლარი, ისინი 2 000-ს იხდიდნენ. ძიებაც სწორედ ამ დარღვევებით დავიწყეთ.

ჯერ კიდევ კუდის შენობაში ვიყავი, როცა ფინანსური პოლიციის კადრებიდან დამირეკეს და მითხრეს, — კეზერაშვილი გიჟს ჰგავს, შენი ნახვა უნდა, ბრდღვნის ყველაფერს, შენზე იწევსო. როცა მასთან შეხვედრა მოვითხოვე, უარი მითხრეს, — ხელით შეგეხებაო. მაინც მივედი, მაგრამ ჩემი ნახვა არ ისურვა...

**მივხვდი, დათა ახალაიამ „გამყიდა“, მაგრამ უკან დახევას არ ვაპირებდი, მებრძოლი კაცი ვარ, 30 ადამიანმა გაგრა ავიღეთ და კეზერაშვილს რამეს შევარჩენდი? ფინანსურ პოლიციაში 1994 წლიდან ვმუშაობდი, იმ დღიდან, როდესაც ეს უწყება დაარსდა. სისტემა ზეპირად ვიცოდი და ჩემი მოტყუება იოლი არ იყო.**

ამ ამბებიდან ძალიან მალე გერონტი ალანია დააპატიმრეს, არაფერი ვიცოდი იმის შესახებ, რაც სანდრო გირგვლიანს დაატყდა თავს, ამიტომ ვიფიქრე, რომ ალანია ჩემ გამო დაიჭირეს. გადავწყვიტე, ამბავი, რომელიც თავს გადამხდა, გამეხმაურებინა — პრესისთვის მიმეწოდებინა ინფორმაცია. პრესამდე რაღაც გზებით უნდა მივსულიყავი. ჟურნალისტ **ვახტანგ კომახიძეს** მივაკითხე, ჩემი ამბავი ვუამბე და დახმარება ვთხოვე. კინაღამ გაგიჟდა, რაც შეიძლება სწრაფად მოშორდი მაგათ, მკვლელები არიან, როგორღაც ჩამოშორდი ამ საქმესო. მივხვდი, კომახიძესაც ეშინოდა. ბევრი ვიფიქრე და რესპუბლიკური პარტიის ოფისში მივედი, ყველაფერი მოვუყევი, მითხრეს, კობა დავითაშვილს შეგახვედრებთო. მართლაც, პარლამენტში შევხვდი კობა დავითაშვილს, რომელმაც მითხრა, რომ ყველაფერი, რასაც ვყვებოდი, ძალიან კარგად


დავით კეზერაშვილი

იციან, მაგრამ ხმის ამოღება არ შეუძლიათ. პარლამენტიდან გამოსულს ქუჩაში ლეიბორისტული პარტიის მიტინგი დამხვდა. მიტინგზე სიტყვით გამოსვლა მოვითხოვე, ყველაფერი მოვყევი და ჩემი სამსახურიდან გადაგდომის განცხადებაც იქ გავაკეთე. **შალვა ნათელაშვილმა** კარგად დამაკვალიანა, ყველა გზა მასწავლა, რომლებითაც პრესამდე მივიდოდი და **დავით აქუბარდიასთანაც** დამსვა გადაცემაში. მართალია, აქუბარდია ძალიან შეშინებული იყო, მაგრამ სათქმელი მაინც ვთქვი.

**— მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, არ გიცდიათ სამსახურში აღდგენა? ან ახლა მაინც არ შეხვდით რესპუბლიკური პარტიის წევრებს?**

— როგორ უნდა აღვიდგინო თავი? ჩემი ყოფილი უფროსი ზაზა მეთაფლიშვილი ახლა უკვე „მეოცნებეა“, ქუთაისში იღვწის, მერაბ გელოვანიც აქ არის, არ გაქცეულა და არც არავინ ერჩის.

**ეს მთავრობა რომ მოვიდა, ვიფიქრე, განცხადებას პროკურატურაში შევიტან, იქნებ დაზარალებულად მცნონ-მეთქი, მაგრამ ადვოკატმა მითხრა, აზრი არ აქვსო.**

სამი წლის განმავლობაში, რაც „ოცნება“ ხელისუფლების სათავეში მოვიდა, ბევრი განცხადება დავწერე. ფინანსთა მინისტრს რამდენიმეჯერ მივმართე, პარლამენტარ **ვიქტორ დოლიძის** ხელმოწერილი წერილიც გავაგზავნეთ სამინისტროში, მაგრამ არაფერი გამოვიდა, რადგან ფინანსურ პოლიციას ნაცებისდროინდელი თანამშრომელი **ლერი ბარნაბიშვილი** მართავს. ბარნაბიშვილმა ჩემი ამბები იცოდა და დამცინოდა, — გეგონა, რამეს იზამდიო? ლერი ბარნაბიშვილისგან ყველაფერია მოსალოდნელი...

**კეზერაშვილის საეჭვო ტვირთები მაინც დაიჭირეს. ფირმას, რომელსაც ეს ტვირთები შემოჰქონდა, „კარგო“ ერქვა. „კარგოში“ მომუშავე მთელი პერსონალი მოგვიანებით „საქართველოს ფოსტაში“ გადავიდა და დღესაც იქ არიან.**

**— „საქართველოს ფოსტას“ რაგბის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე ხელმძღვანელობს...**

— „შირმად“, ვისაც გინდა, იმას დააყენებენ, თქვენ ის თქვით, ვის ხელშია „ფოსტა“. ვინმეს ჰგონია, რომ კეზერაშვილსა და მის ბანდას საქართველოში ბიზნესი აღარ აქვთ? დღემდე არაფერი დაუთმიათ, ალბათ, არც არავინ სთხოვს დათმობას და წართმეულის დაბრუნებას.

**ალარაფრის იმედი არ მაქვს. არადა, „ოცნებას“ წინასაარჩევნოდ სულ გვერდით ვედექი, გვარბევდნენ, გვებრძოდნენ, მაგრამ უკან არ ვიხევდით. პოლიციელები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში მემუქრებოდნენ, ახლახან ერთ-ერთ განყოფილებაში შემხვდნენ — იმავე თანამდებობებზე მუშაობენ. დასახელება არ მინდა არც რაიონის და არც გვარ-სახელების. 2007 წლის 7 ნოემბერს ათი პოლიციელი მცემდა, ყველა თანამდებობაზეა, მოხსნილი არავინ არის.**

არავის სჭირდება სამსახურში ადამიანი, რომელიც უსამართლობაზე, კორუფციაზე თვალს არ დახუჭავს. ეს ხელისუფლება წინა ხელისუფლებებისგან არაფრით განსხვავდება!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მსოფლიო



# «ისლამური სახელმწიფო» ავღანეთში მეორე ფრონტის გახსნას გეგმავს

**რუსეთი სერიოზულად ეკიდება იმ საფრთხეს, რომ შესაძლოა „ისლამურმა სახელმწიფომ“ ავღანეთში მეორე ფრონტი გახსნას. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ პრესკონფერენციაზე განაცხადა.** „რუსეთის ფედერაცია აცხადებს, რომ აუცილებელია, თვალყური ვადევნოთ მოსალოდნელ სცენარს. მას შემდეგ, რაც რუსეთმა სირიის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების შედეგად „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურება დაიწყო, ტერორისტულ ორგანიზაციას, როგორც ჩანს, ჰგონია, ავღანეთში მეორე ფრონტის გახსნით შეძლებს კვლავ ეფექტიან სამხედრო სტრუქტურად დარჩეს.“ — განაცხადა ზახაროვამ.

„არ მომხდარა და არც მოხდება წართმეული ქონების უკან დაბრუნება, რადგან ამბობენ, ყველა გამამართლებელი განაჩენი ეკონომიკას ურტყამსო. აქედან გამომდინარე, შეურაცხყოფილი, გაუპატიურებული, განადგურებული, ქონებაჩამორთმეული ადამიანები, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდებიან, რომ მათ დაცვას არავინ აპირებს, თვითონ დაიწყებენ შურისძიებას“.

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «დამნაშავეები დღესაც ხელისუფლებაში არიან»

მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 9 დეკემბერს, ღამით, ქალაქ დედოფლისწყაროში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისს ცეცხლსასროლი იარაღიდან ტყვიები დაუშინეს. სროლის შედეგად ჩამსხვრეულია ოფისის ფანჯრების მინები, დაზიანებულია კედლები და საოფისე ავეჯი. აღსანიშნავია, რომ ოფისის გამქირავებელი იმავე შენობის მეორე სართულზე ცხოვრობს. მისი განცხადებით, მომხდარის თაობაზე პოლიციას 10 დეკემბერს შეატყობინა. აღსანიშნავია, რომ ამავე შენობაშია საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის — ზაზა კედელაშვილის ოფისიც.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებზე თავდასხმა მიმდინარე წლის ოქტომბერშიც მოხდა, როდესაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დააზიანეს პარტიის ოფისები. რიგ შემთხვევაში აჭედეს შენობის კარი და შეღებეს ოფისის ფასადები.

„ძალადობრივი ქმედებები ხელს უშლის პოლიტიკური პროცესების მშვიდ და სტაბილურ გარემოში წარმართვას და რისკის ქვეშ აყენებს არამხოლოდ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ძალებისთვის ნორმალურ სამუშაო გარემოს, არამედ ოპოზიციაში მყოფი პირების უსაფრთხოებასაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ ხელისუფლებას, უზრუნველყოს ქვეყანაში სტაბილური და მშვიდი წინასაარჩევნო გარემოს შენარჩუნება. მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს, მოახდინონ ამ და სხვა ძალადობრივი ინციდენტების სწრაფი, ობიექტური და სრულყოფილი გამოძიება“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ბარამიძემ, მაჟორიტარ ზაზა კედელაშვილის ოფისის დაცხრილვისთვის, პარლამენტს სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდა. მან პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ დედოფლისწყაროში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ოფისის დაცხრილვა იმ პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელიც პარტიის წინააღმდეგაა მიმართული.

„ეს უკვე აღარ არის წიწილიანი კვერცხის სროლა, არც საღებავის სროლა სხვადასხვა ოფისზე. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ნორმალური ადამიანისთვის, მათ შორის, აქ მსხდომებისთვის, ეს საგანგაშო არ იყოს. ამიტომ მოგმართავთ ყველას, განურჩევლად პარტიულობისა, ყველაფერი გავაკეთოთ, რათა მავანმა ქვეყანაში მდგომარეობა იარაღის სროლის და სისხლისღვრისკენ არ წაიყვანოს. ჩვენ ამას ვუკავშირებთ იმ არასწორ პოლიტიკას, იმ რიტორიკას, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ იყო მომართული. ვინც ეს გააკეთა, ცხადია, ითვალისწინებს, რომ „ნაციონალურ მოძრაობაზე“ თავდასხმა დაუსჯელი რჩება“, — აღნიშნა სხდომაზე ბარამიძემ.

პარლამენტარ გიორგი ბარამიძის ამ განცხადებას სწრაფად გამოეხმაურა ქვეყნის სპიკერი, რესპუბლიკელი დავით უსუფაშვილი: „სამართალდამცავებს მივმართავ, რომ გამოძიება მოხდეს. სხვანაირადაც მივიღებთ ზომებს, რომ პარლამენტს ინფორმაცია ჰქონდეს. თოფის სროლა პარტიული ოფისიის წინააღმდეგ იქნება თუ სხვა პირის მიმართ, მძიმეა და ამას რეაგირება სჭირდება“, — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, მისი უმთავრესი დაპირება სამართლიანობის აღდგენა იყო, მაგრამ აქამდე სათანადოდ არავინ დასჯილა.

2012 წელს წინაასარჩევნოდ ქუჩაში მიტინგებზე გამოსული „ოცნების“ მხარდამჭერები ამბობდნენ, თუ უსწრაფესად არ დაიწყო ყველა დანაშაულის გახსნა და დამნაშავეების დასჯა, ხალხი თვითონ აიღებს იარაღს და „მწამებლებს“ გაუსწორდება სადარბაზოებში, ქუჩებში, მანქანებშიო... თავდაპირველად ასეთი ფაქტები მართლაც მოხდა. „ნაცებს“ სცემეს ქუჩაშიც, კაფეშიც, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ კოაბიტაცია გამოაცხადა და ყველას უთხრა, რომ მსგავსი საქციელისთვის დაისჯებიან, თუმცა ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ დამნაშავეები დაისაჯონ.

წლები გავიდა, „ოცნება“ საარჩევნო ვადას მალე დაასრულებს, მაგრამ 300 ათასზე მეტ ქართველს სამართლიანობის აღდგენის იმედი ვერ გაუჩინა.

მოსახლეობა ბოლო ხანს მომხდარ ფაქტზე პარლამენტარის, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, „აფრასიძეების“ ცნობილი საქმის „გმირის“ — გიორგი ბარამიძის გამოსვლამ ძალიან გააღიზიანა. სოციალურ ქსელში იმასაც წერდნენ, თუ დაპირებული სამართლიანობა არ აღდგა, ხალხს უკეთესი მომავლის, ხელისუფლებაში უკეთესი პოლიტიკოსების ხილვის იმედი გადაეწურებაო.



## «ბარამიძე სუფთა ჰაერს არ უნდა სუნთქავდეს, ციხეში უნდა იჯდეს»

**გვესაუბრება „აფრასიძეების საქმის“ ადვოკატი ირმა ჭკადუა:**

**— ქალბატონო ირმა, გიორგი ბარამიძე დედოფლისწყაროში „ნაცმოძრაობის“ ოფისზე თავდასხმის საქმის გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას ითხოვს...**

— ...ლი, რომ... თვითონ ბარამიძემ ჩაიხედოს თავის გულში, რა აქვს ჩადენილი და მერე ილაპარაკოს.

რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ გადაცემაში ვთქვი, რომ დიდი ხანია, სამართლიანობის პროცესის აღდგენას ხალხი ელოდება და უკვე იმედიც გადაეწურა, ამიტომ **სისხლისღვრა არავის უნდა გაუკვირდეს. არ გამოვრიცხავ, რომ დედოფლისწყაროში გამწარებულმა ადამიანმა ისროლა, რადგან წვდომა არც სააკაშვილზე აქვთ, არც ადეიშვილზე და არც ბარამიძეზე. ხალხმა ამ მეთოდებით გადაწყვიტა შურისძიება, ცუდია, თუ ეს პროცესი უფრო შორს წავა.**

რაც შეეხება ბარამიძეს, ის სუფთა ჰაერს არ უნდა სუნთქავდეს, ციხეში უნდა იჯდეს.

იმედი მაქვს, რომ ვენდეტაზე არ გადავალთ, რაც, ალბათ, ყველაზე სამწუხარო და შემაშფოთებელი იქნება, თუმცა, უკვე ჩანს, რომ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოსული ხელისუფლება, **ბა წართმეული ქონების უკან დაბრუნება, რადგან ამბობენ, ყველა გამამართლებელი განაჩენი ეკონომიკას ურტყამსო. აქედან გამომდინარე, შეურაცხყოფილი, გაუპატიურებული, განადგურებული, ქონებაჩამორთმეული ადამიანები, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდებიან, რომ მათ დაცვას არავინ აპირებს, თვითონ დაიწყებენ შურისძიებას.** ამის რამდენიმე, ასე ვთქვათ, მსუბუქი მაგალითი უკვე გვაქვს. **ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას თავისი მოქალაქეები არა მხოლოდ ნამდვილი კრიმინალებისგან, არამედ იმ დამნაშავეებისგანაც, რომლებიც ხელისუფლებაში სხედან.**

**— ხალხის მოთხოვნის იგნორირება ხელისუფლებას ცუდად არ მიუბრუნდება?**

— აფრასიძეების საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმულია. ვნახოთ, რა მოხდება. არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო, თუმცა ვიტყვი, რომ სამი წელი სამი თვე არ არის...

თუ ხელისუფლება თავის დაპირებების ნაწილს მაინც არ შეასრულებს, რა თქმა უნდა, უკან ძალიან ცუდად მოუბრუნდება. განაწყენებული ადამიანი, ყველაფერზე წავა.

## «ძალიან მიკვირს, ყოფილი ხელისუფლების წევრებს პირდაპირ ქუჩაში რომ არ უსწორდებიან»

— დამნაშავეები უნდა დაისაჯონ! ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, არსად, არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა. **დამნაშავეები ხელისუფლებაში არიან.**

„ნაცებს“ იმდენი ადამიანი ჰყავთ გამწარებული, იმდენი ოჯახი ჰყავთ გაუბედურებული, [...] არ აპირებს დაპირების შესრულებას. დღემდე ციხეში სხედან ადამიანები, რომლებიც უკანონოდ იხდიან სასჯელს, ხოლო გარეთ თავისუფლად დადიან ადამიანები, რომლებსაც სასტიკი დანაშაულები აქვთ ჩადენილი. **არ მომხდარა და არც მოხდე-**




**«ნაციონალური მოძრაობის» წარმომადგენლებმა კარგად იცოდნენ, რა დანაშაულებიც ჰქონდათ ჩადენილი და, როდესაც არჩევნებში დამარცხდნენ, ყველა მტკიცებულება გაანადგურეს. ხელისუფლებაც უნიათო აღმოჩნდა და, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა, მტკიცებულების არარსებობის გამო, დასჯა ვერავისი შეძლო. იმედია, მაინც მოახერხებენ დამნაშავეთა დასჯას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებას უნიათობა ცუდად შემოუბრუნდება»**



## «თუ ხალხმა მართლა დაიწყო სამართლიანობის აღდგენა, მერწმუნეთ, ეს უბრალო პროცესი არ იქნება»

**ადვოკატ ლალი აფციაურს დედოფლისწყაროს ინციდენტზე განსხვავებული მოსაზრება აქვს. ის თვლის, რომ „ნაციონალებმა“ თავიანთ ოფისს თავადვე ესროლეს.**

— **გიორგი ბარამიძე ამორალურია,** მაგრამ ის, რაც მოხდა დედოფლისწყაროში, რიგითი მოქალაქისთვის სასიამოვნო მოსასმენი და სანახავი ნამდვილად არ არის. ნორმალურ ქვეყნებში ასე არ ხდება.

დედოფლისწყაროში მომხდარზე განსხვავებული მოსაზრება მაქვს. ვფიქრობ, **„ნაციონალებმა“ ეს თვითონვე მოაწყვეს, რადგან მათ ადამიანებად არავინ თვლის და არავის აინტერესებს, რას აკეთებენ. როდესაც ყურადღება მოაკლდებათ, ასეთ პროვოკაციას აწყობენ და ტანჯულის მანტიას ისხამენ. ხელწერა მათია.**

**— ხელისუფლება საარჩევნო ვადას ასრულებს, მაგრამ დაპირება, რომ დამნაშავეები დაისჯებიან, ჯერ არ შეუსრულებიათ... იმედგადაწურულმა ხალხმა თვითონ ხომ არ დაიწყო სამართლიანობის აღდგენა?**

— თუ ხალხმა მართლა დაიწყო სამართლიანობის აღდგენა, მერწმუნეთ, ეს მარტივი და უბრალო პროცესი არ იქნება. მაინც მგონია, რომ „ნაცები“ ცდილობენ ყურადღების ცენტრში ყოფნას, მათ ეს პროცესი მოსწონთ, ამიტომ ვფიქრობ, რომ თვითონვე ისროლეს.

ისე, ძალიან მიკვირს, ყოფილი ხელისუფლების წევრებს პირდაპირ ქუჩაში რომ არ უსწორდებიან.

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა კარგად იცოდნენ, რა დანაშაულებიც ჰქონდათ ჩადენილი და, როდესაც არჩევნებში დამარცხდნენ, ყველა მტკიცებულება გაანადგურეს. ხელისუფლებაც უნიათო აღმოჩნდა და, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა, მტკიცებულების არარსებობის გამო, დასჯა ვერავისი შეძლო. იმედია, მაინც მოახერხებენ დამნაშავეთა დასჯას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებას უნიათობა ცუდად შემოუბრუნდება.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დანაშაული თავდაცვის მინისტრმა ჩაიდინა და, თუ მას მთელი ხელისუფლება არ ემხრობა, მაშინ თანამდებობიდან უნდა გაეთავისუფლებინათ ან ბოდიში მაინც მოეხდევინებინათ მისთვის. საგარეო საქმეთა მინისტრმა რაღაც ბოდიშის მაგვარი კი ამოილუღლუღა, მაგრამ ასეთი ბოდიში შეცდომაზე უარესია“.



ვალერი კვარაცხელია:

# ლენინგრადის ბლოკადის დროს რუსმა ხალხმა არნახული გმირობა გამოიჩინა. უზრდელი და გაუნათლებელია, ვინც იმ გმირულ დღეებს აბუჩად აიგდებს

**საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადებით, ერთი წლის წინათ ყველა ენთუზიაზმით უყურებდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, ფიქრობდა, რომ ეს შეზღუდვები რუსეთში გამოიწვევდა ეკონომიკის დაცემას, ხალხი გავიდოდა ქვეყნიდან და ხელისუფლება გამოფხიზლდებოდა. თუმცა ერთი წლის წინათ მინისტრი იმასაც ამბობდა, რომ რუსეთი არის ქვეყანა, რომლის მკვიდრნი ლენინგრადის ბლოკადის დროს, 900 დღე, ვირთხებსა და კატებს ჭამდნენ. „კრიზისი იყო მეორე მსოფლიო ომის დროს, მაგრამ ისინი გადარჩნენ და გაიმარჯვეს. სწორედ ამ ქვეყანასთან გვაქვს საქმე. ცნება სიდუხჭირისა და ბედნიერების, რაც აქ ამერიკაში გვაქვს, ან საფრანგეთში, ან იტალიაში, არის სრულიად შეუსაბამო და სწორედ ეს არის შეცდომა, რომელსაც ყველა ვუშვებთ“, — განაცხადა თინა ხიდაშელმა ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტში საჯარო დისკუსიისას 2015 წლის 19 აგვისტოს.**



„ხიდაშელის ყველა განცხადება დამანგრეველია ქვეყნისთვის“

**„ჩვენ გვაქვს თემების წამოწევის მიზეზი. მთავარი საკითხია საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან მკაფიო ანტირუსული რიტორიკა. პირველ რიგში, ეს ეხება თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთისთვის სანქციები სულერთია, რადგან ეს ხალხი მიჩვეულია 900 დღე ძაღლებისა და კატების ჭამას (იგულისხმება ლენინგრადის ბლოკადა). ეს უკვე აღემატება ყველა ზღვარს. რაც შეეხება ნატოს, ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით. ჩვენთვის სულერთი არ არის, რომელ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში არიან ჩვენი მეზობლები. რა თქმა უნდა, გვაშფოთებს რუსეთის საზღვრებთან ნატოს სხვადასხვა ცენტრისა და ოფისის გახსნა. ეჭვი არავის შეეპაროს, რომ პოზიციას არ შევიცვლით. გეოპოლიტიკური ამოცანები ეროვნული ინტერესების მიხედვით უნდა გადაიჭრას. არჩევანი კი საქართველოს ხელისუფლებაზეა“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა და აღნიშნა, რომ კრემლი ყურადღებით აკვირდება საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.**

**გრეგორი კარასინის ამ განცხადებას მოკრძალებულად გამოეხმაურა საქართველოს საგარეო მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი: „მე არ მჯერა, რომ თინას ეთქვას რაიმე ასეთი ლენინგრადის ბლოკადის შესახებ. ეს მოვლენა იყო გმირობის მაგალითი საბჭოთა კავშირის ერების არაერთი წარმომადგენლისა და ის ისეთივე ხელშეუხებელი და ისეთივე საამაყოა, როგორც ძალიან ბევრი ასეთი გმირობა მრავალი ერის ბრძოლისას ფაშიზმის წინააღმდეგ, ამიტომ მე არა მგონია, რომ თინას ასეთი რამ ეთქვას. 20 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა ამ ომში. მათ შორის იყვნენ ჩემი ოჯახის წევრებიც. ეს გმირობის მაგალითები, როგორიც იყო კონკრეტულად ლენინგრადის ბლოკადა, არის საამაყო ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებიც ამ ერებს წარმოვადგენთ დღეს უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოების სახით“.**

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბოლოდროინდელ განცხადებებსა და მათგან მომდინარე შესაძლო საფრთხეებზე პოლიტოლოგი ვალერი კვარაცხელია გვესაუბრება.**

**— ბატონო ვალერი, ბევრი პოლიტოლოგი სოციალურ ქსელში აღშფოთებას ვერ მალავს თავდაცვის მინისტრის უპასუხისმგებლო განცხადებების გამო. თინა ხიდაშელის შეურაცხმყოფელი განცხადება ლენინგრადის ბლოკადის დროს რუსი ხალხის გმირობაზე რუსეთის საგარეო უწყებამ ცხვირწინ აგვიფრიალა...**

— თინა ხიდაშელის საქციელი დაუფიქრებელი, უკულტურო, გაუნათლებელი ადამიანის საქციელია. ლენინგრადის ბლოკადის პერიოდში რუსმა ხალხმა არნახული გმირობა გამოიჩინა. **უზრდელი და გაუნათლებელია ყველა, ვინც ამ გმირულ დღეებს აბუჩად აიგდებს, მაგრამ ამაში თინა ხიდაშელი არ არის დამნაშავე, დამნაშავეა საქართველოს ყველა ხელისუფლება, რადგან 25 წელია, საქართველო მხოლოდ რუსეთის შეურაცხყოფით არის დაკავებული — წლების განმავლობაში მთავრობებმა ხაზი გადაუსვეს იმ დიდ და მართლაც, შეუდარებლად ლამაზ ურთიერთობებს, რომლებიც საქართველოსა და რუსეთს ჰქონდა.**

**— თინა ხიდაშელის ამ განცხადებას გრიგორი კარასინი გამოეხმაურა და რამდენიმე დღეში რუსეთის თვითმფრინავმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია...**

— არა მგონია, საჰაერო სივრცის დარღვევა ხიდაშელის განცხადების გამო მომხდარიყო. თურქეთმა თვითმფრინავი ჩამოუგდო რუსეთს და ომი მათთან არ დაუწყია და, მით უმეტეს, თინა ხიდაშელს ამხელა მნიშვნელობას არ მიანიჭებდნენ. კარასინმა კი ნამდვილად გაბრაზებულმა ისაუბრა ამ თემაზე. ქართველი პოლიტიკოსების დაუფიქრებელი საუბრები წვეთწვეთობით ავსებს რუსეთის მოთმინების ფიალას და ორ ერს შორის გაუგებრობასა და დაპირისპირებას აღრმავებს.

**— მართალია, ერთი თინა ხიდაშელი ხელისუფლება არ არის, მაგრამ, როდესაც მის განცხადებებს ქვეყნის მთავრობის მეთაური უპასუხოდ ტოვებს, ამ შემთხვევაში იგულისხმება თუ არა, რომ თავდაცვის მინისტრი მთავრობის პოზიციას გამოხატავს?**

— თინა ხიდაშელი ამ განცხადების გამო აუცილებლად უნდა დასჯილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ხმამაღლა თქვა ის, რასაც მთავრობა ფიქრობს. საერთოდ, დიდი შეცდომა და დიპლომატიური სიბეცეა, როდესაც ერთი რომელიმე სახელმწიფო მეორეს ასე შეურაცხყოფს. ეს არავის უნდა შერჩეს, ამ შემთხვევაში **დანაშაული თავდაცვის მინისტრმა ჩაიდინა და, თუ მას მთელი ხელისუფლება არ ემხრობა, მაშინ თანამდებობიდან უნდა გაეთავისუფლებინათ ან ბოდიში მაინც მოეხდევინებინათ მისთვის.** საგარეო საქმეთა მინისტრმა რაღაც ბოდიშის მაგვარი კი ამოილუღლუღა, მაგრამ ასეთი ბოდიში შეცდომაზე უარესია. მის განცხადებას გულწრფელობა აკლდა და არ ჩანდა, რომ ხელისუფლების პირით საუბრობდა. **ხიდაშელის ყველა განცხადება დამანგრეველია ქვეყნისთვის.**

**— საკითხისადმი საქართველოს ხელისუფლების ასეთმა მიდგომამ რა ზიანი შეიძლება მოგვაყენოს?**

— რუსეთთან უხეშ საუბარს ძალიან დიდი და ძლიერი სახელმწიფოებიც ვერ ბედავენ. ევროპისა და აზიის უდიდესი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, ვისთან აქვთ საქმე. სამწუხაროდ, საქართველო ამას არ აკეთებს, რაც გვეტყობა კიდეც. **ჩვენი სახელმწიფო სამ ნაწილად არის დაყოფილი, მაგრამ ისეთი სახე გვაქვს, თითქოს სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყანა ვიყოთ, თითქოს ჩვენი იურისდიქცია ყველგან ვრცელდება. არადა, საქართველო არის დანაწევრებული ქვეყანა, რომელიც გადაწყვეტილებებს თვითონ ვერ იღებს და ყოველ ნაბიჯზე კარნახობენ, რა თქვას და მოიმოქმედოს. ჩვენი მთავრობა ამერიკის მიერ, ამერიკის ელჩის ხელით იმართება.**

25 წელია, უგუნურ პოლიტიკას ვატარებთ, ამიტომ ვერ შევძელით რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება. **საქართველოს დაშლის პროცესი დაწყებულია, მაგრამ დამთავრებული — არა. ასე თუ გაგრძელდა, საქმე ძალიან ცუდად წაგვივა. ხელისუფლების მიდგომები ძირფესვიანად შესაცვლელია.**

## «რუსეთმა იცის, რომ ქართველი ხალხის დამოკიდებულება მათდამი არ ემთხვევა ხელისუფლების თვალსაზრისს»

**— საქართველოს დიდი საფრთხე ემუქრება „ისლამური სახელმწიფოსგან“, თუ რუსეთმა ბოლომდე იბრძოლა და ტერორისტული სახელმწიფო დაშალა, ბევრი ტერორისტი თავშესაფრის ძებნას საქართველოში ეცდება. ვინ დაიცავს საქართველოს მოსალოდნელი საფრთხისგან — ნატო?**

— **ნატო თავის თავს ვერ იცავს, რადგან ნატოს „დირექტორი“ — ამერიკა, თვითონვე არის ტერორისტული სახელმწიფოს შემქმნელი და მკვებავი.** რამდენიმე ხნის წინათ რუსეთის პრეზიდენტი გამოვიდა და პირდაპირ დაადანაშაულა თურქეთი — ნატოს წევრი ქვეყანა, რომ ის „ისლამური სახელმწიფოს“ ნაქურდალ ნავთობს ატარებს თავის ტერიტორიაზე და გააქვს მსოფლიო ბაზარზე. ვლადიმერ პუტინმა ფაქტები გამოამზეურა, მაგრამ რეაქცია არავის ჰქონია. ეს ტერორისტებთან თანამშრომლობაა.

**ამერიკამ „ისლამური სახელმწიფო“ ისე შექმნა, როგორც საერთაშორისო დანიშნულების მქონე სტრატეგიული იარაღი. ტერორისტული სახელმწიფო ბირთვული იარაღის საპირწონედ შექმნეს, რადგან ბირთვული იარაღი დამანგრეველია და მისი გამოყენება არავის სურს. „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნით ამერიკელებმა კაცობრიობის ისტორიაში არნახული და გაუგონარი რამ ჩაიდინეს — ტერორისტებს სახელმწიფო შეაქმნევინეს.**

**ეს მონსტრი ჩვენს ქვეყანასაც ემუქრება, ტერორისტებს საქართველო საკუთარ ვილაიეთად აქვთ გამოცხადებული. მხსნელი მხოლოდ რუსეთია, მხოლოდ მას შეუძლია „ისლამური სახელმწიფოს“ ბედის გადაწყვეტა.**

საქართველოს ხვალინდელი დღე რუსეთის სიძლიერესა და მის გამარჯვებაზეა დამოკიდებული.

**— და, თუ ჩვენი ხელისუფლება განაგრძობს რუსეთის ისეთ შეურაცხყოფას, როგორიც თინა ხიდაშელმა გაბედა, როგორ ფიქრობთ, გვერდით დაგვიდგებიან?**

— თუკი რუსეთი იგრძნობს, რომ უარყოფითი იმპულსები, რომლებიც საქართველოდან მიდის, არის გარედან თავსმოხვეული და საქართველოს მოსახლეობა ასე არ ფიქრობს, რა თქმა უნდა, რუსეთის დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი შეიცვლება. მეზობელ ქვეყანას უამრავი ბერკეტი აქვს, რომ ჩვენ მათი დამანგრეველი შედეგები ვიწვნიოთ, ამისთვის ომი აუცილებელი არ არის, მაგრამ საბედნიეროდ, ასე არ აკეთებს. **რუსეთმა იცის, რომ ქართველი ხალხის დამოკიდებულება მათდამი არ ემთხვევა ხელისუფლების თვალსაზრისს.**

**— ბატონო ვალერი, როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, თინა ხიდაშელის უაპელაციო განცხადებებმა ომში ჩაგვაბას? ჩვენ გვახსოვს 2008 წლის ომი და მისი გამომწვევი მიზეზები.**

— არა მგონია, ხიდაშელის განცხადებების გამო რუსეთმა ომი დაგვიწყოს, მაგრამ ცუდია, რომ ხელისუფლებაც ასე ფიქრობს. ამას ხიდაშელის დაუსჯელობა მალაპარაკებს. **საქართველოს თავდაცვის მინისტრი თავისი მომზადების დონით, ინტელექტით, მეტყველებით და თუნდაც ჟესტიკულაციით არანაირად არ შეეფერება მინისტრის თანამდებობას. თინას არ აქვს ის განათლება, რომ მინისტრის პორტფელი ჰქონდეს.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ე.წ. დასავლური ღირებულებების დევნის პროცესში საქართველო გადაიქცა თურქეთის ალებ-მიცემობის ბაზრად და, თუ ქართველებმა თავს არ შემოვუძახეთ, 2021 წელს, როდესაც ყარსის ხელშეკრულება ძალას დაკარგავს, თურქეთის ეკონომიკური ექსპანსია პირდაპირი სამხედრო აგრესიით შეიცვლება და ჩვენი ამომგდები თურქეთი აჭარა-გურიის, ანუ თურქეთის გურჯისტანის ვილაიეთის ტერიტორიებს დაიკავებს.**

ახალი მსოფლიო
www.geworld.net

# ვნახე ყაზანი და... შემეცოდა საქართველო

**თათრეთის დედაქალაქ ყაზანში პირველად ზუსტად 40 წლის წინათ მოვხვდი ჩემი ნების საწინააღმდეგოდ — საბჭოთა არმიის რიგებში გამიწვიეს 18 წლის ბიჭი და, აბა, რა უნდა მექნა?!**



იმხანად ჭირის დღესავით მძულდა ყველაფერი საბჭოთა და, შესაბამისად, ყოველივე ამერიკულს ვეთაყვანებოდი დასავლური „რადიოხმების“ პროპაგანდით გონებადაბნელებული ყმაწვილი და რა ჯანდაბა წამიყვანდა ჩემი სურვილით ყაზანში, რომლის შესახებაც მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ჩემი საძულველი სსრკ-ის დამაარსებელ ლენინს ყაზანის უნივერსიტეტი დაუმთავრებია ოდესლაც. მოგვიანებით ისიც შევიტყვე, რომ სტალინის ვაჟი **ვასილი** ყაზანში გადაუსახლებია ნაძირალა ნიკიტა ხრუშჩოვს, სადაც აღსრულებულა კიდეც უბედური ვასია.

თუმცა ყაზანი ვნახეო, — ვერ ვიტყვი, რადგან ჩემი იქ ყოფნის ერთი თვის განმავლობაში, რუხი ფერის ყაზარმების გარდა, არაფერი შემორჩენია ჩემს მეხსიერებას...

ჰოდა, თვითმფრინავში ასულს შოთას სიტყვები ამეკვიატა:

„სად წაიყვან სადაურსა, სად ალუღფხვრი სადით ძირსა...“ ნამდვილად აღარ მეგონა, თუ ოდესმე კიდევ მომიწევდა ყაზანში ჩასვლა...

მართლაც, **თუ წლების წინათ წითელ არმიაში ძალით გამიწვიეს, ახლა სრულიად მოულოდნელად საერთაშორისო ფორუმზე „თათრეთის მეგობრები და პარტნიორები“ მიმიწვიეს.**

ამიტომ წასვლის წინ, ჩემი ცოდნის შემოწმების მიზნით, ყაზანზე ენციკლოპედიური ცნობები მოვიძიე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თათრეთის დედაქალაქი, ლენინ-სტალინის გარდა, სხვა რამითაც ყოფილა ცნობილი და საინტერესო.

მონღოლთა ურდოებმა XIII საუკუნის დასაწყისში ლამის მთელ ევრაზიას გადაუარეს (მათ შორის, საქართველოსაც) და ე.წ. ოქროს ურდოს სახელწოდებით მონღოლურ-თურქული სახელმწიფო დააარსეს, რომლის შემადგენლობაში რუსეთის მნიშვნელოვანი ნაწილიც მოექცა.

XV საუკუნეში, ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ, სამი დამოუკიდებელი სახანო ჩამოყალიბდა — ასტრახანის, ყაზანისა და ყირიმის. მათგან პირველი ორი — ასტრახანი და ყაზანი — ივანე მრისხანემ აიღო, ხოლო ყირიმის სახანო ეკატერინე დიდმა XVIII საუკუნის ბოლოს შეუერთა რუსეთის იმპერიას.

ასე რომ, ვლადიმერ პუტინმა ყირიმის ხელმეორედ შემოერთებით ისტორიული სტატუს-კვო, გნებავთ, სამართლიანობა აღადგინა.

ეს ისე, როგორც იტყვიან, მცირე ისტორიულ-ლირიკული გადახვევა.

რაც შეეხება დღევანდელ თათრეთსა და მის დედაქალაქ ყაზანს, დაახლოებით 4 მილიონი კაცი ცხოვრობს თათრეთის მრავალეროვან რესპუბლიკაში, რომელიც რუსეთის ევროპული ნაწილის აღმოსავლეთში მდებარეობს. მისი ფართობი 68 000 კვადრატული კილომეტრია და ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ რესპუბლიკად ითვლება რუსეთის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს შორის. თათრეთს რუსეთში წამყვანი როლი უკავია გაზისა და ნავთობის წარმოებაში. აქ აწარმოებენ თვითმფრინავებსა და ავტომობილებს (ლეგენდარული კამაზები). არის რამდენიმე აეროპორტი.

ყაზანი მდინარე ყაზანკაზე გაშენებული თანამედროვე ქალაქია, რომლის მოსახლეობაც ერთ მილიონს შეადგენს. ის ერთ-ერთია რუსეთის იმ ქალაქებიდან, რომლებსაც მეტროპოლიტენის ლამაზი სადგურები ამშვენებს. ყველა სადგურს თავისი დამახასიათებელი სტილი აქვს. ზოგში თანამედროვე დიზაინი სჭარბობს, ზოგში აზიური კულტურისა თუ შუასაუკუნეების შტრიხები შეიმჩნევა.

ყაზანის მეტროპოლიტენის ერთ სადგურს ამშვენებს 22 მოზაიკური ფრესკა, რომლებშიც თათრული ტრადიციული ზღაპრების სცენებია ასახული.

1804 წელს რუსეთის მეფემ ალექსანდრე I დააარსა ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სწორედ იქ არის ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკა რუსეთში.

ყაზანი ითვლება გავლენიან საგანმანათლებლო და კულტურულ ცენტრად, რომელმაც დასაბამი მისცა სხვა უნივერსიტეტების არსებობას თათრეთში. ბიბლიოთეკაში მოიპოვება 5 000 000 წიგნი და ნაშრომი, რომელთა შორის 30 000 ძველი ხელნაწერია; ზოგიერთი მათგანი მე-9 საუკუნითაა დათარიღებული.

ერთი სიამოვნებაა ბაუმანის სახელობის ცენტრალურ ქუჩაზე გასეირნება. იქაურობა სავსეა თვალისმომჭრელი მაღაზიებითა და კაფეებით.

**ყაზანის ღირსშესანიშნაობებში შედის კრემლის „მხცოვანი“ ციხესიმაგრე თავისი შენობა-ნაგებობებით, რომლებიც მე-16 საუკუნით თარიღდება. რუსეთის ტერიტორიაზე ეს დღემდე შემორჩენილი ერთადერთი თათრული ციხესიმაგრეა.**

**ქვის გალავნიანი ყაზანის კრემლის შიგნით განთავსებულია სიუიუმბიკეს კოშკი, რომელიც პიზის კოშკივით გადახრილია, აგრეთვე, თათრეთის სამთავრობო შენობები, მეჩეთი და მართლმადიდებლური ეკლესია.**

2000 წელს ყაზანის კრემლი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანეს. კრემლის არქიტექტურა განსაკუთრებით ღამით ატყვევებს მნახველთ, როცა მისგან გამოტყორცნილი შუქი თვალისმომჭრელად ლივლივებს მდინარეზე.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ 2018 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი ჯგუფის მასპინძლობის პატივი ყაზანსაც ერგო.

**ცალკე აღნიშვნის ღირსია თათრული ენა, რომელიც რუსულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსს ატარებს. ზემოხსენებულ ფორუმზე, რომელზეც გახლდით მიწვეული, ძირითადად თათრულ ენაზე მიდიოდა საუბარი და თქვენს მონა-მორჩილს ყურსასმენებით მიწევდა სინქრონული თარგმანის მოსმენა — აბა, ჩვენს მაღალჩინოსნებს კი არ ჰგვანან, რომლებიც, იციან თუ არა, შინ თუ გარეთ, სამარცხვინო ინგლისურით ჟღურტულში რომ ეჯიბრებიან ერთმანეთს?!**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთ რიტორიკულ კითხვას დავსვამ: **ვინ უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტია — რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ავტონომიური რესპუბლიკა თუ „თავისუფალი საქართველო“?**

რადგანაც ამ კითხვის პასუხიც ერთმნიშვნელოვანია, ამიტომაც შემეცოდა საქართველო, რომელმაც 25 წლის განმავლობაში ნატო-ევროკავშირის ქიმერის დევნაში ყველაფერი დაკარგა, რითაც დღეს ამაყობს რუსეთის მიერ „დამონებული“ ყაზანი. აღარც მრეწველობა, აღარც სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, ხელოვნება, მწერლობა და ა.შ. სხვა მრავალი რამ, რის გამოც შეიძლება ამა თუ იმ ქვეყანას დამოუკიდებელი უწოდო...

**ე.წ. დასავლური ღირებულებების დევნის პროცესში საქართველო გადაიქცა თურქეთის ალებ-მიცემობის ბაზრად და, თუ ქართველებმა თავს არ შემოვუძახეთ, 2021 წელს, როდესაც ყარსის ხელშეკრულება ძალას დაკარგავს, თურქეთის ეკონომიკური ექსპანსია, პირდაპირი სამხედრო აგრესიით შეიცვლება და ჩვენი ამომგდები თურქეთი აჭარა-გურიის, ანუ თურქეთის გურჯისტანის ვილაიეთის ტერიტორიებს დაიკავებს.**

მით უმეტეს, რომ ამის მსგავსი მაგალითი ცნობილია თურქეთის მიერ კვიპროსის ოკუპაციის სახით...

აი, **ამ გზით აღსრულდება ნატოში შესვლის ქართული ოცნება — ნატოში თუ არ გვიღებენ ქართველებს, თურქეთის სახით ნატო შემოვა საქართველოში...**

ეს რომ არ მოხდეს, როგორც ზემოთ ვთქვი, საქართველომ დროულად უნდა „შემოუძახოს თავს“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლებაში მოვიყვანოთ ის პოლიტიკური ძალა, რომლის სტრატეგიული მოკავშირე არა ამერიკა, ევროპა თუ ნატო, არამედ, პირველ რიგში, ქართველი ხალხი იქნება; ქართველი ხალხი, რომელმაც იცის, რომ საქართველოს დღეს, პირველ რიგში, სტრატეგიული მოკავშირე კი არა, სტრატეგიული მფარველი სჭირდება და ასეთად, როგორც 2 საუკუნის წინათ — მეფე ერეკლეს, ქართველ ხალხსაც მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთი ეგულება.

აქ არ იგულისხმება საქართველოს შეერთება რუსეთთან და მეტსაც ვიტყვი, რომც მოვისურვოთ მსგავსი რამ, ამას თვით რუსეთი არ იზამს — აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს არ იერთებს ამ „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, დონბას-ლუგანსკის მიერთებაც არ განიხილება რუსეთის პოლიტელიტაში და საქართველოს მიერთებით რატომ აიტკივებს თავს ჩვენი დიდი მეზობელი?!

**ერთადერთი, რასაც რუსეთი ითხოვს ჩვენგან, ეს არის მისი სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინება სამხრეთ კავკასიაში და, ვფიქრობ, სრულიად სამართლიანი მოთხოვნაა.**

მოკლედ, მფარველობას დამსახურება უნდა და არა ჩვენი ტუტუცი თავდაცვის მინისტრი ქალბატონის მიერ რუსი ხალხის შეურაცხყოფა, — ლენინგრადის ბლოკადის პერიოდში ვირთხებსა და კატებს ჭამდნენო...

ვინც ბრმა არ არის, ხედავს, რომ დღეს რუსეთი მარტოდ-მარტო ებრძვის ლამის მთელ მსოფლიოს, რომელიც, აშშ-ის თამადობით, უილაჯოდ შეჰყურებს ხმელეთიდან, ზეციდან, წყლიდან თუ წყალქვეშეთიდან წამოსულ რუსულ ფრთოსან რაკეტებს.

**სირიაში ტერორიზმთან ბრძოლის კამუფლაჟით, ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს, გოგსა და მაგოგს, გნებავთ, მართლმადიდებელ სამყაროსა და მის გასანადგურებლად შემართულ ე.წ. ლიბერალურ დემოკრატიას შორის, ანუ, ერთი მხრივ, კონსერვატიული, ტრადიციული, ეროვნული ღირებულებები დევს სასწორზე და, მეორე მხრივ, ნეოლიბერალური გარყვნილება ერთნაირსქესიანთა ქორწინებებისა და გეიაღლუმების თანხლებით — პირველის ბაირახტარი მართლმადიდებელი რუსეთია, ხოლო მეორესი — ხლისტების აშშ.**

რუსეთია ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე აკრძალა გეიპროპაგანდა; ქვეყნიდან გააძევა სოროსის ფონდი; უკიდურესად შეზღუდა ე.წ. მესამე სექტორი იმ არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებიან და ა.შ. სხვა მრავალი...

აქედან გამომდინარე, **რუსეთის მარცხი გამოუცხადებელ მესამე მსოფლიო ომში, ცივილიზაციის, კულტურული მსოფლიოს აღგვას ნიშნავს პირისაგან მიწისა, რაც, არა მგონია, არსთა გამრიგემ დაუშვას.**

რუსეთის გამარჯვების საწინდარი მის სამხედრო ძლიერებასთან ერთად ისიც არის, რომ რუსეთის ხელისუფლება და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, ერთსულ და ერთხორც არიან.

**ტუტუც თინა ხიდაშელს ჰგონია, რომ ლენინგრადის ბლოკადის დროს კატებისა და ვირთხების ჭამის შეხსენებით რუსები შეურაცხყო. არადა, პირიქით — ამით თინა მამიდამ რუსეთის უძლეველობა აღიარა.**

**სანქციების შედეგად რუსების ქუჩაში გამოსვლისა და ხელისუფლების დამხობის ამერიკულმა პროექტმა, რბილად რომ ვთქვათ, მარცხი განიცადა — ეკონომიკურმა სანქციებმა პუტინის გარშემო შეკრა და დარაზმა რუსეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა და დიახაც, დოლარებისთვის მებრძოლი, პედერასტებით გავსებული ნატოს (წაიკითხე — აშშ) ჯარები ვერაფერს დააკლებენ იდეისთვის მებრძოლი რუსი მუჟიკების არმიას.**

ჰოდა, მკითხველმა განსაჯოს, **რა ურჩევნია საქართველოს ამ ომში — ჩვენი „ისტორიული მტრის“ რუსეთის მხარეს ყოფნა, რომელსაც დროებით აქვს ოკუპირებული ჩვენი ტერიტორიების 22% თუ ყოფნა ჩვენი „ისტორიული მეგობარი“ თურქეთის მხარეს, რომელსაც სამუდამოდ აქვს მიტაცებული საქართველოს 33 %?**

რუსეთის ორბიტაზე ყოფნა და თათრეთის ყაზანის მსგავსი კულტურული ავტონომია და ერთმორწმუნოებრივი მფარველობა თუ აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირეობა და, აქედან გამომდინარე, „თავისუფლება“?

დღეს რუსეთ-საქართველოს ერთმორწმუნეობა არანაკლებ, შეიძლება უფრო მეტადაც კი, აქტუალურია, ვიდრე 2 საუკუნის წინათ იყო, რადგან მართლმადიდებლობაშია ქართველთა ზნეობრივ-მენტალური გადარჩენა, მართლმადიდებლობის გადარჩენის მისია კი უფალმა რუსეთს დააკისრა.

**დავით მხეიძე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აქ ისეთი „სტრანა ჩუდესი“ ტრიალებს და ელისაც, ალასაც და ელისოც ისეთი სისულელეებით წევენ ხოლმე ერთ ამბავს, ეს გამოდებილებული ქართული მედიაც ისეთი ენთუზიაზმით აჰყვა და 24 საათი ჰყავს ხოლმე ტელევიზორში გამოკვეხებული ეს ოდიოზური ფიგურები, რომ სრულიად თავისუფლად შეგვიძლია განვაცხადოთ: „ჩვენთვის კვირა არ არსებობს, პასტაიანად შაფათია, პასტაიანად შაფათია!“**

# ელისა, ალასა და ელისო საოცრებათა ქვეყანაში

**არჩევანი ისეთი ფართოა, პირდაპირ, აღარ ვიცით, რომელი საოცრებით დავიწყოთ — „მილიონერი პატიმრებით“, „სასწაულმოქმედი დიპლომატიური სამკუთხედით“ თუ „ძალიან ინფორმირებული ჩიტით“.**




მართლაც, ბევრი საოცრება ხდება ამ ქვეყანაში და „ჯადოსნური სარკის“ როლს ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ასრულებს. **ამ ტელევიზიის თანამშრომლებისთვის ნამუსთან არავითარ შეუსაბამობას არ წარმოადგენს ის, რომ, ვინც გუშინ „ყველაზე მახინჯი“, „ყველაზე უდონო“, „ყველაზე სამარცხვინო“ და „ყველაზე უტვინო“ იყო, დღეს პირიქით — „ვსეხ კრასივეე, ვსეხ მილეე, ვსეხ უმნეე“-დ წარმოგვიჩინოს.**

თითქმის ათეული წლის განმავლობაში, „რუსთავი 2“-ისთვის რომ გეკითხათ, ირაკლი ალასანია „არასერიოზული ტიპი“ იყო, ალეკო ელისაშვილი — „შეურაცხადი, უტვინო და პოპულისტი“, ხოლო ელისო კილაძე ხომ საერთოდ — „ბანძი“ „უდონო“ „გოიმი“ „ჭორიკანა“!

თუკი ვინმე გაუბედავდა და შეეკითხებოდა, ამ ხალხს რატომ არასოდეს იწვევთ ეთერშიო, პასუხი გატეგორიული იყო: “ისეთი ძალიან სერიოზული და სოლიდური ტელეკომპანია, როგორიც ქვეყანაში ყველაზე რეიტინგული და სანდო „რუსთავი 2“-ია, ასეთ პერსონებს ეთერს ვერ დაუთმობს. ეს უარყოფითად იმოქმედებს ჩვენი ტელევიზიის იმიჯზე და ჩვენი დახვეწილი მაყურებელი ამას ცუდ ტონად ჩაგვითვლისო, — ამაყად აცხადებდნენ „რუსთავი 2“-ის მესვეურები.

ამიტომაც არის საინტერესო მათი აზრი ახლა, **ნეტავ, ირაკლი ალასანიას მოემატა „სერიოზულობა“, ალეკო ელისაშვილმა შეიძინა „შერაცხადობა“ თუ ელისო კილაძე გახდა „სვეტი“ და „პრადვინუტი“?**

ასეა თუ ისე, ფაქტია — ირაკლი ალასანიაც, ალეკო ელისაშვილიც და ელისო კილაძეც, ბოლო ორიოდე თვეა, „რუსთავი 2“-ის ყველაზე სასურველი სტუმრები და ყველაზე „სანდო რესპონდენტები“ გახდნენ.

გიორგი გაბუნიას განსაკუთრებით შეუყვარდა ეს სამეული, შეიძლება ითქვას — შალვა ნათელაშვილზე მეტადაც კი!

მათი წარმოთქმული არც ერთი ფრაზა, არც ერთი სიტყვა, არც ერთი ინტიონაციაც კი არავითარ ეჭვს აღარ იწვევს, კითხვის შებრუნებაც აღარ არის საჭირო! **ამ ტელეკომპანიის „რესპონდენტთა გაწურვით“ სახელგავარდნილ წამყვანებსაც და მათ მაყურებლებსაც უაპელაციოდ სჯერათ, რომ ალასანიამ ჩამოაშორა ხელისუფლებას სააკაშვილი და ახლა მეტროში და სხვა ტრანსპორტში ხალხი ერთხმად უჭერს მხარს „თავისუფალ დემოკრატებს“, რომ „რომელიღაცა ჯერვერდასახელებული პატიმრის ასევე ჯერვერდასახელებული გულშემატკივრები ერთ მილიონ ლარს იხდიდნენ იმაში, რომ იგი შეწყალებულთა სიაში ჩაესვათ“, რომ „მალე გასაჯაროვდება დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც მოქმედი მთავრობის წევრები ხალხს სისხლს სწოვენ“ და ასე შემდეგ.**

არა, ძალიანაც რომ ვამტკიცო, დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერი და მეხოტბე ვარ-მეთქი, სხვა თუ არაფერი, ამას ამ ხელისუფლების წარმომადგენლებიც არ დაიჯერებენ ჩემგან, მაგრამ შეუძლებელია, არ ვთქვა, რომ ელისას, ალასას და ელისოს ასე დაბეჯითებითი ჩახუტება „რუსთავი 2“-ისგან ძალიან საფუძვლიან ეჭვს იწვევს.

რა თქმა უნდა, „რუსთავი 2“-ს ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ იგი ეჭვთა ჯაჭვის მთავარი კვანძია, თორემ ისე, საეჭვო სხვაც ბევრი რამაა.

მაგალითად, ის ფაქტი, რომ „ნაციონალებისაგან“ აგორებული რაიმე კონკრეტული მესიჯი უმალ ხდება ხოლმე როგორც ელისას, ასევე ალასას და მათ კვალდაკვალ — ელისოს მიერ ატაცებული და ისინი ხმაშეწყობილად საუბრობენ იმავე „პრობლემაზე“ რაზეც „ნაცები“ იწყებენ „პირველ ხმას“.

სხვათა შორის, „პირველი ხმაც“ — მხოლოდ სიმბოლური ტერმინი არ არის ამ შემთხვევაში და ის, ჩემი აზრით, სავსებით ლოგიკურად გვირგვინდება „ბანით“.

დიახ, „ბანით“, რომელიც ასევე მოულოდნელად და „ჯადოსნურად“ შეუყვარდა ბოლო დროს „რუსთავი 2“-ს.

დიახ, **ეს სწორედ ის „ბანია“ რომელიც, სულ რაღაც, ოთხიოდე წლის წინათ იმავე „რუსთავი 2“-ის მეტად „მრისხანე“ წამყვანთა სიტყვებით: „მოსკოვში, კრემლში პუტინს უმღეროდა“!**

დიახ, ეს სწორედ ის „ბანია“, რომელიც „ქართველი ხალხისთვის, უკვე კარგა ხანია, მიუღებელი გახდა“...

მაგრამ, აბა, ჩვენ რისთვის გვაქვს „საოცრებათა ქვეყანა“?!

**პაატა ბურჭულაძე** — „რუსთავი 2“-ზე სტუმრობისას:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ მისმენენ. დიახ, რიოდესაც მე ვსაუბრობ ჩემს ახლობლებთან, უცხოელ მეგობრებთან ტელეფონით, მობილური უცებ ითიშება ხოლმე და მე მერე მათთვის მიწევს ახსნა, რაღაცების. ხანდახან იმის თქმაც მიწევს, რომ მისმენენ, რადგან სხვა გზა აღარ მრჩება“.

აი, ბატონო, როგორი „რკინის ლოგიკით“ გვიმტკიცებს ბატონი „ბანი“, რომ მას უსმენენ. თან უცხოეთში იმის პროპაგანდასაც ეწევა, რომ დღევანდელი ხელისუფლება მოსმენებით არის დაკავებული და ამას, აი, ამ „ზღაპრულ-ჯადოსნური“ მიზეზით ხსნის — „მეტი გზა აღარ მრჩება“.

**ბატონ „ბანს“ 9 წლის განმავლობაში ერთხელაც არ შეჰპარვია თურმე ეჭვი, რომ უსმენდნენ, რადგან უცხოელ მეგობრებთან ლაპარაკისას ტელეფონი თურმე ერთხელაც არ გათიშულა და სულ ლიწინ-ლიწინით მიდიოდა საუბარი!**

ყოველ შემთხვევაში, იმ დროს, როდესაც ტელეეთერები მიჰქონდა ფარული მიყურადების ჩანაწერებს და მთავრობა სულაც არ დაგიდევდა მათ კანონიერებას, ისე აქვეყნებდა ფარულად ჩაწერილ პირად საუბრებს, მაშინ „ბანის“ ერთი „კრინიც“ კი არავის გაუგონია ამ თემაზე.

ახლა კი, რა თქმა უნდა, როდესაც უცხოელ მეგობარს ელაპარაკებით საერთაშორისო ხაზით და უცებ ზარი შეწყდება, რა თქმა უნდა, იმ მეგობარს უნდა უთხრათ, რომ თქვენ ძალიან ცუდი მთავრობა გყავთ და ეს მთავრობა ფარულად გისმენთ. აბა, რა! საერთაშორისო ზარში ხარვეზის სხვა უფრო ლოგიკური ახსნა განა არსებობს?

მერე რა, თუკი სწორედ იგივე სისულელე ორიოდე კვირით ადრე „ნაციონალური მოძრაობის“ თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილმა სახემ დაწერა სოციალურ ქსელში, ზოგმა კი ეთერშიც განაცხადა. ეს, უბრალოდ, დამთხვევაა.

დამთხვევაა ისიც, რომ ზუსტად იგივე — მითვალთვალებენ, ვერცხლისფერი „ბე-ემ-ვე“ დამსდევს და მისმენენ — ორიოდე კვირის შემდეგ **ალეკო ელისაშვილმაც** გაიმეორა და ერთი ამბავიც აწია მედიით.

დამთხვევაა, როდესაც **ელისო კილაძეც** იმავე თემით ტეხს აურზაურს, — მალე გამომჟღავნდება ფარული მიყურადების ახალი ფაქტები. მერე რა?! ჟურნალისტია და მოიპოვა, ბატონო, „ჩიტისგან“ კონფიდენციალური ინფორმაცია...

მოკლედ, ამ ჩვენს „საოცრებათა ქვეყანაში“ უკვე იმდენი „მერე რა“ გვაქვს, რომ ამ „მერე რა“-ებზე დაკვირვებით სრულიად თავისუფლად შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, ვინ ვისთან არის ფარულად დაკავშირებული და სრულიად თამამად შეგვიძლია, ტოტალიზატორზეც კი დავდოთ „ლაბავოი ორიანი“ და სრულიად დარწმუნებული ვიყოთ, რომ 2016 წლის არჩევნების მოახლოებასთან ერთად ყველა ეს პროგნოზი აუცილებლად გამართლდება.

სხვათა შორის, ელისას ახალი „გამბიტი“, ანუ შეწყალების კომისიაზე ზემოქმედებაში „ოცნების“ წარმომადგენელთა ბრალდება და, საზოგადოდ, პატიმართა შეწყალების თემაზე დიდი ხმაურის აწევა „ნაციონალების“ ერთ-ერთი, დროებით მივიწყებული „კოზირია“.

თუ გავიხსენებთ, სწორედ ეს თემა იყო, რომლითაც ახალდამარცხებულმა „ნაცებმა“ 2013 წლის დასაწყისშივე „ქოცებზე“ პირველი იერიში მიიტანეს და, როგორც მახსოვს, ამას პარლამენტში, სიტყვიერი შეხლა-შემოხლის გარდა, ფიზიკური გაწევ-გამოწევაც კი მოჰყვა.

ახლა კი ამას „ღირსეულად“ განაგრძობს „წმინდა“ ალეკო ელისაშვილი და ღმერთმა უწყის, რას ბურტყუნებს ხოლმე იმის შესახებ, თოთქოს მასზე რაღაც ზეწოლას ახდენდნენ და თურმე ქართველ პატიმრებს იმდენი ფინანსური შესაძლებლობებიც კი ჰქონიათ, რომ არაერთი პატიმრის გარეთ გამოშვებაში, ანუ შესაწყალებელთა სიაში შეტანის სანაცვლოდ, არც მეტი, არც ნაკლები, მილიონ ლარს იხდიდნენ და 200 ათასი ბედ გაუციათ.

გამოცანად რჩება ის, თუ რატომ არაფერი თქვა ორი წლის წინათ შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ელისაშვილმა ამ მძიმე კანონდარღვევის შესახებ. რაც შეეხება მის სულელურ მტკიცებას, რომ ის თურმე პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროკურორებს „მოუყვა“ ამ ამბავს, აქ ელისაშვილმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს — სულელია თუ ქოსატყუილა.

პირველ შემთხვევაში, გამოდის, ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობის პირმა არ იცოდა, რომ პროკურატურაში თუ სხვა ინსტანციაში „ტლიკინით“ საქმე არ კეთდება და მათ ოფიციალურად, წერილობით უნდა მიმართო, რათა შემდეგ პასუხიც ოფიციალურად მოითხოვო.

**მეორე შემთხვევაში, გამოდის, რომ ელისა, უბრალოდ, ქოსატყუილაა და, როგორც არაერთხელ ყოფილა, მისი ატეხილი აჟიოტაჟი ამჯერადაც სრულიად „ცრუ განგაშია“.**

თუმცა, არა! სწორედ მაშინ, როდესაც მე ამ პუბლიკაციისთვის უკვე წერტილის დასმას ვაპირებდი, გავრცელდა სენსაციური ინფორმაცია: „ალეკო ელისაშვილმა პროკურატურას გადასცა თავისი მობილური ტელეფონი, სადაც ინახება რამდენიმე იმდროინდელი მესიჯი, როდესაც ელისაშვილი შეწყალების კომისიის თავმჯდომარე გახლდათ“.

მორჩა! ახლა კი ვერსად დაუძვრება მართლმსაჯულებას ის ძალიან დებილი ვიღაც „ოცნების“ დეპუტატი, რომელმაც ელისაშვილს მესიჯად მისწერა, — „200 ათასი ბედ მაქვს აღებული“-ო.

კაი, კაცო, რომელი გამოშტერებული მიწერდა მაგას ვინმეს მესიჯად?! განა ვინ არ იცის, რომ მესიჯის შენახვა და მერე მისი გამოყენება გამომგზავნის წინააღმდეგ თავისუფლად შეიძლება?! — წამოიძახებს, ალბათ, ნებისმიერი ოდნავ მოაზროვნე მკითხველი.

აბა, მაგას არ ვამბობ მეც?!

ან კიდევ: ის რა ცირკია, ელისაშვილი მთელი ორი კვირა რომ გაიძახოდა: „ორშაბათს მივცემ პროკურატურას ტელეფონს“-ო?! რა, თუკი ასეთი მძიმე სამხილებია იმ ტელეფონში, ხუთშაბათს ან პარასკევს მიცემა არ შეიძლებოდა, ან თუნდაც კვირას?!

თუმცა რა, აქ ისეთი „სტრანა ჩუდესი“ ტრიალებს და ელისაც, ალასაც და ელისოც ისეთი სისულელეებით წევენ ხოლმე ერთ ამბავს, ეს გამოდებილებული ქართული მედიაც ისეთი ენთუზიაზმით აჰყვა და 24 საათი ჰყავს ხოლმე ტელევიზორში გამოკვეხებული ეს ოდიოზური ფიგურები, რომ სრულიად თავისუფლად შეგვიძლია განვაცხადოთ: „ჩვენთვის კვირა არ არსებობს, პასტაიანად შაფათია, პასტაიანად შაფათია!“

შენ დაუკარ! შენ იცეკვე, შენ „ნიჟიერის“ ჟიურიში დაჯექი და ქვეყანაც აშენდება, აბა, რას იზამს?!

ალასანიას რაღაც ზებუნებრივი, არაამქვეყნიური, უცხოპლანეტური სამკუთხედი აშკარად ზეგარდმო ძალებმა ჩააგონეს და ის, უბრალოდ, გარკვეულ, ზენაარიდან მინიშნებულ დრომდე გვიმალავს მის ნამდვილ არსს და შესანიღბად რაღაცებს ბოდავს რუსეთსა და გერმანიაზე.

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამოუცნობი მოვლენები ქართულ პოლიტიკაში

**რა დღეშიც ჩააგდეს ჩვენი ქვეყანა ზედმეტად „ჭკვიანმა“ პოლიტიკოსებმა და სტრატეგოსებმა ბოლო 25 წლის განმავლობაში, ყველა ვხედავთ. არაფერს ვიტყოდი, „მიღწეული“ შედეგების გამო სინდისის ქენჯნით თავები რომ ჩაეღუნათ, ბოდიში მოეხადათ, ქვეყნის მართვას ჩამოშორებოდნენ და ასპარეზი უფრო ჭკვიანი ხალხისთვის დაეთმოთ. მაგრამ არა! რეგვენი რისი რეგვენია, თუ თავი ძალიან ჭკვიანად არ მიიჩნია და, მისი სირეგვნის გამო მიღებული შედეგების მიუხედავად, კვლავ ჯიქურ არ განაგრძო „ქვეყნის გადამრჩენელის“ როლის მორგება.**

ისიც უნდა ითქვას, რომ რთულია, ადამიანთა ამ დონის სირეგვნე დაიჯერო. რთულია იმის დაჯერებაც, რომ, მიუხედავად ხალხის წინაშე ჩადენილი ამდენი დანაშაულისა, საზოგადოება მაინც „აბელადებს“ და ხმას აღებინებს მათ.

ამიტომ ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტი მივიდა დასკვნამდე, რომ ჩვენს ამ „ბელადთა“ საქმიანობაში უკვე გარკვეული ზებუნებრივი ძალები არიან ჩართულნი, მაგრამ, ბევრი ძებნის მიუხედავად, შესაბამისი სამხილი მაინც ვერ მოიპოვა. უფრო სწორად, ვერ მოიპოვა მანამდე, ვიდრე მოულოდნელად არ მოჰკრა ყური **ირაკლი ალასანიას** ფარაზას: „მე შევიმუშავე სამკუთხედი, რომელიც საქართველოს ყველა პრობლემას გადაუწყვეტს“.

აბა, თქვით, როგორ შეიძლება, რომელიმე ქვეყანას პრობლემები მოუგვაროს სამკუთხედმა, თუკი ეს რაღაც ზებუნებრივი სამკუთხედი არ არის?! მით უმეტეს, ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა და რომელსაც არა მხოლოდ რომელიმე ერთი მიმართულებით, არამედ ყველა სფეროში და ყველა კუთხით წარმოუდგენლად დიდი პრობლემები აქვს?!

როგორც ჩანს, ალასანიას წამოსცდა ამ თავისი უცხოპლანეტური სამკუთხედის შესახებ ჟურნალისტებთან და, როდესაც მათ დაზუსტება სთხოვეს, ყველაზე თავისუფალმა დემოკრატმა უცებ უპასუხა, — მე ამ სამკუთხედში საქართველოს, რუსეთსა და გერმანიას ვგულისხმობდიო, და ჟურნალისტებიც დაშოშმინდნენ.

მაგრამ ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტი სხვებივით გულუბრყვილო არ არის და წამსვე გაუჩნდა ლოგიკური კითხვა: რა, განა საქართველო, რუსეთი და გერმანია აქამდე არ არსებობდნენ? არავინ იცოდა მათი არსებობა, ალასანიას გარდა, თუ რაშია საქმე?! ანდა, ის არ იცოდა არავინ, რომ ეს სამი ქვეყანა სამია და არა ჩვიდმეტი და, თუ მათ შორის ურთიერთობა შედგება, ეს სამკუთხედი იქნება და არა ცხრაკუთხედი?

აქ ხომ ის არის მთავარი, რომ ასეთ თანამშრომლობაზე დაგთანხმდეს გინდ ერთი და გინდ მეორე ქვეყანა და არ ის, რომ შენ უცებ ადგე და სამკუთხედი „გამოიგონო“?

მით უმეტეს, როდესაც ჩვენმა არც ისე სპეციალურმა კორესპონდენტმა თავისი ყურით მოისმინა ტელევიზორიდან ალასანიას ფრაზა, — მე ამ სამკუთხედის შემუშავებაზე რამდენიმე წელი ვმუშაობდიო, უკვე ყველაფერი ნათელი გახდა: ალასანიას რაღაც ზებუნებრივი, არაამქვეყნიური, უცხოპლანეტური სამკუთხედი აშკარად ზეგარდმო ძალებმა ჩააგონეს და ის, უბრალოდ, გარკვეულ, ზენაარიდან მინიშნებულ დრომდე გვიმალავს მის ნამდვილ არსს და შესანიღბად რაღაცებს ბოდავს რუსეთსა და გერმანიაზე.



აბა, იმის გააზრებას, რომ ამ დედამიწაზე რუსეთი და გერმანია არსებობენ და გარკვეულ პრობლემებზე საჭიროა მათთან კონტაქტი და მოლაპარაკება, რისთვის სჭირდებოდა რამდენიმე წელიწადი?!

არა! აქ სულ სხვა რამ იმალება და მოვა დრო, ყველაფერს სწორედ ალასანიას ბაგეებით გაგვიმხელს ვიღაც უცხოპლანეტელი ზეკაცი.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ **სულაც არ არის გამორიცხული, შურისა და ბოღმისგან მალე სხვა კონკურენტმა ბელადებმაც მიჰყონ ხელი სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურის „შემუშავება-გამოგონებას“!**

მაგალითად, **შესაძლოა, შალვა ნათელაშვილმა „შეიმუშაოს“ საქართველო-რუსეთი-გერმანია-საფრანგეთის ოთხკუთხედი, ან ჯონდი ბაღათურიამ უცებ „გამოიგონოს“ საქართველო-რუსეთი-გერმანია-საფრანგეთი-ინგლისის ხუთკუთხედი, ან სულაც ირმა ინაშვილმა „აღმოაჩინოს“ საქართველო-რუსეთი-გერმანია-საფრანგეთი-ინგლისი-იტალიის ექვსკუთხედი...**

რა ვიცით, ქართული დიპლომატიის შესაძლებლობები ამოუწურავია, ხოლო ქართველი „ბელადების“ ფანტაზია — შეუზღუდავი...

ამ დალოცვილ დედამიწაზეც 2 ასეული ქვეყანაა. რაც შეეხება გეომეტრიას, აქ ფიგურათა კუთხეების რაოდენობა თეორიულად სულაც განუზღვრელია და „უსასრულოკუთხედის“ არსებობაც კი არის დასაშვები.

ჰოდა, მაშ, ასე — წარმატებებს ვუსურვებთ ფენომენურ ქართულ დიპლომატიას!

# თოფაძე-სტალინის პაემანი რიყეზე

**მრეწველი გოგი თოფაძე სტალინს გასაიდუმლოებულ ვითარებაში შეხვდა. ინფორმაციას ჩვენი ანონიმური წყარო ადასტურებს და ამბობს, რომ სტალინ-თოფაძის გასაიდუმლოებული შეხვედრა რიყეზე, იუსტიციის სახლსა და შანგრილას შორის გაიმართა. როგორც წყარო ამბობს, თოფაძეს ციგეიკის შავი შუბა ეცვა და ცილინდრი ეხურა, რათა გამვლელებს არ ეცნოთ, იოსებ ბესარიონის ძე კი ულვაშებით იცნეს. წყარო ამ ფაქტის წინამდებარე ამბავს იხსენებს.**



**წყარო:** — საღამო იყო, ასე რვა საათი, ავტობუსიდან ჩამოვედი და ვიფიქრე, ცოტას ფეხით გავივლი-მეთქი და ბერიკებთან შევყოვნდი, წყალი დავლიე და გზას გავუყევი. მოულოდნელად შავმა ჯიპმა ჩამიქროლა და ხიდთან გაჩერდა, ყურადღებას არ მივაქცევდი, რომ არა მანქანის ნომერი და მაშინვე ვიცანი, რომ თოფაძე იყო. უმალ გავყევი მანქანას და ხიდთან ჩავიმალე, ჯიპიც იქვე იდგა. გადმოვიდა გოგი, როგორც ზემოთ ვთქვი, ციგეიკის შუბითა და შავი ცილინდრით. ხიდის ქვეშ რომ მოსასვენებელი ადგილია, იქ ჩაუყვა ნელი ნაბიჯით. გავიდა ერთი, ორი, სამი საათი, გოგი იჯდა და რაღაც ობიექტს გამალებით უყურებდა, თან ტელეფონს დასცქეროდა, როგორც ჩანს, ზარს ელოდებოდა. ღამის ორი საათია და ვხედავ, ციდან რაღაც ამოუცნობი ობიექტი ეშვება, ვხვდები, რომ დიდი ამბები უნდა მოხდეს და აღარ ვჩივი, რომ მცივა და მშია. მოულოდნელად, რაღაც არაამქვეყნიური სიკაშკაშე დავინახე, რამდენიმე წამით გაანათა და დედამიწისკენ წამოვიდა. მე უკვე ველარ ვხვდები, მეშინია თუ აღფრთოვანებული ვარ. ობიექტი დაეშვა, დიდი ლოდინის შემდეგ გოგი დაიძრა და ნელი ნაბიჯით რიყისკენ დაეშვა, ცილინდრი კიდევ უფრო ჩამოიწია და თავი შუბაში ჩარგო. მე, რა თქმა უნდა, მივყვები და ვცდილობ, შეუმჩნეველი დავრჩე. გოგი მიუახლოვდა ობიექტს, „ჩესტი“ აუღო და მასთან შესახვედრად მოემზადა. ობიექტის კარი გაიღო და დავინახე შავ „პლაშში“ გამოწყობილი ქუდიანი კაცი ნაცნობი ღიმილითა და ჩიბუხით ხელში, თუმცა იმ მომენტში ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ეს იოსებ ბესარიონის ძე იქნებოდა. გოგი ღიმილითა და პირზე კოცნით შეეგება სტუმარს. იოსებ სტალინს ხელში ახალი აიფონი ეჭირა და „ფეისბუქზე“ პოსტებს ათვალიერებდა, თან გოგის ეკითხებოდა, — რა ხდება „ნაცებში“, ჩემზე კიდევ ლაპარაკობენო?

**გოგიმაც უპასუხა**, — დიდი ამბებია, ხალხი გადარეულია, შენი სახელის გაგონებაც კი არ უნდათო.

**სტალინი:** — კარგი, საქმეზე გადავიდეთ, როგორც ჩანს, გაგჭირვებიათ, რა ხდება, აბა, მომიყევით, ბევრი დრო არ მაქვს.

**გოგი:** — ბატონო სოსო, კი ხედავთ, რა ვითარებაც არის ქვეყანაში, სამი წელია, მოვედით ხელისუფლებაში და ხან რა შარი მოგვდეს ამ „ნაცებმა“ და ხან — რა. ვერ ვერევით, რამდენჯერ უთქვამს ბატონ ბიძინას, ერთი სტალინი იყოს აქ, მერე ნახავდნენ ეგენი სეირსო და გადავწყვიტე, რომ თქვენი გამოცდილება ჩვენთვის მეტად საინტერესო იქნება. მოკლედ, „ნაცები“ უნდა მოვიშოროთ და თქვენი დახმარება დაგვჭირდება, არც ჩვენ დაგრჩებით ვალში.

**სტალინი:** — ოო, არ დაგმართნიათ კარგი საქმე, მეც კი ვუყურებ მოვლენებს ზემოდან, მაგრამ ასე თუ გაგიჭირდათ, არ მეგონა. ბატონმა ბიძინამ იცის ჩვენი შეხვედრის შესახებ?

**გოგი:** — წუხელ შევხვდი და მითხრა, იქნებ დაამყარო კომუნიკაცია სოსოსთან და ერთი კაი ძეგლი ჩემზე იყოს, სადაც მეტყვისო.

**სტალინი:** — მე რომ თქვენს ადგილზე ვყოფილიყავი, „ნაცებს“ არ გავაჭაჭანებდი, მაგრამ მომინდომეთ კოაბიტაცია და, აი, მიიღეთ ის, რაც სრულიად ლოგიკური იყო. ბატონო გოგი, ახლა ცოტა გაჭირდება ამ ამბის ასე მალე მოგვარება, მაგრამ ჩემს გამოცდილებას მაქსიმალურად გაგიზიარებთ.

**გოგი:** — მადლობელი ვიქნებით, ბატონო სოსო. შევიტყვე, რაღაც არასამთავრობო ჩამოგიყალიბებიათ იქ, ბერიაც თქვენთან ერთად ყოფილა, ხრუშჩოვიც და კალინინიც, იქნება ერთობლივი მსჯელობით რამე რეცეპტი მოგვცეთ, როგორ მივხედოთ ამ დამპლებს.

**სტალინი:** — კი, მართალი ხარ, ჩამოვაყალიბე ორგანიზაცია, იქაურ ქვეყანაში მტრები, საზღვრები და პირადი წყენები არ არსებობს, იქ მხოლოდ მოაზროვნე ადამიანთა ერთობაა და აქტუალურ საკითხებზე ვმუშაობთ. ბორიაც ჩვენთან არის, ელცინი.

**გოგი:** — ოო, ბორია, რომ ნახავთ, დიდი სიყვარულით მომიკითხეთ, უთხარით, გოგიმ ნატახტარის ამბები გაგახსენათ-თქო.

**სტალინი:** — კარგი, მოგიკითხავ და, ევროპის მიმართ რას აპირებთ, ან ამერიკის?

**გოგი:** — არც მანდაა მთლად კარგად საქმე, მაგრამ, აბა, როგორ შეგაწუხებთ ამაზე.

**სტალინი:** — სხვათა შორის, კენედი მესაუბრა იმ დღეს „ფეისბუქში“, შეშფოთებულია ობამას პოლიტიკით, ღუპავს ქვეყანასაც და კაცობრიობასაცო.

**გოგი:** — ნუ იტყვით, ნუ.

**სტალინი:** — კარგი, მე ბევრი დრო არ მაქვს, შევხვდები ჩემს თანამოაზრეებს და სამოქმედო გეგმას „ვაიბერში“ გადმოგიგზავნით, ეს შედარებით სანდო რესურსია.

**გოგი:** — კარგი, ბატონო სოსო, დიდი მადლობა, სიხარულით გავიქცევი ახლა სოლოლაკში და ამ ამბავს მოვუყვები ბატონ ბიძინას.

**სტალინი:** — კეთილი, მე ამ გეგმას ორ დღეში მოგაწვდით და დანარჩენი თქვენზე იყოს.

**გოგი:** — ღმერთმა დაგლოცოთ, ბატონო სოსო.

ობიექტი კვლავ განათდა, სინათლემ თვალი მომჭრა და ველარ დავინახე, როგორ წავიდა იოსებ ბესარიონის ძე.

საფრენი აპარატი ელვის სისწრაფით გაუჩინარდა. გოგიმ შუბა შემოიხვია, სწრაფი ნაბიჯით გაემართა შავი ჯიპისკენ და მანაც ელვის სისწრაფით დატოვა რიყის ტერიტორია.

**ელიკო სილაძე**

ჰკა მაგათა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეცნიერების სისტემის ამ უკუღმართი შეფასების მეთოდის შეფარული ზრახვაა, მეცნიერების ენად გამოცხადდეს მხოლოდ ინგლისური, სხვა ენები კი წყალსაც წაუღია.**



# იოვანეს ალგორითმი

## აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე არჩევნების გაყალბების სისტემის ავტორს – ივანე კილურაძეს ამხელს

## «ინდექსმა ხომ არ გავნო, ვანო?»



# «რა ენა წახდეს — ერიც დაეცეს»

**ილია მართლის აზრით, ქართველი ერის თვითმყოფადობის „უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე მიწა და გუთანი“ იყო და ერს, რომელსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, „შეუძლია თავმოწონებით თქვას: „მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდ და სამემრისოდაც“-ო. მაგრამ ჩვენს დიდ წინაპარს არ ავიწყდებოდა ისიც, რომ განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა მოვკიდებოდით სამ ღვთაებრივ საუნჯეს: მამულს, ენას და სარწმუნოებას. რადგან ეს სამი ცნება ასაზრდოებდა ქართველთა მოდგმას, ჯიშს, ტრადიციებს, კულტურას და, რაც მთავარია, სულიერ უდრეკობას. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ქართველი ერის სამი ჰიპოსტასი, რომელთაგან ერთ-ერთის უგულებელყოფა უკვე თავისთავად ნიშნავდა ერის ვინაობისა და თავისთავადობის მოშლასა და წარეცხვას.**



ჩვენი მტრები არა მხოლოდ ცეცხლითა და მახვილით იპყრობდნენ და ანადგურებდნენ საქართველოს, არამედ რელიგიისა და კულტურის ექსპანსიით ცდილობდნენ ჩვენი მენტალიტეტის, ზნეობის, ტრადიციების შერყვნასა და მოსპობას. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მაღალ კულტურათა დინების თუ მიმოქცევის გასაყარზე, უფრო სწორად, შუაგულში მდებარეობდა. შესაბამისად, **ქართველი ერი, როგორც ცივილიზებული წარმონაქმნი, ითვისებდა, გნებავთ, აღმოსავლეთისა და, გნებავთ, დასავლეთის კულტურის ელემენტებს, მაგრამ, რაც ერთობ საგულისხმოა, მათ თავის კულტურისა თუ სულიერ ქურაში ადნობდა, ამუშავებდა და არსებული ტრადიციებისა და ჩვენი მდიდარი კულტურის შესაბამის ორიგინალურ უჯრედად და იდენტურ შრედ აქცევდა. ამგვარად იქცევა ყველა მაღალი კულტურისა და ღირსების ხალხი და ერი. ასე იქცეოდნენ ჩვენი უტეხი სულისა და ჯიშის წინაპრებიც.**

დღეს კი რა ხდება?! **დაუნდობელი გლობალიზაციის ვეშაპმა და „დემოკრატიის ურჩხულმა“ ქართველ კაცსა და ერს ღირსება დააკარგვინა, დაავიწყა თავისი მდიდარი, საამაყო ისტორიული წარსული და კულტურანაგვირილი ევროპა, რომელიც აჩრდილიც კი აღარ არის ერთ დროს არსებული მაღალი ნიჭიერებით შექმნილი ხელოვნებისა, უქცია სალოცავ ხატად და მისაბაძ ნიმუშად. ხოლო ამერიკა, თავისი კულტურული წარსულით რომ ვერ დაიკვეხნის, გაგვიხადა თავისუფლების სიმბოლოდ მაშინ, როცა სწორედ ამერიკაა სულის თავისუფლების მესაფლავე, უსამართლობის დამყაყებული ჭაობი, რომელიც მსოფლიოზე ბატონობის პრეტენზიით არის აქოთებულ-აყროლებული.**

რა, ბნელა თუ რამ აგვიმღვრია გონება?! თურაშაულის პატრონები ტყეში პანტას რატომ დავეძებთ?! პროვინციალიზმის საშიშმა სენმა ხომ არ იჩინა თავი? ინგლისური ენის საყველპურო ცოდნით თავს ვიწონებთ და ჩვენს მადლიან ქართულ ენას, ბურჯს ერის ვინაობისას, ამრეზით ვუყურებთ და აბუჩად ვიგდებთ! **განა ყოველმა ჩვენგანმა არ ვიცით, რომ მიწა-წყლის გასხვისება და მშობლიური ენის დაკნინება ერის სიკვდილის ტოლფასია?!** მავანმა შეიძლება ისიც არ იცის, რომ ერის სიკვდილი ყველა ჩვენგანის, ყველა ერისშვილის სიკვდილს ნიშნავს!.. სხვათა შორის, ეს ჩვენ თუ არა — კარგად უწყოდნენ ჩვენმა „მეგობრებმაც“ და მათ მიერ ხელდასხმულმა ხელისუფლებამ, მიშიკოს თავკაცობით. ამიტომაც ტყავიდან ძვრებოდნენ, რომ ქართული მიწები გაესხვისებინათ და სახელმწიფო ენა — ქართული — დაემცროთ, არად ჩაეგდოთ:

ჯერ იყო, **უწიგნურმა, „კანალიზაციის“ შეუდარებელმა ოსტატმა ე.წ. განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ გვაუწყა, რომ ინგლისური მეორე სახელმწიფო ენად უნდა გველიარებინა, მერე — ჩიტისტვინა ჩიტირეკიამ, ქართველთმოძულემ და მტერმა, ე.წ. მიშუტკა პრეზიდენტმა ბრძანა, რომ უმაღლესის დამთავრების დიპლომს არ მისცემდა იმ ახალგაზრდას, რომელსაც ინგლისური არ ეცოდინებოდა.**

მხოლოდ ამ განცხადების გამო უნდა დაგვეყვერა ეგ ნაძირალა ქართველებს, მაგრამ ერთ ყურში შევუშვით და მეორიდან გამოვუშვით. სწორედ ამ გულარხეინობამ განაპირობა ის, რომ ჩვენმა პარლამენტმა დიდი ჯახირის შემდეგ ძლივს მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. მეტიც, მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლის მკრეხელური ფიქრით: **პარლამენტში უნდა ავირჩიოთ ის პირი, რომელიც ინგლისურ ენას ფლობს და ინგლისურად ჭყლოპინებს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ ჩვენი რჩეულის ცხოვრების წესს, ზნეობას, სამშობლოსა და ხალხისადმი სიყვარულს, გონიერებას, პრინციპულობას, მშობლიური, ანუ სახელმწიფო ენის ცოდნას და ა.შ.,** არამედ იმას, როგორ ეხერხება მას ინგლისურად „ბჟუტური“... აი, ამიტომაც ტრიალებს ასე უკუღმა ჩვენი ქვეყნის ბედი. მართლაცდა, ავაჰმე, ჩემო მამულო, ვის ხელთაა ბედი შენი?!

სამწუხაროდ, **ამგვარი ტენდენცია შეიმჩნევა მეცნიერთა წრეებში, მშობლიური ენის უპირველესი დამცველები რომ უნდა იყვნენ. ამ მკრეხელობამ თავი იჩინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც იყო ეროვნული სულიერების ტაძარი, რომელშიც ქართული ცნობიერება იბადებოდა და იჭედებოდა,** ამ, ვიტყოდი, ჯერაც აღუქმელი ჭირის სათავე კი იმალება იმ მინიმალურ სამეცნიერო მოთხოვნებში, რომლებსაც უნივერსიტეტი უყენებს თავის აკადემიურ პერსონალს და, რაც დაფუძნებულია ციტირების საერთაშორისო სისტემაზე, ამერიკაში რომ წარმოიქმნა და, როგორც მოსალოდნელი იყო, საყოველთაო აღიარება ჰპოვა. **მარტივად, მეცნიერების ღვაწლს აღიარებენ მხოლოდ ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ციტირების რაოდენობის მიხედვით. ამასთანავე, ხდება ამ ჟურნალების ხარისხობრივი კლასიფიკაცია და საფეხურებრივი რიგის შესაბამისად შრომების შეფასება. მაგალითად, ყველაზე ფასეულია ტომსონ როიტერის (I) ან SCOPUS-ის (II) მიერ ინდექსირებულ ანდა სხვა ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც აღიარებულია ERIH-ის მიერ (III).** უფრო ნაკლებ ფასეულია ის სამეცნიერო სტატიები, რომლებიც დაბეჭდილია Poez-reviewd-ის მქონე რეცენზირებულ საერთაშორისო ჟურნალებში(IV). **საქართველოში და ასევე, უცხოეთში გამომავალ ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომები, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღება მხედველობაში, თუ ამ ჟურნალებს ISSN კოდი აქვთ და ჰყავთ საერ-** ▶

მოკლედ




## კალიფორნიაში სამედიცინო დახმარების ვერტმფრენი ჩამოვარდა

**ავიაკასტროფის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა. ვერტმფრენმა კატასტროფა ქალაქ ფრესნოდან ბეიკერსფილდში პაციენტის გადაყვანისას განიცადა.** ბორტზე ორი ექიმი იმყოფებოდა. მაშველებმა და სამართალდამცველებმა საძიებო სამუშაოები მას შემდეგ დაიწყეს, რაც 30 წუთის განმავლობაში ვერტმფრენის პილოტი კავშირზე არ გამოვიდა. ვერტმფრენის ჩამოვარდნის ერთ-ერთ მიზეზად ძლიერი ნისლი და წვიმა სახელდება. მაშველები ავდრის გამო შემთხვევის ადგილზე მისვლას ორი საათის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ.



**ესენი გლობალიზაციის მხედრები არიან, რომელთაც თავი მეცნიერების ცის თაღზე მოციალე ვარსკვლავებად მიაჩნიათ და იმ სიმაღლიდან საქართველოს ერთ მცირე კუთხე-კუნჭულად აღიქვამენ, რომლის ხალხს, ენას, ტრადიციებს, კულტურას, მეცნიერებასა და რწმენასაც დასცინიან და არად აგდებენ.**

ჰკა მაგათა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თაშორისო სარედაქციო საბჭო, ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის (V).** რაც შეეხება ადგილობრივ, ქართულ პერიოდიკას, მხოლოდ ორ ადგილობრივ ჟურნალში, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის ინსტიტუტებს რომ ეკუთვნის, გამოქვეყნებული სტატიები შეიძლება ასე თუ ისე სათვალავში მიიღონ.

ჟურნალების რანგირების მიხედვით, ჯამდება გამოქვეყნებული შრომების ფასეულობაც. პირველ (I) შემთხვევაში საკმარისია ორ წელიწადში ორი პუბლიკაცია, მეორე შემთხვევაში კი (II) (III) — სამი და ასე შემდეგ. შეფასების წილიც შესაბამისად სხვადასხვაგვარია I, II და III შემთხვევებში ფასდება 70%. შეფასების ამ კრიტერიუმს განეკუთვნება ასევე უცხო ენაზე გამოცემული მონოგრაფია, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში (IV, V, VI) და საკონფერენციო მასალები და სტატიები, ინდექსირებულნი ზემორე ხსენებული გამომცემლობის მიერ ანდა რეცენზირებული მონოგრაფია ქართულ ენაზე — 50%-იანი წილით და ა.შ.

ამ შეფასების ლაბირინთში ერთობ ძნელია არიადნეს ძაფის მოძებნა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **ამ მეთოდით სამეცნიერო ენად ცხადდება ინგლისური, ხოლო მშობლიურ ენას მხოლოდ ორლობის ენის ფუნქცია ეკისრება.**

ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მოხსენების სტატუსით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, რომლის მასალები ინდექსირებულია Coogle Scholar-ში, ფასდება 30%-ით, ხოლო ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალებში — 20%-ით.

ბუნებრივია, ამგვარი შეფასების სისტემამ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დაუნჯებულ მეცნიერთა უმრავლესობის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რომელიც მოკლედ ამგვარად შეიძლება წარმოვადგინოთ: **უპირველეს ყოვლისა,** ციტირების ინდექსით არ ირკვევა მეცნიერის პიროვნული ღვაწლი, რადგან არ მიიღება მხედველობაში, ნაშრომი ათი თუ ერთი ავტორის მიერ არის შესრულებული; **მეორეც,** ყველაზე აღიარებული ტომსონ როიტერის ანდა Scopus-სისტემის მიხედვით არ მიიღება მხედველობაში მეცნიერის მონოგრაფიული შრომების ციტირება; მაშინ, როცა ფასდება და ანგარიში ეწევა იმ სტატიებსაც, რომლებშიც მკაცრად გაკრიტიკებულია თავად ავტორი; **მესამეც,** ჯეროვნად არ ფასდება პიონერული ფუნდამენტური შრომები და მეორად, უმნიშვნელო შრომებს უფრორე ანგარიშს უწევენ; **მეოთხეც,** ხშირად ხდება ისეც, რომ ღრმა მეცნიერული თვალთახედვანი თუ აღმოჩენები ვერ აღიქმება დროების შესაბამისად და მრავალი ხნით გვიანდება მათი აღიარებაც; **მეხუთეც,** ციტირება ხშირად მეგობრულ, კოლეგიურ, პირად ურთიერთობაზეა დამოკიდებული და, ასე განსაჯეთ, ურთიერთდამოწმების შეთანხმებითაც წარიმართება; **მეექვსე,** ბოლო ხანს მან მიიღო კორუფციული ხასიათი და, გარდა იმისა, რომ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში დაბეჭდვა საჭიროებს გარკვეულ ოფიციალურ თანხას, მომრავლდნენ გაქნილი შუამავლები, რომლებიც გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ გპირდებიან ციტირების ინდექსის სიმრავლეს და სიტყვასაც არ ტეხენ; აბა, როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს, რომლის ნაღვაწი და სახელი საერთოდ უცნობია მეცნიერული წრისთვის, ამშვენებს ციტირების გასაოცარი სიმრავლე, კერძოდ, 3000, 5000, 24000 და ა.შ. **მეშვიდე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მონოგრაფიები, რომლებშიც წარმოჩენილ ავტორთა მრავალწლიანი შრომის მეცნიერული შედეგები საერთოდ უგულებელყოფილია ზემორე ხსენებული ციტირების ინდექსის სისტემით.** ასევე, არად მიიჩნევენ გამოგონებებს, პატენტებს, სამაგიეროდ, რეიტინგულ უცხოურ ჟურნალში გამოქვეყნებული მიმოხილვითი წერილიც კი, არავითარი მეცნიერული ღირებულება რომ არ აქვს, დიდად ფასდება;

**დღეს აკადემიურ სივრცეში ინდექსომანიით შეპყრობილი «მანქურთთა» ჯგუფი გამოჩნდა, რომელთაც თავკაცობს აკადემიკოსი ვანო კილურაძე. ისინი ქართველ მეცნიერებს მოგვიწოდებენ, ინგლისურად ვწეროთ და მრავალმნიშვნელოვნად დასძენენ: ქართული ვილას სჭირდება, რა თავში იხლითო, როცა ნამდვილი მეცნიერება ფასდება ინგლისურენოვან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ციტირებით და, თუკი რამ წიგნის ან მონოგრაფიის მსგავსი გაქვთ, ერთი ადგილისთვის გამოიყენეთო!**

**მერვე,** რაც მთავარია, **უარყოფილია არაინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ნებისმიერი სტატია, რაგინდ დიდი მეცნიერული ღირებულების იყოს...** აი, ეს არის ამ ეშმაკის მოგონილი სისტემის, ამ აბრაკადაბრას თავი და ბოლო, რომელზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ და ახლა გავიმეორებთ. **მეცნიერების სისტემის ამ უკუღმართი შეფასების მეთოდის შეფარული ზრახვაა მეცნიერების ენად გამოცხადდეს მხოლოდ ინგლისური, სხვა ენები კი წყალსაც წაუღია.**

თუ სადამდე მიდის ამ შეფასების კურიოზულობა, შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს: მაგალითად, მეცნიერმა ივანემ თავის კოლეგებთან ერთად დაწერა ათი სტატია, ყველა მათგანი ათჯერ იქნა ციტირებული; მეორე მეცნიერმა — ნიკომ ინდივიდუალურად დაწერა 10 სტატია, რომელთაგან ყოველი ციტირებული იქნა 100-ჯერ და ასი სტატია, ყოველი მათგანი რომ 10-ჯერ არის ციტირებული. ამ სისტემის მიხედვით, ვანოსა და ნიკოს ციტირების ინდექსი ტოლია და უდრის 10-ს. მეორე მაგალითი: მეცნიერმა ილიამ დაწერა ხუთი წიგნი, ყველა მათგანი 200-ჯერ რომ არის ციტირებული, ჩვენმა მარჯვე ვანომ კი დაწერა ერთადერთი სტატია, რომელიც ციტირებულია ერთხელ. საბოლოოდ, ვიღებთ სასაცილო ვითარებას, სატირალი რომ არ იყოს: ილიას ციტირების ინდექსი ნულის ტოლია, რადგანაც წიგნი (მონოგრაფია) არ მიიღება სათვალავში, ივანე კი ციტირების სისტემით გამარჯვებულია, +1 აქვს და იჯგიმება კიდეც.

**ჯერ იყო, უწიგნურმა, „კანალიზაციის“ შეუდარებელმა ოსტატმა ე.წ. განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ გვაუწყა, რომ ინგლისური მეორე სახელმწიფო ენად უნდა გვეღიარებინა, მერე — ჩიტისტვინა ჩიტირეკიამ, ქართველთმოძულემ და მტერმა, ე.წ. მიშუტკა პრეზიდენტმა ბრძანა, რომ უმაღლესის დამთავრების დიპლომს არ მისცემდა იმ ახალგაზრდას, რომელსაც ინგლისური არ ეცოდინებოდა**

ამგვარმა **აბსურდამდე დასულმა ინდექსომანიამ საქმეში ჩახედული მეცნიერი მიიყვანა, ჩემი აზრით, სამართლიან დასკვნამდე, რომ ის (ინდექსური შეფასების სისტემა) „პრაქტიკულად სრულად ანადგურებს ინფორმაციას იმ ციტირებული მნიშვნელოვანი შრომების შესახებ, რომლებითაც ჩვეულებრივ ამაყობენ მეცნიერნი. ამ ინდექსის გამოყენების უაზრო ლოგიკა გვაგონებს ვითარებას, როცა ექიმი ადამიანის ჯანმრთელობის ანალიზისას ითვალისწინებს მხოლოდ პაციენტის სიმაღლეს, წონას და თმის ფერს!“** მეტიც: შეიძლება ითქვას, თუ ამ სისტემას მეცნიერთა ღვაწლის საზომად გავიხდით, მაშინ მსოფლიოს უდიდესი მეცნიერნი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. **ევარისტ გალუას ინდექსის მიხედვით სულ ორი ციტირება ჰქონდა, ხოლო ალბერტ აინშტაინს — ჰა-ჰა 4-5 (1966 წლამდე), მიუხედავად იმისა, რომ 1905 წელს უმნიშვნელოვანესი სტატიები გამოაქვეყნა. რაღა შორს წავიდეთ და ჩვენი დროის მსოფლიო დონის მეცნიერთა: ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, გიორგი ჭოღოშვილის, ანდრია ბიწაძის, აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი წერეთლის, ივანე ბერიტაშვილის და სხვათა მეცნიერული ნაღვაწი ნულს გაუტოლდებოდა და ე.წ. „რეფორმატორების“ „იმპაქტ ფაქტორის“ ჯინჯილებით მკერდდამშვენებულ ვაიმეცნიერთა გაქირდვის ობიექტად იქცეოდა.**

ახლა ამ ტვინგაყინულთ რომ ჰკითხოთ, გიპასუხებენ: არაფერია აქ გასაკვირი, რადგანაც ზემორე ჩამოთვლილ მეცნიერთა ნაღვაწი და შემოქმედება წარსულს ჩაბარდა, ესენი კი მეცნიერების მომავალს ქმნიან და ამიტომაც ჰპოვეს მსოფლიო აღიარება, რასაც, თურმე ნუ იტყვით და, ციტირების ინდექსის სიმრავლეც (მავანის 3000-ს 5000-ს და, არ გაგიკვირდეთ, 40000-საც აჭარბებს!) მოწმობს. ეს ყოველივე სატირალია, სასაცილო რომ არ იყოს. **ვისთან გატოლებას ლამობენ ეს მართლაც „ციტირებული ინდექსები“, რომლებიც ჩვენი დიდი წინაპრების ნატერფალნიც არ არიან?! მაშ, რაღამ აახუნტრუცა ეს ცოდვის შვილები?! ხომ გაგიგიათ, უპატრონო ქვეყანას ეშმაკები დაეუფლნენო. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, მეცნიერების არენაზე, ბედაურების ნაცვლად, ვირები ტლინკაობენ და ამ ტლინკაობით თავი მოსწონთ კიდეც!**

დღეს აკადემიურ სივრცეში ინდექსომანიით შეპყრობილ „მანქურთთა“ ჯგუფი გამოჩნდა, რომელთაც თავკაცობს აკადემიკოსი ვანო კილურაძე. ისინი ქართველ მეცნიერებს მოგვიწოდებენ, ინგლისურად ვწეროთ და მრავალმნიშვნელოვნად დასძენენ: ქართული ვილას სჭირდება, რა თავში იხლითო, როცა ნამდვილი მეცნიერება ფასდება ინგლისურენოვან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ციტირებით და, თუკი რამ წიგნის ან მონოგრაფიის მსგავსი გაქვთ, ერთი ადგილისთვის გამოიყენეთო! არ მგონია, ისეთი ბრიყვები იყვნენ, არ უწყოდნენ, რას როშავენ. არა, ბატონებო, **ესენი გლობალიზაციის მხედრები არიან, რომელთაც თავი მეცნიერების ცის თაღზე მოციალე ვარსკვლავებად მიაჩნიათ და იმ სიმაღლიდან საქართველოს ერთ მცირე კუთხე-კუნჭულად აღიქვამენ, რომლის ხალხს, ენას, ტრადიციებს, კულტურას, მეცნიერებასა და რწმენასაც დასცინიან და არად აგდებენ.** ერთი სიტყვით, ესენი არიან სხვათა მიერ დაგეშილი კოლაბორაციონისტები, საქართველო და ქართველი ხალხი რომ სძაგთ და მზად არიან, თავიანთი „მეცნიერული ნაღვაწით“ ბატონი ვანოს დარად გავნონ კიდეც...

**ელიზბარ ჯაველიძე**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

**ევარისტ გალუას ინდექსის მიხედვით სულ ორი ციტირება ჰქონდა, ხოლო ალბერტ აინშტაინს — ჰა-ჰა 4-5 (1966 წლამდე), მიუხედავად იმისა, რომ 1905 წელს უმნიშვნელოვანესი სტატიები გამოაქვეყნა. რაღა შორს წავიდეთ და ჩვენი დროის მსოფლიო დონის მეცნიერთა: ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, გიორგი ჭოღოშვილის, ანდრია ბიწაძის, აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი წერეთლის, ივანე ბერიტაშვილისა და სხვათა მეცნიერული ნაღვაწი ნულს გაუტოლდებოდა და ე.წ. რეფორმატორების «იმპაქტ ფაქტორის» ჯინჯილებით მკერდდამშვენებულ ვაიმეცნიერთა გაქირდვის ობიექტად იქცეოდა**

მსოფლიო



## ვენესუელაში დასრულდა ჩავესის პარტიის 12-წლიანი ლიდერობა

**ვენესუელაში ოპოზიციამ საპარლამენტო არჩევნებში უგო ჩავესის მიერ დაარსებული სოციალისტური პარტია დაამარცხა და მისი 12-წლიანი პირველობა ქვეყანაში დაასრულა.**

ოპოზიციურმა „დემოკრატიული ერთობის გაერთიანებამ“ საკანონმდებლო ორგანოში მანდატების ორი მესამედი მოიპოვა. ახლა ოპოზიციას შეუძლია, პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს გადასაყენებლად რეფერენდუმი ჩაატაროს. მათ ასევე შეუძლიათ, იბრძოლონ თავიანთი ლიდერის — ლეოპოლდო ლოპეზის გასათავისუფლებლად, რომელსაც 13 წელი აქვს მისჯილი ძალადობის წაქეზებისთვის. არჩევნების შედეგებს გამოეხმაურა პრეზიდენტი მადურო, რომელმაც განაცხადა, რომ ის ვეტოს დაადებს ამნისტიის ნებისმიერ კანონპროექტს. მისი თქმით, **„მკვლელები უნდა გასამართლდნენ და დაისაჯონ“.**



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თურქეთი „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ნავთობით რომ ვაჭრობს, ფაქტია და თანაც ისეთი, მხოლოდ თურქეთს რომ არ აშავებს. ის მთლიანად დასავლეთს არასასურველ პოზიციაში აყენებს. ამ პოზიციას ორმაგი სტანდარტი ჰქვია, ანუ სიტყვით — ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, საქმით — ტერორიზმისთვის ხელის შეწყობა.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი

# თურქული გამბიტი და საქართველოს მომავალი

**რუსეთ-თურქეთის დამძიმებულმა ურთიერთობამ ფართო გამოძახილი პოვა საქართველოში, რაც არ არის გასაკვირი. ორ დიდ ქვეყანას შორის მოქცეული საქართველო, მის ნებისმიერ მოქალაქეს საფიქრალს უჩენს და გარკვეული პოზიციის დაკავებას კარნახობს. პოზიცია — უპირველესად გონივრული, ნეიტრალური, მიუკერძოებელი უნდა იყოს და არა ისეთი, როგორსაც ვხდებით ადგილობრივ მედიასა და ინტერნეტსივრცეში. იქ აშკარად ჭარბობს თურქეთის მხრიდან ანტირუსული გამოხდომის მიმართ აღტაცება. აღტაცებაში ჩანს შურისძიების მარცვალიც, დაახლოებით ასეთი, — დაიპყარით ჩვენი ტერიტორიები, ახლა ხომ იწვნიეთ თურქული სილაო, თითქოს თურქეთს საქართველოს ტერიტორიები დაპყრობილი არ ჰქონდეს.**



**ქართველ პოლიტიკოს-პოლიტოლოგთა ნათქვამი წერტილ-მძიმითაც კი ამერიკელი პოლიტიკოსების ნათქვამს ემთხვევა, რაც თავისთავად მიგვანიშნებს აზროვნების სიმწირეზე, უფრო სწორად, არქონაზე. მომავალი ქვეყნისა, რომლის პოლიტიკა-პოლიტოლოგიას სხვისი აზრი კვებავს, საეჭვოა**

მედიის თავდასხმის ძირითადი ობიექტი რუსეთის პრეზიდენტი პუტინია, რომელსაც ადანაშაულებენ ყველაფერში, რაც „ჩაუდენია“ საქართველოს მიმართ და იმაშიც, რაც მას გონებაშიც არ გაუვლია. მკითხველს, განსაკუთრებით — ანტიპუტინურად განწყობილს, შევახსენებ, რომ 2008 წლის ომის დროს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი კი არა, მედვედევი იყო. პრემიერმინისტრი პუტინი იმჟამად პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიას ესწრებოდა და ომის დაწყების ამბავიც იქ შეიტყო.

შეიტყო და უმალ შეეცადა იმ ცერემონიაზე დამსწრე აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან უ შეხვედრას, მაგრამ წარუმატებლად. მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ მოახერხა მან ბუშთან დალაპარაკება, რომელმაც დიდი ვერაფერი შედეგი გამოიღო.

აშშ-ის პრზიდენტი მშვიდად შეხვდა ომის ამბავს. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიმღები მედვედევის რეაქციას თავდაცვის მინისტრის სერდიუკოვის ინფორმაციაზე, ნამდვილად არ იყო პანიკის მსგავსი. მას სერდიუკოვის ინფორმაცია, თავდაპირველად, გადაჭარბებული მოეჩვენა. მედვედევის პასუხი იყო: “დაველოდოთ მოვლენებს”. მხოლოდ მესამე ინფორმაციის შემდეგ, უბრძანა მან მინისტრს სამხედრო მოქმედების დაწყება. იმ მომენტში საქართველოს ტანკები ცხინვალის ქუჩებში დაჯირითობდნენ.

**პრეზიდენტად ახალარჩეული ლიბერალი მედვედევისთვის საომარი გადაწყვეტილების მიღება ძნელი იყო, მაგრამ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ომის დაწყების განკარგულების გაცემას ქართული პოლიტიკა პუტინს აბრალებს, ანუ პრემიერს, რომელსაც რუსეთის კონსტიტუციით არც მთავარსარდლობა უპყრია ხელთ და არც „სტრატეგიული ჩემოდანი“.**

რას მოიმოქმედებდა პუტინი, პრეზიდენტი რომ ყოფილიყო? — იმას, რასაც მედვედევი. რას მოიმოქმედებდა პუტინის ადგილზე ნებისმიერი ბირთვული სახელმწიფოს მეთაური თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემთხვევაში? — იმაზე მეტს, ვიდრე რუსეთის პრეზიდენტი. გაიხსენეთ, აშშ-ის პრეზიდენტის ბუშის რეაქცია აშშ-ზე ტერორისტული თავდასხმის შემდეგ. განა მას არ მოჰყვა ერაყში შეჭრა, ავღანეთში ომი?

ავღანეთის პრობლემა ჯერაც მოუგვარებელია, ისე, როგორც ერაყის. ჯერაც იღვრება სისხლი ორივე ქვეყანაში, როგორც ადგილობრივის, ისე ამერიკელი და მასთან კოალიციაში მყოფი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეების.

დავუბრუნდეთ დღევანდელ ვითარებას რუსულ-თურქულ ჭრილში. პოლიტოლოგი საყვარელიძე აცხადებს: „პუტინმა გაამწვავა დაპირისპირების თემა, მაგრამ მისი პოზიციები საკმაოდ სუსტია. თურქეთი არის ნატოს წევრი ქვეყანა და, თუკი დაპირისპირება მოხდა, ამ დაპირისპირებაში თურქეთი მარტო არ იქნება“.

**ვერა და ვერ გამოვედით ნატოს ყოვლისშემძლეობის ტყეობიდან. არადა, თუ საფუძვლიანად განვიხილავთ ნატოს სამხედრო „ძლიერებას“ და პოლიტიკურ სულისკვეთებას, დავინახავთ ამ ორგანიზაციის ერთობ უსუსურ მოქმედებას. ნატოს „ძლიერება“ ფეხზე დაიკიდა ნატოს წევრმა თურქეთმა და აგრესია განახორციელა კვიპროსის წინააღმდეგ, დაიპყრო კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი, მეტადრე თურქებით დასახლებული და დაპყრობილს „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა“ უწოდა, ამით აშკარად დაუპირისპირდა ნატოს წევრ საბერძნეთს.**

მას შემდეგ მრავალი წელიწადი გავიდა, მაგრამ ბრიუსელი შეუძლო აღმოჩნდა საკითხის მოგვარებაში. ნატომ ვერაფერი გააწყო ავღანეთში, მიუხედავად საკუთარი ძალების უპრეცედენტო მობილიზაციისა. ავღანეთში მძიმე ვითარებაა. თალიბები, „ალ-ქაიდა“ და სულ ახლახან მათ დამატებული „ისლამური სახელმწიფოს“ ავღანური ფილიალი ავღანეთის ტერიტორიის საკმაოდ დიდ ნაწილს აკონტროლებენ.

თავი დავანებოთ არცთუ დიდი ხნის წინანდელ ისტორიას, გავიხსენოთ ახალი, თუნდაც პარიზის ტერაქტი და მის შემდეგ განვითარებული მოვლენები. **რატომღაც ნატოს ხმა არც თქვენ, პატივცემულო მკითხველო და არც მე, არ გამიგია. არადა, ნატოს წესდების მე-5-ე მუხლის მიხედვით, სტოლტენბერგს — ნატოს გენერალურ მდივანს, საფრანგეთის დასაცავად ხმა უნდა ამოეღო.**

ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოსთვის იმაზე მეტი საფრთხეა, ვიდრე ერთი ქვეყნის მიმართ მეორის აგრესია. არსაიდან ხმა, არსით ძახილი, რასაც საფრანგეთის პრეზიდენტის ოლანდის ძახილი მოჰყვა, — ადრესატი რუსეთი იყო და მასთან ერთად ტერორიზმთან ბრძოლა.

**რატომ არ მიმართა ოლანდმა ნატოს?! იცის რა, მისი პოლიტიკური გადაწყვეტილების „სისხარტე“ და „ბრძოლისუნარიანობა“, ოლანდმა თავი აარიდა მას.**

თურქეთის ავიაცია რეგულარულად არღვევს ნატოს წევრი საბერძნეთის საჰაერო სივრცეს, მაგრამ ნატო დუმს. თუ ვინმე დააფრთხო თურქულმა თავხედობამ, უპირველესად —ნატო, რომლის საგანგებო სხდომაზე, თურქეთის თხოვნით მოწვეულზე, აშკარად არათურქული პოზიცია გამოიხატა. თურქეთს მიახვედრეს, რომ მის მიერ წამოწყებულ ავანტიურაში ნატო ჩართვას არ აპირებს, ანუ არ აამოქმედებს წესდების მე-5-ე მუხლს. დაახლოებით იგივე პოზიცია გამხატა ოფიციალურმა ვაშინგტონმაც.

**საჯაროდ ნატომ ყასიდად დაუჭირა მხარი ნატოს წევრ თურქეთს, მაგრამ იქვე განაცხადა, რომ მან (თურქეთმა) და მხოლოდ მან უნდა გამოძებნოს რუსეთთან შერიგების ენა. ამასთანავე, ნატოს წევრი სახელმწიფოების მედიაში გამოქვეყნდა სტატიები მოწოდებით: გაირიცხოს თურქეთი ნატოდან, როგორც „ხულიგანი“ სახელმწიფო.**

ნატოს განწყობა თურქეთის მიმართ ერთობ დამაფიქრებელი, გასაკვირი არ არის, უპირველესად, იმიტომ, რომ **ნატომ იცის, ვინ არის დამნაშავე რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში; ისიც იცის, რას გამოიწვევს თურქეთის სამხედრო მხარდაჭერა რუსეთის წინააღმდეგ. ნატომ კარგად იცის, რა სამხედრო ძალას ფლობს რუსეთი, რომელიც არა მხოლოდ კასპიისა და ჩრდილოეთის ზღვებიდან ბომბავს „ისლამურ სახელმწიფოს“, არამედ ხმელთაშუა ზღვაში მცურავი წყალქვეშა ნავებიდანაც.**

რუსეთი ბირთვული სახელმწიფოა და ამ იარაღით თანაბარ პოზიციაზეა აშშ-თან. **რუსეთის ბირთვული იარაღი აღემატება ნატოს წევრი სახელმწიფოების — დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბირთვულ იარაღს ერთად აღებულს. ნატომ ისიც იცის, რომ რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში დაპურებული და კომფორტული ევროპისგან არაფერი დარჩება.**

უკიდეგანო რუსეთს გადარჩენის გაცილებით მეტი შანსი აქვს, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში, მედიასა და პოლიტოლოგიაში ხომ რუსეთის დაკნინება-დაჩაჩანაკებაა მთავარი. ასე იყო 2008 წლის ომამდე, — „დაჟანგული ტანკები,“ — და ასეა დღესაც. ჩნდება კითხვა — **რას გვაძლევს რუსეთის ყოველთვის ნეგატიურ ჭრილში მოხსენიება? — უპირველესად, ყურადღების მოდუნებას, ნატოს მოიმედეობას, მუდამ იმაზე ფიქრს, რომ „ისინი“ (ცხრამთასიქითურები) დაგვიცავენ, კისრისტეხით გამოექანებიან ჩვენს დასაცავად. აკი გამოექანენ 2008 წელს?!**

საყვარელიძე ჟურნალისტის შეკითხვაზე: „ალიანსის წევრი ქვეყნები აცხადებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ თურქეთს, რაც ერთგვარი სიგნალია რუსეთისთვის“, პასუხობს: „ასეთივე სიგნალია რუსეთისთვის, რომ მისი ბრალდება, თითქოს თურქეთი ნავთობს „ისლამური სახელმწიფოსგან“ ყიდულობს, მყარ საფუძველს არ ეყრდნობა; ვნახეთ ქურთისტანის რეაქცია, რომ ეს ჩვენი სატრანსპორტო საშუალებები იყო და რატომღაც თურქეთს მიაწერესო. ანუ სხვადასხვა საკითხებში ნელ-ნელა წყალი უდგება რუსეთის პოზიციებს. გარდა ამისა, რუსეთს ორი ომი აქვს წამოწყებული...“.

ნეტავ, რომელი ქურთისტანი აქვს მხედველობაში ბატონ რამაზს? ის ხომ არა, ოფიციალურ ანკარასთან რომ არის ჩახუტებული და იმას ლაპარაკობს, რასაც ანკარა?! გარდა ამ „ქურთისტანისა“, ერთი მუჭა ქურთებისგან შეკოწიწებული რაღაც „სტანისგან“, არსებობს არაერთი სხვა ქურთისტანი, აშკარად მტრულად განწყობილი ანკარის მიმართ. ასეთია თვით სირია-ერაყის ტერიტორიებზეც. სწორედ ამ ანტიანკარულ „ქურთისტანს“ ბომბავს თურქეთი იმ „ქურთისტანიდან“, სადაც ამას წინათ შეიჭრა ვითომდა იმ ქურთისტანის „ბოევიკების“ გასაწვრთნელად.

ამ აგრესიამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ერაყის ხელისუფლებაში, რომელმაც საპროტესტოდ გაეროს უშიშროების საბჭოსაც მიმართა. რაც შეეხება ნატოს, ამ აგრესიაზე ხმა არ ამოუღია ისევე, როგორც ვაშინგტონს. თურქეთს ერაყის დაპყრობილ ტერიტორიაზე ბუფერული ზონის შექმნა აქვს გადაწყვეტილი, რაც აშშ-სთან შეთანხმებულია.

**რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გადაღებული ვიდეოკადრებზე მსოფლიომ დაინახა ათასობით ბენზინმზიდი, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოდან“ თურქეთში გადადიოდა. ე.წ. ქურთისტანის მტკიცება, რომ ბენზინმზიდები მისი კუთვნილებაა და არა თურქეთის, ღიმილის მომგვრელია, რადგან არარსებულ „ქურთისტანს“ ამ რაოდენობის ბენზინმზიდი არ შეიძლება ჰქონდეს, რაც კარგად უნდა იცოდეს დამწყებმა პოლიტოლოგმაც.**

**თურქეთი „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ნავთობით რომ ვაჭრობს, ფაქტია და თანაც ისეთი, მხოლოდ თურქეთს რომ არ აშავებს. ის მთლიანად დასავლეთს არასასურველ პოზიციაში აყენებს. ამ პოზიციას ორმაგი სტანდარტი ჰქვია, ანუ სიტყვით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, საქმით — ტერორიზმისთვის ხელის შეწყობა.**

ბენზინით ვაჭრობა დიდ შემოსავალს აძლევს „ისლამურ სახელმწიფოს“ — დღეში 2 მილიონამდე დოლარს. ერთი იმდენი თურქეთის პრეზიდენტის — ერდოღანის ოჯახის ჯიბეში მიდის. აშშ-ის ოფიციალური განცხადება ბენზინმზიდების კოლონაზე დასაწყისში თავშეკავებული იყო —საკითხი შესწავლას საჭიროებს და ფაქტების დადგენასო, მაგრამ კალიფორნიის ტერაქტის შემდეგ თურქეთის მიმართ აშშ-მა მკაცრი გაფ-

▶

**ნატოს განწყობა თურქეთის მიმართ ერთობ დამაფიქრებელი, გასაკვირი არ არის, უპირველესად იმიტომ, რომ ნატომ იცის, ვინ არის დამნაშავე რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში; ისიც იცის, რას გამოიწვევს თურქეთის სამხედრო მხარდაჭერა რუსეთის წინააღმდეგ. ნატომ კარგად იცის, რა სამხედრო ძალას ფლობს რუსეთი, რომელიც არა მხოლოდ კასპიისა და ჩრდილოეთის ზღვებიდან ბომბავს „ისლამურ სახელმწიფოს“, არამედ ხმელთაშუა ზღვაში მცურავი წყალქვეშა ნავებიდანაც.**

ჩეჟლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რთხილება გააკეთა — წერტილი დაუსვას კონტრაბანდულ მიმოსვლას „ისლამურ სახელმწიფოსა” და თურქეთს შორისო.

საგაზეთო ინტერვიუში, რომლის სათაურია „სომხეთის ინტერესებს წიწილასავით ზედ მიაკლავენ“, ყურადღება მახვილდება თურქეთის პრემიერის **დავუთოღლუს** ბაქოში ვიზიტზე და იქ გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომ ყარაბახის კონფლიქტის დასარეგულირებლად და რეგიონში მშვიდობის მისაღწევად საჭიროა ოკუპირებული აზერბაიჯანული მიწების გათავისუფლება. სტუმარმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ ყველანაირად დაეხმარება აზერბაიჯანს ამ საქმეში.

დავუთოღლუს განცხადებამ, მით უმეტეს, მისმა ვიზიტმა მასპინძელი ალიევი ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. მან თავისი მოსაზრება ასე ჩამოაყალიბა — ორივე ქვეყანასთან (თურქეთთან და რუსეთთან) აზერბაიჯანს მეგობრული ურთიერთობა აქვს, რაც არ იძლევა გადახრა-გადმოხრის შესაძლებლობასო.

ყარაბაღის გახსენება, აქედან გამომდინარე, ცეცხლზე აზერბაიჯანული ნავთის დასხმა, და ამით რუსეთის წინააღმდეგ პრობლემის აგორება ისეთი რამაა, თურქეთის დღევანდელი ხელისუფლების დაუბალანსებელ პოლიტიკას რომ ამზეურებს. დავუთოღლუს განცხადებას შიში ან შეშფოთება არც ერევანში გამოუწვევია და არც მოსკოვში. რაც შეეხება დასავლეთს, იქ ანკარის მიმართ არასახარბიელო პოზიცია გამოხატეს.

„შემთხვევაში ყარაბაღის კონფლიქტს ის თავისებურება აქვს, რომ ნატოს ფრთის ქვეშ მყოფი ტერიტორია არ არის და დასავლეთს არ აიძულებს, ჩაერთოს სამხედრო ოპერაციაში,“ —ამბობს საყვარელიძე, მაგრამ თურქეთი ხომ ნატოს წევრია და დავუთოღლუს განცხადებით ძალაუნებურად გაეხვევა ომში?!

რესპონდენტი ეკონომიკასაც გადასწვდა. „თურქეთის მხრიდან სურსათის ბლოკადამ რუსეთი იძულებული გახადა, რომ ეგვიპტიდან, სხვა უფრო შორეული ქვეყნებიდან შემოიტანოს იმ ტიპის სურსათი, რაც შემოჰქონდა თურქეთიდან. ეს თითქოს უმნიშვნელო ეკონომიკური ნაბიჯი ურტყამს რუსი მოქალაქის ჯიბეს“.

**რუსეთის თანხმობა იყოს და შემომტანი იმდენია, დათვლაც კი გაჭირდება. მრავალი ქვეყანა, მათ შორის აზერბაიჯანი, ირანი, ცენტრალური აზიის ქვეყნები, ისრაელი, სირია, ეგვიპტე, სხვები და სხვები მზად არიან გაცილებით დაბალ ფასად (თურქეთთან შედარებით), შეიტანონ ხილ-ბოსტნეული, კვების სხვა პროდუქტები რუსეთის ბაზარზე, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით რუსეთის ფერმერებზე.**

რუსეთის აგრარული სექტორი რომ აღმავლობის გზაზეა, მარტივი სტატისტიკიდანაც ჩანს. 2 წლის შემდეგ ის საექსპორტო შემოსავლებით გაუსწრებს ენერგომატარებლების საექსპორტო შემოსავლებს. დღეს წარმოება არც ისე ძნელი საქმეა, მაგრამ გასაღების ბაზრის მოპოვებაა რთული. თურქეთმა თავისი უგუნური მოქმედებით დაკარგა რუსეთის ბაზარი და დაკარგა მანამდე, ვიდრე თურქეთში ხელისუფლება არ შეიცვლება.

ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური მჭიდრო თანამშრომლობა ისეთ დონეზე იყო ასული, თვითმფრინავის ჩამოგდებას არავინ იფიქრებდა, არავინ, გარდა თურქეთის ხელმძღვანელებისა. ცხადია, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა დააზარალებს რუსეთს, მაგრამ ეკონომისტების დასკვნით, უმძიმეს დარტყმას მიაყენებს თურქეთის ეკონომიკას. თურქეთის ბიუჯეტში 40 მილიარდამდე დოლარის შემოსავლის დაკარგვა, ხუმრობა საქმე არ არის.

**საინტერესოა, რით შეივსებს თურქეთი ბუნებრივი აირის მოხმარების 60%-ს, რომელსაც რუსეთიდან იღებს, ან ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობას, რომლის საბოლოო ღირებულება 22 მილიარდი დოლარითაა განსაზღვრული. ამ თანხის ამოღებას რუსეთი 2060 წლისთვის გეგმავდა.**

დედამიწაზე არ მოიძებნება ქვეყანა, ვინც მსგავს საჩუქარს გაუკეთებს მეორე ქვეყანას. რუსეთი უკეთებდა თურქეთს ასეთ საჩუქარს მხოლოდ მეგობრობისა და თანამშრომლობის აღსანიშნავად და არა მოგების მისაღებად. ამ საქმით რუსეთმა საბჭოთა კავშირის მაგალითი გაიმეორა, რომელმაც მილიარდობით დოლარის პროექტები განახორციელა აზია-აფრიკა-ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

**„რუსეთი ორ ომშია ჩართული.“ — ბრძანა საყვარელიძემ, იგულისხმა რა სირია და უკრაინა. მას სჯერა, რომ რუსეთი ომობს უკრაინაში. მას სჯერა, თუმცა არა სხვას, იმავე დასავლეთიდან. „უგუნური“ დასავლელები რეგულარულად ამბობენ, რომ რუსეთის აგრესიას უკრაინაში ადგილი არ აქვს.**

**როდესაც საინფორმაციო წყაროდ „რუსთავი 2“ გაქვს შერჩეული, უდავოდ იტყვი რუსეთის უკრაინაში შეჭრაზე; უდავოდ იტყვი, რომ აშშ იცავს უკრაინას; უდავოდ ვერ დაინახავ იმ „ბედნიერებას“, ამერიკამ რომ მოუტანა უკრაინას ანუ თვეში 30 დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე.**

**ქართველ პოლიტიკოს-პოლიტოლოგთა ნათქვამი წერტილ-მძიმითაც კი ამერიკელი პოლიტიკოსების ნათქვამს ემთხვევა, რაც თავისთავად მიგვანიშნებს საკუთარი აზროვნების სიმწირეზე, უფრო სწორად, არქონაზე. მომავალი ქვეყნისა, რომლის პოლიტიკა-პოლიტოლოგიას სხვისი აზრი კვებავს, საეჭვოა.**

***ჰამლეტ ჭიპაშვილი***,
*პოლიტოლოგი*




**როდესაც საინფორმაციო წყაროდ «რუსთავი 2» გაქვს შერჩეული, უდავოდ იტყვი რუსეთის უკრაინაში შეჭრაზე; უდავოდ იტყვი, რომ აშშ იცავს უკრაინას; უდავოდ ვერ დაინახავ იმ «ბედნიერებას», ამერიკამ რომ მოუტანა უკრაინას, ანუ თვეში 30 დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე**



# ელისაშვილის «მხილება», ანუ კიდევ ერთი დაგეგმილი სკანდალი

**„ნაც-ქოცების“ კოაბიტაციურმა ხელისუფლებამ რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთი „სახრავი ძვალი“ გადაუგდო ქართველ საზოგადოებას. ამჯერად სახრავი „მასალის“ როლი დააკისრეს გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაციის მოქალაქე ალეკო ელისაშვილს. მისი „მხილების“ მსხვერპლი შეიქნენ საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძე და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია. ელისაშვილმა პროკურატურაში ტელეფონი მიიტანა, — აი ნახეთ, „ისტერიულ მესიჯებს“ მწერდნენ ხოლმეო.**

მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ „ისტერიული მესიჯების“ ავტორთა კოლექტივში საპატიო ადგილს იკავებდნენ ქალბატონები — კობახიძე და ბესელია, ანუ ბატონ ალეკოს სიტყვებით, **„კუდამწვარი, აფოფინებული ბინძური პოლიტიკოსები“**. რას ერჩოდნენ მანანა კობახიძე და ეკა ბესელია შეწყალების კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს? თურმე ხსენებული მაღალჩინოსნები ელისაშვილზე ზემოქმედებდნენ ე.წ. კოკაინის საქმის გამო. ორივენი ბატონ ალეკოსგან „ისტერიულად“ მოითხოვდნენ „კოკაინის საქმის“ ერთ-ერთი ბრალდებულის — **ანასტასია ზაუტაშვილის** შეწყალების საქმის „დაძვრას“. „მხილებულმა“ ბესელიამ და კობახიძემ, რასაკვირველია, კომენტარები გააკეთეს. ქალბატონ ბესელიასგან განსხვავებით, რომელიც მოკლედ შემოიფარგლა: ჭორის დონეზე ვერ ვისაუბრებ, დაველოდები გამოძიებასო, ქალბატონმა კობახიძემ ფართოდ იმსჯელა: „მე ვიყავი ე.წ. კოკაინის საქმეზე დაკავებული პირების ადვოკატი 2011 წელს სააპელაციო სასამართლოსა და შემდეგ უზენაეს სასამართლოში. დიახ, ამ ადამიანების შეწყალებას ნამდვილად ვითხოვდი, რადგან დღესაც ვფიქრობ, რომ პატიმრობაში სერიოზული საპროცესო დარღვევებით იმყოფებიან. ჩვენებები მოწმეებზე ზეწოლით მოიპოვეს და, ზოგადად, ბევრი სამართლებრივი კითხვაა პასუხგაუცემელი. შესაძლოა, ალეკო ელისაშვილთან ოფიციალური განცხადებების გაგზავნის შემდეგ, მოვიკითხე, რა ეტაპზე იყო საქმის განხილვა და ისიც შესაძლოა, ელისაშვილს ვთხოვე, საქმე თაროზე არ შემოედოთ. გაასაჯაროოს ელისაშვილმა სატელეფონო ზარების შინაარსი. დიახ, მე დავრეკავ ყველასთან საჩივრის ბედის შესახებ, ვისთანაც ოფიციალური მოთხოვნა მაქვს გაგზავნილი. ეს ეხება სამინისტროებსაც და პროკურატურასაც. ეს არ ნიშნავს, რომ ვინმესთან დაჟინებული მოთხოვნა მქონდა. უსინდისობაა, თუ ალეკო ელისაშვილი ამას ასე აღიქვამს. ახლა მე მოვითხოვ იმის მტკიცებულებას, რომ ამ საქმეში 200 ათასი მაქვს აღებული“.

**არ არის გამორიცხული, რომ „თბილისის ამქრის“ სიტყვებში სიმართლეც „ჟონავდეს“, მაგრამ ისმის კანონზომიერი კითხვა: რატომ გაახსენდა ალეკო ელისაშვილს მაინცდამაინც ახლა კობახიძე-ბესელიასგან ორი წლისწინანდელი „ზეწოლა“?** მე უნდა ვასწავლო ბატონ ელისაშვილს ჟურნალისტიკის ანაბანა, რომ **მტკიცებულებების გარეშე არ შეიძლება ადამიანის დადანაშაულება?** საიდან მოიტანა ელისაშვილმა, რომ კობახიძემ ბეს სახით „ჩაიჯიბა“ თამაზ ბოჭორიშვილისგან 200 ათასი დოლარი ან ევრო, ან იქნებ პატრიოტიზმი გამოიჩინა და გაუფასურებული ლარით დაკმაყოფილდა? თუ ბატონი ალეკო იმედოვნებს, რომ მეგობარს გაჭირვებაში არ მიატოვებს ქართული პრესის „მძიმე არტილერია“ **ელისო კილაძის** სახით? სხვათა შორის, ქალბატონ კილაძეს წაკითხული აქვს **„მოკლე ტექსტური უკატეგორიულესი მესიჯი“** და ელისაშვილზე უფრო შორს მიდის: ნუგზარ ბოჭორიშვილს 200 ათასი ბედ აქვს გადახდილი და დანარჩენ თანხას მას შემდეგ მიიღებდნენ, რაც გათავისუფლდებოდნენ დაკავებული პირები.

დრო და დრო, ასეთი სკანდალების შემდეგ, თავი დიდ საგიჟეთში გგონია გამომწყვდეული. სკანდალი სკანდალს მოჰყვება, ერთი პოლიტიკური ჯგუფი მეორეს ქვეყნის ღალატსა და „უპრეცედენტო“ კორუფციაში ადანაშაულებს, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, პასუხისგებაში არავინ არის მიცემული! ან კიდევ — რამ მოაფიქრებინა საქართველოს პრეზიდენტ **გიორგი მარგველაშვილს** ალეკო ელისაშვილისთვის პირადი დაცვის გამოყოფა? ელისაშვილი არათუ არავის უცემია, არც არავინ დამუქრებია მას და რა საჭიროა ეს კლოუნადა?!

ისე, მაინტერესებს, რას ფიქრობს მილიარდერი ივანიშვილი ელისაშვილზე, რომელიც უწინ აქო და ადიდა. ვინ აწინაურებს ასეთ პირებს, რომლებსაც დალაგებულ სახელმწიფოში ორ ბატსაც არ ანდობდნენ? ან მარგველაშვილზე რას ფიქრობს? გახსოვთ, ალბათ, ივანიშვილის სიტყვები: თუ გიორგი მარგველაშვილს ამომრჩევლების 80 პროცენტზე მეტმა მხარი არ დაუჭირა, დანაპირებს არ შევასრულებო; და მიუხედავად მისი პროტეჟეს შთამბეჭდავი გამარჯვებისა, დანაპირები ბატონმა ბიძინამ მაინც არ შეასრულა. როგორც „ქართული ოცნების“ სამწლიანმა მმართველობამ დაგვანახვა, მის ნაქებ და წინწაწეულ კადრებს სახელმწიფოს მართვის საქმეში არაფერი გაეგებათ, მხოლოდ პრემიების მითვისებაში აღმოჩნდნენ ყოჩაღნი.

ელისაშვილის „მხილებაც“ მალე „ჩაიფუშება“, გამოძიება გაჭიანურდება და „კოკაინის საქმეც“ დაგვავიწყდება. ახლა კი საკითხავია, როდის აგორდება მორიგი სკანდალი, როდის გადმოგვიგდებს ხელისუფლება სახრავად მორიგ „ძვალს“.

**გიორგი კორძაძე**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„სრული სიზუსტით, ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით, დავუხასიათე გერმანიის საავიაციო მრეწველობა და მოვახსენე, რომ, თუ გავითვალისწინებთ ოკუპირებული ქვეყნებიდან გერმანელების მიერ შემოერთებულ საჰაერო ძალებს, მაშინ გერმანიის საჰაერო ძალები საბჭოთა კავშირის საჰაერო ძალებს ორჯერ აღემატება-მეთქი. სტალინმა ჩემზე კარგად იცოდა, რასაც მოვახსენებდი, მაგრამ მეც რომ ვიყავი ამ საქმეში საფუძვლიანად გრკვეული, ეს მისი სახეზე გამოხატული კმაყოფილებით მივხვდი“.**

# შეხვედრები სტალინთან

**მკითხველს, მინდა, მოვუთხრო სტალინის შეხვედრებზე იმ ადამიანებთან, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს სოციალისტური ქვეყნის მშენებლობასა და ფაშიზმზე გამარჯვებაში. გიამბობთ, რა კეთილი ზრუნვით ექცეოდა სტალინი ახალგაზრდებს, რათა, რაც შეიძლება მალე ჩამდგარიყვნენ სამშობლოს მშენებელთა რიგებში; როგორ უნდა შეეცვალათ ახალგაზრდებს ძველი თაობა და რა პატივი უნდა მიეგოთ მათ ძველებისთვის. წერილების ციკლი, რომელსაც პირობითად „შეხვედრები სტალინთან“ დავარქვი, მოიცავს მხედართმთავრების, კონსტრუქტორებისა და სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის წარმომადგენლების შეხვედრებსა და ურთიერთობას ბელადთან.**



პირველი წერილი მივუძღვენი საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარს, გენერალ-პოლკოვნიკ **ალექსეი შახურინს**, რომელიც მოსკოვის ოლქში პოდოლსკის რაიონის სოფელ მიხაილოვსკოეში დაიბადა 1904 წლის 25 თებერვალს.

ალექსეი შახურინმა მუშაობა დაიწყო ელექტრომონტიორად, შემდეგ მუშაობდა ხარატად. როგორც ბეჯითი და მუყაითი ახალგაზრდა, კომკავშირულ სამუშაოზე გადაიყვანეს, სადაც მან მოსკოვის ბაუმანის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის პირველ მდივნობასაც მიაღწია. იყო პარტიის იაროსლავსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდგომ კი — გორკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი.

1940 წლის 9 იანვარს გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მისაღებში ტელეფონის ზარი გაისმა:

„— ამხანაგო შახურინ! შეგიძლიათ, დღესვე გამოემგზავროთ მოსკოვში?

— არაფრით არ შემიძლია ჩამოსვლა, რადგან ახლა მიმდინარეობს ოლქის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელსაც მე ვთავმჯდომარეობ. სესია ხვალაც გაგრძელდება.

— მაშინ, ამხანაგო შახურინ, ახლავე მიდით სესიაზე და განუცხადეთ სესიის მონაწილეებს, რომ სასწრაფოდ ცენტრალურ კომიტეტში ხართ გამოძახებული. რით შეგიძლიათ დღესვე ჩამოხვიდეთ მოსკოვში?

— მატარებელი 2 საათის შემდეგ გამოდის გორკიდან, სწორედ ამ მატარებლით ვიმგზავრებ.

— კეთილი, — მიპასუხეს და ყურმილი დაკიდეს.

მეორე დღეს, ვიდრე სამსახური დაიწყებოდა, უკვე ცენტრალური კომიტეტის დერეფნებში დავდიოდი. ბოლოს, როცა პასუხისმგებელი პირები გამოჩნდნენ, მოვახსენე, რომ ჩამოვედი.

— კეთილი, მაგრამ ვისთან ჩამოხვედით? — მკითხეს გაკვირვებით.

ზარმა კრემლამდე მიაღწია. მიბრძანეს, სასწრაფოდ სტალინთან გამოვცხადებულიყავი. ცენტრალური კომიტეტიდან კრემლამდე არც ისე დიდი მანძილია, მაგრამ, სანამ სპასკის ჭიშკარს გადავჭრიდი, მე უკვე ჩემი დამემართა, — რით იყო ასე სასწრაფოდ ჩემი გამოძახება გამოწვეული. ვაანალიზებდი განვლილ მუშაობას და განვლილ ცხოვრების გზას. თითქოს საგანგაშო არაფერი უნდა ყოფილიყო.

მუხლების კანკალით ავედი მეორე სართულზე. ამ შენობაში და ამ ადგილზე პირველად ვიყავი. მელოტი კაცი, რომელიც პირველი შემხვდა, ხმით ვიცანი. ის **პოსკრებიშევი** იყო, სტალინის მდივანი და მარჯვენა ხელი.

—კარგია, რომ ჩამოხვედით. დაელოდეთ. თუ საქმე გაქვთ, რომელიმე განყოფილებაში გაიარეთ, ოღონდ უნდა ვიცოდეთ, ყოველ წუთს სად იმყოფებით, რათა საჭიროების შემთხვევაში დაუყონებლივ აქ გაჩნდეთ.

შენობაში ბევრი ნაცნობი შემხვდა, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა სტალინთან ჩემი შეხვედრის შესახებ, რაც უფრო მანერვიულებდა და სხვადასხვა აზრს მიჩენდა. როგორც იქნა, მიხმეს პოსკრებიშჩევთან, მან კარი გამოაღო და შესვლა მიბრძანა. პირველად ვხედავდი ასეთ მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდას, რომელსაც სკამები ჰქონდა შემოწყობილი. მოშორებით კი იდგა საწერი მაგიდა, რომელზეც მიდგმული იყო მცირე ზომის მაგიდა ტელეფონის უამრავი აპარატით.

გრძელ მაგიდასთან ისხდნენ მოლოტოვი, ვოროშილოვი და სხვა — ჩემთვის უცნობი ადამიანები. ფანჯარასთან კი იდგა ხელში ჩიბუხმომარჯვებული სტალინი, რომელიც აუჩქარებლად წამოვიდა ჩემკენ და მიმითითა, დავმჯდარიყავი მაგიდასთან, თვითონ კი ნელი ნაბიჯით სიარული განაგრძო წითელ ხალიჩაზე. **უკან მობრუნებული სტალინი ჩემ პირდაპირ გაჩერდა, თვალებში ჩამხედა და მკითხა:**

**— ჩვენ გადავწყვიტეთ, დაგნიშნოთ საავიაციო მრეწველობის მინისტრად. გვჭირდება ენერგიული, გამბედავი და საქმის მცოდნე ახალგაზრდები. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?**

კითხვამ ისე დამაბნია, გონება გამიჩერდა, სიტყვები ყელში გამეჩხირა და ხმის ამოღება ვერ შევძელი. გორკში მუშაობა ძალიან მომწონდა და

**«უკან მობრუნებული სტალინი ჩემ პირდაპირ გაჩერდა, თვალებში ჩამხედა და მკითხა: — ჩვენ გადავწყვიტეთ, დაგნიშნოთ საავიაციო მრეწველობის მინისტრად. გვჭირდება ენერგიული, გამბედავი და საქმის მცოდნე ახალგაზრდები. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ? კითხვამ ისე დამაბნია გონება გამიჩერდა, სიტყვები ყელში გამეჩხირა და ხმის ამოღება ვერ შევძელი»**

გეგმებიც უამრავი მქონდა.

საუბარში ვოროშილოვი ჩაერია და განუმარტა სტალინს, რომ ეს ისეთ ადგილებში მუშაობდა და ისეთ შედეგებს აღწევდა, დარწმუნებული ვარ, საავიაციო მრეწველობასაც თავს გაართმევსო.

მოლოტოვი კი დაინტერესდა ჩემი მუშაობის პერიოდით და ყველა წვრილმანზე მეკითხებოდა.

ამ დროს კარი პოსკრებიშევმა შემოაღო. სტალინთან მივიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

—შემოვიდეს, — ბრძანა სტალინმა და სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. სტალინი ჩემკენ გამოემართა და მკითხა, — ვიცნობდი თუ არა ამ ახალგაზრდა კაცს, რაზეც უარით ვუპასუხე.

— მაშინ გაიცანით, ეს კონსტრუქტორი **ალექსანდრე იაკოვლევია.** შემდეგ იაკოვლევს ჩემი თავი წარუდგინა: ეს კი, — მტკიცე ტონით განაცხადა სტალინმა, — ჩვენი საავიაციო მრეწველობის მინისტრი შახურინია.

მივხვდი, რომ ჩემი საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. სტალინმა მკითხა:

— რამდენი წლისა ხართ?

— ოცდათხუთმეტის, — ვუპასუხე.

— აი, მიმართა იაკოვლევს, როგორი ახალგაზრდა სახალხო კომისარი გვყავს. ეს ძალიან კარგია.

იაკოვლევის შემოსვლის შემდეგ ვიგრძენი, რომ სტალინის საუბრის ტონი შეიცვალა და ის უფრო რბილი და სასიამოვნო გახდა.

სტალინი კვლავ მომიახლოვდა და მითხრა:

— თქვენი მოადგილე საცდელ ავიამშენებლობაში იაკოვლევი იქნება, სხვა მოადგილეებზე შემდგომ მოვილაპარაკებთ.

— ახლა ეს მითხარით, ვის უწევთ რეკომენდაციას თქვენს ადგილზე — გორკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად?

მე დავუსახელე საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე **მიხეილ ივანეს ძე როდიონოვი.**

— მხოლოდ და მხოლოდ როდიონოვს უწევთ რეკომენდაციას ამ თანამდებობაზე? — მკითხა სტალინმა.

მე სტალინს მოვახსენე როდიონოვის შრომითი გზის შესახებ, მის სიმტკიცეზე საქმეში, მის პრინციპულობასა და მიზანსწრაფულობაზე. საუბარი დასასრულს მიუახლოვდა და ვთხოვე სტალინს, უფლება მოეცა, ჩავსულიყავი გორკში საქმეების გადასაბარებლად.

— საქმის გადაბარება და მიღება მოახერხეთ მოსკოვში. თქვენ არ გაქვთ არც ერთი საათი თავისუფალი დრო. გორკში თქვენს საქმეებს ცეკას წარმომადგენელი გადააბარებს. თქვენ კი სამინისტროს საქმეებს მიხედეთ, — განმიცხადა სტალინმა.

ვიდრე სასტუმროში მივიდოდი, გორკში უკვე იცოდნენ ჩემი ახალ ადგილზე დანიშვნის შესახებ და ისიც მომახსენეს, რომ როდიონოვი უკვე გამოემგზავრა მოსკოვში. როდესაც ჩემდამი რწმუნებულ სახალხო კომისარიატის საქმეებსა და მის რთულ და სასწრაფოდ შესასრულებელ დავალებებს გავეცანი, გულში გავიფიქრე: სტალინი ყველაფერში მართალია, მე ერთი წუთითაც არ შემეძლო საქმიდან მოწყვეტა.

რამდენიმე დღე იყო გასული, რომ სტალინთან გამომიძახეს. ზღურბლს გადაცილებული არ ვიყავი, რომ სავარძლიდან წამოფრენილი სტალინი, სახეზე ცეცხლმოკიდებული და განრისხებული, მთელი ხმით აყვირდა:

— რატომ, გეკითხებით, რატომ ხდება ამა და ამ ქარხანაში ასეთი და ასეთი უპასუხისმგებლობა და დანაშაული, რატომ არ უგდებთ ყურს ქარხნის მუშაობას, რატომ არ უნდა იყოთ საქმის კურსში, როდესაც საქმე ფუჭდება?

ასეთი მრავალი რატომ დიდხანს ისმოდა ამ ვეებერთელა კაბინეტში.

შიშისაგან გაოგნებული ვიყავი. პაუზის გაჩენისთანავე ვისარგებლე და პასუხი გავეცი.

— ამხანაგო სტალინ, თქვენ იქნებ არ გახსოვთ, რომ მე ამ სამინისტროში ცოტა ხანია, რაც ვმუშაობ?!

— მე არაფერი მავიწყდება, — უფრო განრისხდა სტალინი, — თქვენ იქნებ ისიც მიბრძანოთ, რომ ყველა ამ უყურადღებობასა და დანაშაულზე პასუხი ყოფილ კომისარ კაგანოვიჩს მოვთხოვო, რომელმაც დააჩლუნგა სამინისტროს მუშაობა! თუ არა თქვენ, ვის მოვთხოვო პასუხი იმაზე, რაც დღეს არასწორად კეთდება სამინისტროში?!

ვფიქრობდი, რომ სტალინი ამ შემთხვევაში მწარე გაკვეთილს მიტარებდა, რათა მეც ასეთი მომთხოვნი ვყოფილიყავი ჩემი თანამშრომლების მიმართ, როდესაც საქმე გაფუჭდებოდა. სტალინი აშკარად მართალი იყო.

1940 წლის მაისი იდგა, როდესაც სტალინმა გამომიძახა და ჩვენ შორის საქმიანი საუბარი გაიმართა. მან მთხოვა, დაწვრილებით მომეთხრო გერმანიის საავიაციო მრეწველობის შესახებ და მის პერსპექტივებზე.

მე სრული სიზუსტით, ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით, დავუხასიათე გერმანიის საავიაციო მრეწველობა და მოვახსენე, რომ, თუ გავითვალისწინებთ ოკუპირებული ქვეყნებიდან გერმანელების მიერ შემოერთებულ საჰაერო ძალებს, მაშინ გერმანიის საჰაერო ძალები საბჭოთა კავშირის საჰაერო ძალებს ორჯერ აღემატება-მეთქი. **სტალინმა ჩემზე კარგად იცოდა, რასაც მოვახსენებდი, მაგრამ, მეც რომ ვიყავი ამ საქმეში საფუძვლიანად გარკვეული, ამას მის სახეზე გამოხატული კმაყოფილებით მივხვდი. ბოლოს კი მიბრძანა:**

— დაწერე ეს ყველაფერი ცენტრალური კომიტეტის სახელზე და დაუმატე ყველა იმ ღონისძიების ჩატარების გეგმა, რომელიც საქმის უსწრაფესად გასაკეთებლად არის საჭირო.

სტალინის დავალება დაუყონებლივ შევასრულე და ცენტრალურ კომიტეტს წარვუდგინე უახლოეს მომავალში სასწრაფოდ გასაკეთებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც უსწრაფესად უნდა დაწყებულიყო ცხრა ძველი თვითმფრინავმშენებელი ქარხნის რეკონსტრუქცია-გადაიარ- ▶

# „ავიამშენებლებმა სიტყვა შეასრულეს. 1941 წლის ივნისში დღე-ღამეში თვითმფრინავების გამოშვებამ ორმოცდაათს გადააჭარბა. ომის დაწყების პირველ თვეს ავიამშენებლებმა 1807 თვითმფრინავი გამოუშვეს, ესე იგი, დღე-ღამეში 60 თვითმფრინავი. სექტემბერში კი სადღეღამისო გამოშვებამ 70 თვითმფრინავს მიაღწია. შეფერხება იყო ქარხნების ევაკუაციის დროს, მაგრამ, როდესაც ურალს იქით კვლავ ახალი ძალით გაჩაღდა ავიამშენებლობა თვითმფრინავების სადღეღამისო გამოშვებამ 100 თვითმფრინავს გადააჭარბა“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ აღება და ცხრა ახალი ქარხნის მშენებლობა. ამასვე უნდა დამატებოდა თვითმფრინავის ძრავების დამამზადებელი ექვსი დიდი ქარხნის მშენებლობა.

ჩემი მოხსენების საფუძველზე ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილება მიიღო“.

საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატში დღე და ღამე მუშაობა არ წყდებოდა. არ წყდებოდა მუშაობა მის ქარხნებსა და საამშენებლო მოედნებზე. ამასთანავე, არ წყდებოდა სტალინის სატელეფონო ზარები სამუშაოების მიმდინარეობის გასაკონტროლებლად.

**თვითმფრინავების ძრავების დამამზადებელმა ერთ-ერთმა ქარხანამ ძრავის რესურსის გაზრდის მიზნით თავისი ინიციატივით შესწორება შეიტანა მთავრობის მიერ მიღებულ ტექნოლოგიურ პროექტში და ძრავები გამოუშვა, რომლებზეც დაიხარჯა მასალები, თანხა და დრო, ძრავმა კი არ ივარგა.**

ეს ფაქტი სტალინს მხედველობიდან არ გამორჩენია, არა მხოლოდ სახალხო კომისარიატის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, არამედ სხვა უფრო მისთვის სანდო საინფორმაციო საშუალების წყალობითაც. შახურინი სტალინთან დაიბარეს. სათათბირო მაგიდასთან, სადაც მოლოტოვი, ვოროშილოვი და სხვა პირები ისხდნენ, შახურინის მისვლის შემდეგ სწრაფად დაიწყო საკითხის განხილვა. სტალინი აღნიშნავდა, რომ შეცდომა, რომელმაც ზარალი გამოიწვია, არ არის ბოროტი განზრახვის შედეგი, ეს პირადი ინიციატივის გამოჩენის მცდელობაა. საჭიროა გამოიცეს ბრძანებულება, რომელიც მკაცრად დაიცავს ტექნოლოგიურ დისციპლინას.

სტალინმა ასეთი მომენტიც გაიხსენა:

— ბულგანინისგან მივიღე წერილი, რომ ერთ-ერთ ჯარისკაცს ჩვეულებრივი ხუთვაზნიანი შაშხანა ათვაზნიან ავტომატურ შაშხანად გადაუკეთებია და ამისათვის ითხოვდა მთავრობის ჯილდოს.

სტალინის რეზოლუციით ჯარისკაცი პროგრესულად აზროვნებისთვის წაახალისეს, მაგრამ სამხედრო იარაღის თვითნებური გადაკეთების გამო რამდენიმე დღით ციხეშიც ჩასვეს.

სტალინმა შახურინს დაავალა, სასწრაფოდ შეედგინა ბრძანების პროექტი ტექნოლოგიური დისციპლინის მკაცრად დაცვის თაობაზე და წარედგინა მისთვის.

მეორე დღეს სტალინი თავისი წითელი ფანქრით სათანადო შესწორებებს უკეთებდა ბრძანების პროექტს და ამკაცრებდა დამნაშავეთა პასუხისმგებლობას. საბოლოო სახის მიღების შემდეგ გამოიცა კიდეც ბრძანება №518, რომლის სიმკაცრე და შედეგიანობაც დიდხანს დარჩა საავიაციო მრეწველობაში.

„ბრძანების გამოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მივლინებიდან დავბრუნდი მოსკოვში, — იგონებს შახურინი, — სტალინთან დამიბარეს.

მისვლისთანავე სტალინმა მისაყვედურა, — ბრძანება, რომელიც თქვენი ხელით შეადგინეთ და ხელიც მოაწერეთ, პირველმა თქვენ დაარღვიეთო.

როგორც გაირკვა, კონსტრუქტორ კლიმოვს იაკოვლევის გამანადგურებელზე ძრავის წონა 200 გრამით დაუმძიმებია, რადგან ტვიამფრქვევს, რომელიც ძრავის კარტერზე იყო დამაგრებული, უწყვეტი ცეცხლის გამო კარტერი გაუბზარავს, რის გამოც კლიმოვმა დაზიანებულ ადგილზე ლითონის სისქეს მოუმატა, შედეგად ძრავა 200 გრამით დამძიმდა, რაც ჩემთვის უცნობი იყო. სტალინი ძალზე მკაცრი იყო იმის გამო, რომ ძრავა დამძიმდა მას შემდეგ, რაც მან სახელმწიფო გამოცდა გაიარა და სერიულ წარმოებას გადაეცა.

სტალინს ავუხსენი, რომ ეს ყველაფერი მისი ადგილზე არყოფნის დროს მოხდა, მაგრამ სტალინმა ეს განმარტება ახლოსაც არ გაიკარა.

— სულერთია, შენ ეს უნდა მოგეხსენებინა სახალხო კომისართა საბჭოსთვის!“

სტალინმა გასცა განკარგულება, შახურინისთვის საყვედური გამოეცხადებინათ და გაფორმდა კიდეც საოქმო გადაწყვეტილებაში.

„როდესაც კრემლიდან გამოვედით შეიარაღების მინისტრმა ვანიუკოვმა შეწუხებულმა მითხრა: ეს საყვედური, რომელიც სტალინისგან მიიღე, ჩემი ბრალია, კონსტრუქტორს მე ვუბრძანე, რადგან დრო არ ითმენდაო, — იგონებს შახურინი და ასკვნის, რომ ასეთი იყო სტალინის მუშაობის სტილი და სტალინმა წვრილმანებამდე იცოდა არა მხოლოდ ავიაცია და სამხედრო მრეწველობა, არამედ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი.

**შენიშვნა: გორბაჩოვსა და ელცინს რუსმა ოლიგარქებმა ისე დაუცარიელეს ზღვები და ოკეანეები ატომური მუხტით შეიარაღებული წყალქვეშა ხომალდებისგან, რომ ერთი სუბმარინის გამყიდველსაც ვერ მიაგნეს და პასუხი ვერ აგებინეს, რომ არაფერი ვთქვათ სატანკო დივიზიების ჯართში ჩაბარებაზე.**

„1940 წლის ოქტომბერი იყო, — იხსენებს შახურინი, — კრემლის კაბინეტიდან სტალინის ბინაში გადავდიოდით. სტალინი და მე ჩამოვრჩით და სტალინმაც განაგრძო საუბარი დაწყებულ საკითხზე.

— ამხანაგო სტალინ, ძალიან მეეჭვება, რომ ასე უცებ ვთქვათ უარი ძველ თვითმფრინავებზე და ახლის მშენებლობა დავიწყოთ. ვეჭვობ, ამას ვერ მოვასწრებთ.

— მოვასწრებთ!

სიტყვა „მოვასწრებთ“ ისე დაბეჯითებით და მკვეთრად გამოთქვა, რომ სხეულში უცაბედად იმედმა დამიარა. სიტყვა აღარ გამიგრძელებია.

დეკემბერში სტალინმა კრემლის ბინაში სადილად მიმიწვია, თან საქმიანი საუბარიც გამიმართა:

— როგორ მიდის ახალი თვითმფრინავების გამოშვების საქმე? — შემეკითხა სტალინი.

— თვითმფრინავების გამოშვების საქმე წარმატებით მიდის, ჩვენი ქარხნები თვეში 2-3 თვითმფრინავით მეტს უშვებენ გეგმასთან შედარებით, — ვუპასუხე მე.

— მოდი, ასე შევთანხმდეთ, — და სტალინმა თავისი მწვანე ფანქრით ქაღალდზე ჩამოწერა:

— „ვალდებულება. ჩვენ, შახურინი, დემენტიევი, ხრუნიჩევი, ვორონინი (ჩამოთვალა ყველა ჩემი მოადგილე), ვიღებთ ვალდებულებას, დღე-ღამეში თვითმფრინავების გამოშვება ავიყვანოთ 50 ერთეულამდე“. ხომ შეიძლება, აიღოთ ასეთი ვალდებულება?

— მხოლოდ მე არ შემიძლია გადავწყვიტო ამ ვალდებულების აღება, — ვუპასუხე მე

— რატომ? — მკითხა სტალინმა

— თქვენ მიერ შედგენილ ვალდებულებაში მხოლოდ ჩემი გვარი არ წერია, იქ სხვებიცაა მოხსენიებული, ხომ უნდა მოვეთათბირო მათ?

— თანახმა ვარ. მოეთათბირეთ და შედეგი მომახსენეთ.

მეორე დღეს, დილიდანვე, ჩემს მოადგილეებთან ერთად მთელი ქარხნის დირექტორებთან სატელეფონო შეთანხმებებითა და მოთათბირებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ სტალინის წინაშე ეს ვალდებულება აგვეღო. სტალინის ხელით მწვანე ფანქრით დაწერილ ვალდებულებას ჩემთან ერთად ყველა მოადგილემ მოაწერა ხელი და საღამოს სტალინს მაგიდაზე დავუდე. სტალინი კმაყოფილი დარჩა არა მხოლოდ ვალდებულების აღებით, არამედ ვალდებულების აღებამდე ჩატარებული მუშაობით.

ავიამშენებლებმა სიტყვა შეასრულეს. 1941 წლის ივნისში დღე-ღამეში თვითმფრინავების გამოშვებამ ორმოცდაათს გადააჭარბა. ომის დაწყების პირველ თვეს ავიამშენებლებმა 1807 თვითმფრინავი გამოუშვეს, ესე იგი, დღე-ღამეში 60 თვითმფრინავი. სექტემბერში კი სადღეღამისო გამოშვებამ 70 თვითმფრინავს მიაღწია. შეფერხება იყო ქარხნების ევაკუაციის დროს, მაგრამ, როდესაც ურალს იქით კვლავ ახალი ძალით გაჩაღდა ავიამშენებლობა, თვითმფრინავების სადღეღამისო გამოშვებამ 100 თვითმფრინავს გადააჭარბა.



ალექსეი შახურინი

**«ზოგიერთი დილეტანტი ამტკიცებს, რომ საბჭოეთმა ახალი თვითმფრინავები ომის მეორე ნახევარში გამოუშვა, რაც სრული სიცრუეა. ისეთი რთული საჰაერო მანქანები, რომლებსაც ომის დროს ვუშვებდით, შეუძლებელი იყო, ომის მძიმე პირობებში შექმნილიყო. ეს სტალინის უძილო ღამეებისა და ავიაკონსტრუქტორთა და ავიამშენებელთა თავგანწირული შრომის შედეგი იყო, რამაც საბოლოოდ გამარჯვებამდე მიგვიყვანა»**



**ღამის პირველი საათი იყო, როდესაც ჩემი კაბინეტის კარი ბალანდინმა შემოაღო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ჯერ იმიტომ, რომ ბალანდინი გათავისუფლდა ციხიდან, უფრო დიდ სიხარულს კი ის მგვრიდა, რომ სტალინმა თხოვნა შემისრულა**

**1940 წლის ბოლოს მე და ჩემი მოადგილე ბალანდინი და კონსტრუქტორი იაკოვლევი სტალინმა გამოგვიძახა. მას ძალიან აინტერესებდა „ემ-105“ ძრავის ტექნიკური მახასიათებლები, რომელიც 1000 ცხენის ძალის მქონე იყო. სტალინმა გახსნა თავისი წითელი საცნობარო ბლოკნოტი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავების მახასიათებლები ჰქონდა შეტანილი, შიგ ჩაიხედა და გულში ჩამწვდომად ჩაილაპარაკა:**

**— ეხ, გვქონდეს ჩვენც ასეთი სიმძლავრის ძრავები თვითმფრინავებზე, სულ სხვანაირად დაველაპარაკებოდი იმ ვირს. გულისხმობდა ფაშისტურ გერმანიასა და მის ცოფიან ხელმძღვანელს.**

რამდენი რამ გავაკეთეთ და შევძელით, უპირველესად, კლიმოვის საკონსტრუქტორო ბიუროში, რომ დავწეოდით და გაგვესწრო ყველა ქვეყნისათვის, როგორც ძრავების, ისე თვითმფრინავების მშენებლობაში“, — შენიშნავს შახურინი.

„1941 წლის 10-11 ნოემბერი. შუა ღამეს გადაცილებული იყო, როცა სტალინმა დამირეკა და მკითხა:

— როგორ არის საქმე?

ვუპასუხე, რომ მოსკოვისა და მოსკოვის ახლოს მდებარე საავიაციო ქარხნების ევაკუაცია დამთავრებულია, თუ ნებას დამრთავთ, მინდა, გავფრინდე ევაკუაციის ადგილზე, რათა დავაჩქარო მშენებლობის მიმდინარეობა. სტალინმა თანხმობა განმიცხადა. როდესაც საუბარი ძრავების ქარხნის დირექტორის კანდიდატურამდე მივიდა, სტალინს მოვახსენე, რომ ყველაზე უკეთ ახლაშენებულ ქარხანაში საქმეს ბალანდინიააწყობდა.

— ბალანდინი ხომ თქვენი მოადგილე იყო? — მკითხა სტალინმა.

— დიახ. ის, ამასთანავე, უმაღლესი დონის დირექტორიცაა, — ვუპასუხე მე.

— და შეძლებს საქმის გამოსწორებას? — კითხვითვე მომმართა სტალინმა.

— მასზე უკეთესად ვერავინ შეძლებს, — ფრაზა დამთავრებული არ მქონდა, რომ საუბარი შეწყდა.

მეორე დღეს მე, დემენტიევი და იაკოვლევი სტალინმა თავისთან გვიხმო. იგი თავის კაბინეტში ბოლთას სცემდა, ჩვეული ტონითა და სიდინჯით საუბარი კვლავ ძრავების ქარხნისა და მისი დირექტორის კანდიდატურის შერჩევას შეეხო. მე ქარხნის დირექტორად კვლავ ბალანდინი დავასახელე (ბალანდინი კი ამ დროს სამშობლოს ღალატის ბრალდებით ლუბიანკაზე იმყოფებოდა). ჩემს მოთხოვნას მხარი დემენტიევმა და იაკოვლევმაც დაუჭირეს.

— თანახმა ვარ! — განაცხადა სტალინმა.

საუბარი საღამოს 8 საათზე დასრულდა და ჩვენს სამსახურებს მივაშურეთ. ღამის პირველი საათი იყო, როდესაც ჩემი კაბინეტის კარი ბალანდინმა შემოაღო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ჯერ იმიტომ, რომ ბალანდინი გათავისუფლდა ციხიდან, უფრო დიდ სიხარულს კი ის მგვრიდა, რომ სტალინმა თხოვნა შემისრულა.

მეორე დილით კვლავ გაისმა სტალინის ტელეფონის ზარი.

— ამხანაგო შახურინ, გავაკეთოთ ასე — ბალანდინი, პირველ რიგში, აღადგინეთ მინისტრის პირველ მოადგილედ და შემდეგ დროებით დაავალეთ ქარხნის დირექტორობა ისე, რომ წყენა არ ჩარჩეს გულში.

სასწრაფოდ დავურეკე ბალანდინს და სტალინის დავალება გადავეცი. ბალანდინმა ღირსეულად შეასრულა დავალება, როგორც სამშობლოს, ისე სტალინის წინაშე.

აი, ასე ემზადებოდა ქვეყანა და პირადად სტალინი მტრის დასახვედრად. არადა, ზოგიერთი დილეტანტი ამტკიცებს, რომ საბჭოეთმა ახალი თვითმფრინავები ომის მეორე ნახევარში გამოუშვა, რაც სრული სიცრუეა. ისეთი რთული საჰაერო მანქანები, რომლებსაც ომის დროს ვუშვებდით, შეუძლებელი იყო, ომის მძიმე პირობებში შექმნილიყო. ეს სტალინის უძილო ღამეებისა და ავიაკონსტრუქტორთა და ავიამშენებელთა თავგანწირული შრომის შედეგი იყო, რომელმაც საბოლოოდ გამარჯვებამდე მიგვიყვანა“.

აქ, საგაზეთო ფორმატის გამო, შევწყვიტოთ შახურინზე თხრობა, თუმცა მისი და სტალინის შეხვედრებზე უამრავი საინტერესო მასალა არსებობს.

წინ კი მრავალი ადამიანის სტალინთან შეხვედრების ამსახველი მასალები გელით.

ეს უნდა იცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელ კოლეგებს არ ჩამორჩა 32 წლის ბრიტანელი სანდრინ ბრაუნი. ქალაქ უორიკის (უორკშირის საგრაფო) სკოლის მასწავლებელი იმ მომენტში დააპატიმრეს, როდესაც თავის 14-15 წლის 2 მოსწავლე გოგონასთან ერთად საწოლში განცხრომას ეძლეოდა.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოლირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

ახალ რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის.

დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...




## საწოლში მასწავლებელთან

**2015 წლის 2 ივლისს ფლორიდის (აშშ) სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მასწავლებელი ქალის — ჯენიფერ ფიხტერის მიმართ, რომელიც დამნაშავედ ცნო სამ არასრუწლოვან მოსწავლეზე სექსუალურ ძალადობაში. ფიხტერს 22 წლით აღუკვეთეს თავისუფლება (ამ ამბის შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ წერდა ამა წლის 44-ე ნომერში), მან ერთი წლით ნაკლები უნდა გაატაროს ციხეში, ვიდრე ანდრეს ბრეივიკმა, რომელმაც ნორვეგიაში 77 უდანაშაულო ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.**

## გარყვნილი სადისტი



**61 წლის მარკ ბრენდტი ლოს ანჯელესის ერთ-ერთ სკოლაში (Miramonte shool) 30 წლის განმავლობაში მუშაობდა მასწავლებლად.** ის 2012 წელს მოსწავლეების მიმართ სადისტური დამოკიდებულებისა და სექსუალური ძალადობის გამო დააპატიმრეს. როგორც გაირკვა, მასწავლებელი მოსწავლეებს თვალებს უხვევდა და სახეზე ტარაკნებს ასვამდა. მარკ ბრენტს, აგრეთვე, ბრალი დაედო 7-დან 10 წლამდე 23 მოსწავლესთან (ბიჭებსა და გოგონებთან) სექსუალური აქტის გამო.

## ბრიანა ალტისის ვნებანი



**ამა წლის 10 ივლისს კი აშშ-ში ახალი სკანდალი მოხდა. სასამართლომ ქალაქ კეისვილის (იუტას შტატი) მკვიდრი, ინგლისური ენის მასწავლებელი, 35 წლის ბრიანა ალტისი დამნაშავედ ცნო სამი მოსწავლის გარყვნაში.**

ამერიკული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბრიანა ალტისი იმ ერთ-ერთი მოსწავლის ჩვენების საფუძველზე დააპატიმრეს, რომელთანაც ერთითვის განმავლობაში ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა. მოზარდმა ზუსტად აღწერა ალტისის სხეულზე ტატუები და ოთახების განლაგება სახლში, სადაც ჰქონდათ სექსი. მასწავლებელი ქალისა და მოსწავლის ურთიერთობა კი დაიწყო 2013 წელს, როდესაც მოზარდი 15 წლის იყო.

სასამართლოს პროცესზე ბრიანა ალტისმა აღიარა დანაშაული და მოუბოდიშა მოსწავლეებს. „მე ადამიანი ვარ და ჩემი ცხოვრების რთულ პერიოდში შეცდომები დავუშვი“, — თქვა ქალმა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბრიანა ალტისი ციხეში 2 წელს გაატარებს, შემდეგ კი მას მიეცემა უფლება, გათავისუფლების შესახებ განცხადებით მიმართოს სასამართლოს და, თუკი გაათავისუფლებენ, ეს იქნება პირობითი თავისუფლება 28 წლის ვადით.

მას შემდეგ, რაც სასამართლომ ვერდიქტი გამოიტანა, ბრიანა ალტისის ქმარმა განქორწინება და მათი საერთო შვილის მეურვეობა მოითხოვა. ამას გარდა, მასწავლებელი ქალი სკოლიდან დაითხოვეს.

## სექსი 14 წლის მოზარდთან



**2013 წელს დააპატიმრეს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ფიტჩბერგის ერთ-ერთი სკოლის სექსუალური განათლებისა და აღზრდის მასწავლებელი, 27 წლის რეიჩელ გენდრონი.** მასწავლებელ ქალს ბრალი დასდეს 14 წლის მოსწავლესთან სექსუალურ ურთიერთობაში. **რეიჩელ გენდრონს 2 წლითა და 6 თვით აღუკვეთეს თავისუფლება.**

## სექსი თუ შექსპირის სონეტები?!



**ამერიკელ კოლეგებს არ ჩამორჩა 32 წლის ბრიტანელი სანდრინ ბრაუნი. ქალაქ უორიკის (უორკშირის საგრაფო) სკოლის მასწავლებელი იმ მომენტში დააპატიმრეს, როდესაც თავის 14-15 წლის 2 მოსწავლე გოგონასთან ერთად საწოლში განცხრომას ეძლეოდა.** მიუხედავად ამისა, ქალაქის პროკურორის განცხადებით, „ბრალდების მხარეს აქვს მტკიცებულება, რომ ეს სამი საწოლში ერთად იწვნენ, მაგრამ არ აქვს მტკიცებულება, რომ სექსით იყვნენ დაკავებულნი“, — ნუუ, რა თქმა უნდა, ისინი შექსპირის სონეტებს კითხულობდნენ!



## ჯგუფური სექსი მოსწავლესთან

**2014 წლის ოქტომბერში საინფორმაციო სააგენტო Asoociated Press-მა გამაოგნებელი ინფორმაცია გაავრცელა: ლუიზიანის შტატის ქალაქ კენერის სკოლა Destrehan High School-ის ორ მასწავლებელ ქალს — 32 წლის შელი დიუფრენსესა და 24 წლის რეიჩელ რესპრესს — ჯგუფური სექსი ჰქონდათ 16 წლის მოსწავლესთან.**

იუვენალური სასამართლოს ადგილობრივმა ორგანოებმა მასწავლებელი ქალების დაპატიმრების სანქცია მას შემდეგ გასცეს, როცა „გაუპატიურებულმა“ მოსწავლემ თავის თანაკლასელებთან ტრაბახი დაიწყო, რა წარმატებას მიაღწია ქალებში. მასწავლებელ ქალებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე საქმის ხანგრძლივი გარჩევა ელით.

## გოგონების გამრყვნელი მასწავლებელი



**ლოს ანჯელესის სკოლის მასწავლებელი, 45 წლის ჯორჯ ერნანდესი, სამჯერ დაადანაშაულეს მოსწავლე გოგონებთან სექსუალურ კავშირში.**

როდესაც მას ოფიციალურად წაუყენეს ბრალდება, მექსიკაში გაიქცა. სამართალდამცველებმა ერნანდესის ბინაში იპოვეს ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია, როგორ ძალადობს მასწავლებელი მეორეკლასელ გოგონაზე.

ჯორჯ ერნანდესი ამჟამად თავისუფალია და მას ჰანტინგტონ-პარკის დეპარტამენტის პოლიცია ეძებს.



## მასწავლებელს, რომელსაც სექსი ჰქონდა 5 მოზარდთან, 3 წლით აღუკვეთეს თავისუფლება

**კალიფორნიაში სკოლა Centennial-ის მასწავლებელი, 32 წლის სამერ მიშელ ჰანსენი, რომელიც გათხოვილია, 5 მოსწავლესთან სექსუალურ ურთიერთობაში დაანაშაულეს.** ჰანსენმა აღიარა დანაშაული და მას სამი წლით აღუკვეთეს თავისუფლება (ემუქრებოდა 13-წლიანი პატიმრობა).

„ჩემ მიერ აღსარებისათვის უზენაესისა ხელმწიფებისა ყოვლისა რუსეთის თვითმპყრობელთასა ქართლისა და კახეთის, მეფეთა ზედა აღვთსქვამ ჩვენისა მფლობითისა სიტყვათა, რომ კეთილად მივიღებ და უეჭველად აღვასრულებ ყოველსა, რაიცა კნიაზ იოანე ბაგრატიონისა და კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისაგან ძალითა აწინდელისა სრულისა ძალისა მქონებელობისათა აღითქმიან, განიწესებიან და მოიწერებიან. ესრეთვე მივცემისცა ამათ ზედა რატიფიკაცია ჩვენი განწესებულსა დროსა, რომლისაცა დასარწმუნებლად ამას სრულსა ძალთა ჩვენ საკუთარითა ხელითა ჩვენითა მოვაწერეთ და უბრძანეთ დამტკიცებად სამეფოთა ბეჭდითა ჩვენითა“

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გეორგიევსკის ტრაქტატი

## — რა ისტორიულ-პოლიტიკურმა მიზეზებმა უბიძგა საქართველოს, ეძებნა მოკავშირე რუსეთის სახით

### გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 230 წლისთავისთვის



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41-45 (323-327)

**1783 წლის 3 აპრილი. სამხედრო კოლეგიის ვიცეპრეზიდენტის, გენერალ-ანშეფის, უგანათლებულესი თავადის გ.ა. პოტიომკინის ორდერი კავკასიის კორპუსის სარდალს გენერალ-პორუჩიკ პ.ს. პოტიომკინს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის სრულუფლებიან წარმომადგენლებთან მოლაპარაკების წარმართვისა და ტრაქტატის დადების წესის შესახებ**

**„საიდუმლოდ**
**ბატონ გენერალ-პორუჩიკსა და კავალერ პოტიომკინს**

მისმა იმპერატორებითმა დიდებულებამ ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ეს მისი დიდებულებისადმი წარდგენილი თხოვნის თანახმად, რომელიც ეხებოდა მისი *(ერეკლე II-ის)* მისი *(ეკატერინე II-ის)* უმაღლეს მფარველობაში გადასვლას, უმოწყალესად მიბრძანა დავდო მასთან ტრაქტატი... გამომდინარე იქიდან, რომ მე ავარჩიე თქვენი აღმატებულება ამ საქმის აღმასრულებლად და *(ტრაქტატის დასადებად)* მოგამაგრეთ პოდპოლკოვნიკი, ბატონი ტამარა *(ვასილი სტეფაძეს ძე ტომარა, რუსი სამხედრო მოღვაწე და დიპლომატი)*, სახელმძღვანელოდ გაძლევთ შემდეგ დარიგებას.

1. თანდართულ წერილში მეფე ერეკლეს ვაცნობებ მისი იმპერატორებითი დიდებულების მოწყალებითს გადაწყვეტილებას, ერეკლე II-ის მიერ შეთავაზებული ხარკის მისსავე პირად სარგებლობაში დატოვების შესახებ, და რომ აღჭურვილი ვარ მასთან ტრაქტატის დადების უფლებით, რომლის ასლსაც მას ვუგზავნი. ვაცნობებ აგრეთვე, რომ თქვენს აღმატებულებას გადავეცი უფლება, დადოთ მასთან ტრაქტატი.

შევთავაზე გამოგზავნოს თავისი წარმომადგენლები იმ ადგილზე, რომელსაც თქვენ შეარჩევთ და გადასცემთ აღნიშნულ პაკეტს.

2. ადგილის დანიშვნისა და უფლებამოსილთა ჩამოსვლისთანავე თქვენს აღმატებულებას ვთხოვ შეუდგეს მათთან ერთად ტრაქტატისა და თანდართული სეპარატული არტიკულების დადებასა და ხელმოწერას. გამორიცხულია, რომ აქ რაიმე დაბრკოლებას წააწყდეთ, რადგან მეფის ყველა თხოვნა დაკმაყოფილებულია და მისთვის იმაზე მეტია გაკეთებული, ვიდრე მას სურდა. ტრაქტატზე ხელმოწერის დროს მეფისგან უფლებამოსილებმა ხელი უნდა მოაწერონ მეფისა და მისი მემკვიდრეების ფიცის ნიმუშს, რომლითაც ისინი აღიარებენ მათზე რუსეთის ხელისუფლების აღმატებულებას.

3. რაც შეეხება ტრაქტატის ფორმას, გაცნობებთ, რომ იგი ყოველთვის იწერება ალექსანდრის ქაღალდზე (ძვირად ღირებული ქაღალდი, რომელსაც იმ დროს სახელმწიფო დოკუმენტების შედგენისას იყენებდნენ; აქვე მითითებულია, დოკუმენტის შედგენის დეტალები და უფლებამოსილთა მიერ ხელმოწერილი ტრაქტატის ეგზემპლარების გაცვლის წესი).

4. მის დიდებულებას სურს, რათა ამ მნიშვნელოვანი და რუსეთის იმპერიისთვის სასარგებლო საქმის კვალზე ქართლისა და კახეთის მეფის მაგალითს მიბაძოს იმერეთის მეფე სოლომონმა, რომლის განწყობილება უკვე ეთანხმება მისი იმპერატორებითი დიდებულების ნებას. მაგრამ ოსმალეთის იმპერიისადმი მისი ერთგვარი მიდრეკილება გვაიძულებს, თავი შევიკავოთ ამ ქმედებისგან; სანამ არ შეიქმნება ხელსაყრელი გარემოება, არ უნდა უარვყოთ ყველაფერი ის, რაც კი ხელს შეუწყობს იმერეთის მფლობელისა და მისი ქვეშევრდომების რუსეთის ტახტისადმი ერთგულებას. მე ვაცნობებ მას უმაღლეს მფარველობაში ერეკლე მეფის მიღებას და იმედს გამოვთქვამ, რომ სარგებელი, რომელიც ამით მოიპოვება მეფე ერეკლემ, საკმარისად წააქეზებს სოლომონს ისურვოს მისი (*ერეკლეს*) თანაზიარი ხვედრი.

ტრაქტატის დადებისა და ამრიგად იმ ყველაფრის განხორციელების შემდეგ, რაც თქვენ გქონდათ დაკისრებული, დაუყოვნებლივ გამომიგზავნეთ ხელმოწერილი ტრაქტატი და თქვენი გამოწვლილვითი პატაკი, და ამ დეპეშის ჩემთან მოტანა ანდეთ ბატონ პოდპოლკოვნიკ ტამარას.

**თავადი პოტიომკინი,**
**აპრილის დღე მესამე,**
**1783 წლისა“**

**შენიშვა: მიღებულია მაისის 6-ს, 1783 წლისა.**

**1783 წლის 9 მაისი. კავკასიის კორპუსის სარდლის გენერალ-პორუჩიკ პ.ს. პოტიომკინის წერილი იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს, ქართ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის რუსეთის მფარველობაში მიღებისა და იმერეთსა და ქართლ-კახეთს შორის კავშირის შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ**

**„იმერეთის უგანათლებულეს ხელმწიფეს სოლომონ მეფეს...**

**თქვენს უგანათლებულესობას ვაახლებ მისი უგანათლებულესობის თავად გრიგორი ალექსანდრეს ძე პოტიომკინის წერილს. საიდანაც შეიტყობთ, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე, მისი თხოვნისა და სურვილის თანახმად ხდება რუსეთის იმპერატორებითი ტახტისადმი დამოკიდებული და მიღებულია მისი მფარველობის ქვეშ, და რომ მისი იმპერატორებითი დიდებულების კეთილგანწყობით მისი სახლი და სამეფო დაცული იქნება ყველა იმ ხალხისგან, რომლებიც კი გაბედავენ მათს დაჩაგვრას ან შეურაცხყოფას.** გულწრფელად გისურვებთ, რომ ამ გარემოებებმა გაგიკვალოთ გზა და თქვენმა უგანათლებულესობამ ისარგებლოს ასეთივე უპირატესობით და გფარავდეთ მტკიცე ფარი უძლეველი და გულუხვი ეკატერინესი.

მისი იმპერატორებითი დიდებულების უზენაესი ნებაა, რომ თქვენი უგანათლებულესობა და საქართველოს მეფე მარადჟამს იყოთ ერთმანეთს შორის უწყვეტ და კეთილ კავშირში. ვალდებულება მაკისრია გაცნობოთ იმპერატორის კარის ეს ნება და შევახსენო იგივე მის უგანათლებულებას მეფე ერეკლეს.

ამ წერილის მომრთმევი ბატონი პოლკოვნიკი ტამარა თქვენს უგანათლებულესობას განგიმარტავთ დანარჩენ საქმეებს, მე კი, ჩემის მხრივ, გიდასტურებთ ჩემს ჭეშმარიტ პატივისცემას, დავშთები მარად“.

**1783 წლის 4 ივნისზე უადრეს. ხერსონის პიკინერის პოლკის პოდპოლკოვნიკ ვ.ს. ტომარას (ტამარას) პატაკი კავკასიის კორპუსის სარდალს, გენერალ-პორუჩიკ პ.ს. პოტიომკინს ქართლ-კახეთის მეფის — ერეკლე II-ის კარზე განწყობილებებისა და ქართული დელეგაციის შესახებ რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად მზადების შესახებ**

„მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ თქვენი დავალების თანახმად გავემგზავრე მოზდოკიდან ამა წლის 11 მაისს, მაგრამ გზაზე შეჩერებისა და მდინარე თერგზე გადასვლის დაბრკოლებების გამო იძულებული გავხდი მცველთა რაზმის ნაწილი და ცხენები სრულად უკან გამებრუნებინა, ამიტომ თბილიში 18-ში, მოზდოკიდან გამომგზავრების მხოლოდ მერვე დღეს ჩავედი.

მეფე ერეკლეს დამოკიდებულების შესახებ შეთავაზებული ტრაქტატისა და იმპერატორის კარისადმი განწყობილების შესახებ იმაზე მეტს ვერაფერს მოგახსენებთ, რაც თქვენი აღმატებულებისთვის ცნობილი იყო. ჩვენი მხრიდან მისთვის შეთავაზებულ ყველა პირობას იგი უსაზღვრო თანხმობით იზიარებს, რის გამოც ყველა საქმე, მით უფრო, ისეთი, როგორიც ამჟამინდელია და მისთვის სასარგებლოა, უსწრაფესად უნდა განხორციელდეს. მაგრამ ამის სანაცვლოდ წავაწყდი უკიდურესად წარმოუდგენელ სიზანტეს. ამას ხელს უწყობს, უწინარეს ყოვლისა, სრული და საყოველთაო არცოდნა იმ წესისა, რომელიც სახელმწიფო ხელშეკრულებების დადების დროს სრულდება. ამდენად, უფლებამოსილების შედგენა და მომდევნო ფორმალობების თითოეული სიტყვა საჭიროებს საყოველთაოდ ცნობილი განმარტებების კვლავ და კვლავ გამეორებას. ამასთან, ამ მხარის ხელმწიფეთა მიერ ნასაზრდოები უნდობლობა ქვეშევრდომებისადმი და ნათესავების მიმართადაც კი, აიძულებთ უფლებამოსილთა არჩევისა და თუნდაც ერთი საჭირო ფორმის მოძებნისა და შეთანხმებისთვის, უწინარესად, გამოიცნონ სხვათა აზრი, რადგან ეშინიათ ისეთი გამონათქვამების, რომელთა გამოც არაერთხელ დაზარალებულან.

თქვენი დროის პატივისცემის გამო, დაწვრილებით არ გატყობინებთ იმ მიზეზებს, რომლებმაც დამაყოვნეს დღემდე. ხვალ მივემგზავრები იმერეთს სოლომონთან და მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ორ კვირაში საბოლოოდ იქნებიან დასახელებული უფლებამოსილები. ორ კვირაშივე მომზადებული იქნება ყველაფერი საიმისოდ, რაც მათი ჩემთან ერთად იმერეთიდან გამგზავრებისთვის იქნება საჭირო. თბილისში ჩასვლას დავეთანხმე იმიტომ, რომ იქაური გზების მცოდნე ყველა ადამიანი, მათ შორის, ბატონი დოქტორი რეინეგსიც, რომლებიც რამდენიმე დღეში თქვენს აღმატებულებასთან უნდა გამოემგზავრონ, ირწმუნებიან, რომ წლის ამ დროს პირდაპირი გზა იმერეთიდან მოზდოკში ჩაკეტილია, და რომ მეფე ერეკლეს, ოგორც ჩანს, სურს, რათა მისი სრულუფლებიანი წარმომადგენლებიც ჩემთან ერთად გამოემგზავრონ, რაც უზრუნველჰყოფს დანიშნულ დროეზე მათ ჩამოსვლას.

თქვენი აღმატებულების მითითებების აღსასრულებლად, მის უგანათლებულებას მეფეს ვთხოვე, რათა გზად სტეპანც-მინდიდან (სტეფანწმინდიდან), — ან კაზიბეკიდან (ყაზბეგიდან), საიდანაც მისი სამფლობელო იწყება და მის სხვა მიწებზე თბილისამდე, უზრუნველჰყოს საჭირო სურსათით მებრძოლთა გუნდი, რომელიც ტრაქტატის ვალდებულებათა თანახმად თბილისს მიემგზავრება. *(მან)* რამდენჯერმე დამარწმუნა, რომ სურსათი თქვენს მიერ მითითებული ოდენობით დამზადებული იქნება იმ მიწებზე, სადაც ჯარი განლაგდება, ასევე, გზის გაყოლებით მდებარე და ახლომახლო სოფლებში, საიდანაც ყოველდღიურად გუნდს მიაწოდებენ საკვებს ურმებითა და საზიდავებით, ხოლო იქ, სადაც შეუძლებელი იქნება, — საპალნე ცხენებით. აღნიშნული გუნდი *(გზას)* კაზი-ბეკიდან თვით დუშეთამდე, რაც ოთხმოცდახუთი ვერსია, ერთობლივად კი არ გაივლის, არამედ დაიყოფა ექვს ნაწილად, რაც, ვგონებ, იმ ადგილების მოთხოვნილებას უპასუხებს, რომელიც ჩემი მგზავრობის დროს უძნელესად მეჩვენა... სტეპანცმინდიდან კობამდე მანძილი ძალიან ძნელი გზის სულ ცოტა 25 ვერსია ორი გადასასვლელით მდინარე თერგზე, რამდენიმე ღრმა ნაკადულის ჩაუთვლელად და კაზიბეკიდან თვით კობამდე 5 ვერსის ზევით, ანუ 20 ვერსის მანძილზე, ვერ ვნახე ადგილი, ერთ ასეულს შეძლებოდა დაბანაკება.

მეფესთან საუბრებში ყოველნაირად ვცდილობდი თქვენი მითითებების თანახმად გამეგო მისი (ერეკლე II-ის) აზრი მისი ექვს ვაჟის მემკვიდრეობითობის შესახებ, ბერის (უფლისწულ თეიმურაზის, ბერობაში ანტონის) ჩაუთვლელად. დღეს არავითარი საშიშროება არ არის, რომ მან თავისი სამეფო ექვს ნაწილად დაჰყოს. პირიქით, მან ერთხელ მითხრა, რომ ეს მავნე ჩვეულება მათთან დიდი ხანია, რაც აღმოფხვრილია.

დანარჩენ ცნობებს, რომლებიც თქვენს მიერ მქონდა დავალებული, მოვამზადებ იმერეთიდან ჩემი ჩამოსვლის შემდეგ...

შენიშვნა: ორიგინალთან შედარებული და დამოწმებულია ტომსკის პოლკის კვარმაისტერის მიხაილ მარკოვის მიერ“.



**გაგრძელება იქნება**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუკი საერთო შიგა პროდუქტს მსყიდველუნარიანობასთან პარიტეტში დავთვლით, ამ მაჩვენებლით ჩინეთმა უკვე გაუსწრო აშშ-ს და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ჩინეთი, ამასთანავე, მსოფლიოში უდიდესი ექსპორტიორია. ჩინეთის საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებში სულ უფრო მეტი წილი მოდის იუანზე, ხოლო დოლარი, ევრო და სხვა სარეზერვო ვალუტები მეორე პლანზე გადადის.**

# რა დგას იუანის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილების უკან

**ჩინეთის ფულადი ერთეული იუანი ბოლო წლებში საერთაშორისო არენაზე წამყვან მსოფლიო ვალუტებს — ამერიკულ დოლარს, ევროს, ბრიტანულ სტერლინგსა და იაპონურ იენს უწევს კონკურენციას. ერთ-ერთი განსაზღვრების თანახმად, ოფიციალური სარეზერვოს სტატუსი აქვს ვალუტას, რომელიც შედის ეგრეთ წოდებული SDR-ის (სესხების სპეციალური საგადასახადო საშუალება) კალათებში. SDR გაჩნდა იმ პერიოდში, როდესაც რეტონ-ვუდსისეული სავალუტო ფინანსური სისტემა დაშლის პირას იყო და განიხილებოდა, როგორც საერთაშორისო ლიკვიდურობის დეფიციტის დაძლევის საშუალება.**



SDR-ის გამოშვების გადაწყვეტილება საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 1969 წელს მიიღო, ახალი ვალუტის პირველი პარტია კი 1970 წელს გაჩნდა. ეს იყო არანაღდი ვალუტა, რომელიც ჯონ კეინსის (ინგლისელი ეკონომისტი 1944 წელს ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე ზენაციონალური ვალუტის შემოღების წინადადებით გამოდიოდა) „ბანკორს“ მოგაგონებდათ, მაგრამ საბეჭდი დანადგარის პატრონების (ფედერალური სარეზერვო სისტემის) ზეწოლით, SDR-ის მომხრეებმა ვერ შეძლეს ახალი ფულადი ერთეულის მსოფლიო ვალუტად ქცევა.

დღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრ ქვეყნებს SDR-ში 280 მილიარდი დოლარის ეკვივალენტურის რეზერვი აქვთ. ეს ამ ქვეყნების საერთაშორისო რეზერვის ძალზე მცირე ნაწილია. SDR-ის კურსი განისაზღვრება რამდენიმე ვალუტის კალათების საფუძველზე, რომელსაც SDR-ის კალათებს უწოდებენ. **დღეს SDR-ის კალათებში შედის შემდეგი ოთხი ვალუტა: აშშ-ის დოლარი, ევრო, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი და იაპონიის იენი.** სწორედ ისინი წარმოადგენს, ვიწრო გაგებით, სარეზერვო ვალუტებს. ვალუტის მიერ ოფიციალურად სარეზერვოს სტატუსის მიღება ამაღლებს მის ავტორიტეტს, მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე ქმნის მასზე დამატებით მოთხოვნას.

ხუთი წლის წინათ SDR-ის კალათის შემადგენლობის განხილვისას საერთაშორისო სავალუტო ფონდში ჩინეთმა წამოსწია მასში იუანის ჩართვის საკითხი, მაგრამ პეკინის თხოვნა კატეგორიულად იქნა უარყოფილი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩინეთი დაჟინებით ემზადება ახალი მცდელობისთვის, რომ იუანი ოფიციალურ სარეზერვო ვალუტად აქციოს. მისი ქმედებები ორმხრივი იყო. ერთი მხრივ, ის განაგრძობდა მსოფლიოში სავაჭრო და ფინანსურ ექსპანსიას და ზრდიდა თავის ეკონომიკურ პოტენციალს და მსოფლიო ბაზრებზე იუანში წარმოებული ოპერაციების მოცულობას, მეორე მხრივ, მას გარკვეული კორექტივები შეჰქონდა ნაციონალურ სავალუტო-საფინანსო პოლიტიკაში. კორექტივების არსი იყო იუანის ქცევა უფრო კონვერტირებულ ვალუტად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნების შესაბამისად და სახელმწიფოს გავლენის მინიმალიზება იუანის სავალუტო კურსის ფორმირებაზე (ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით).

პირველი მიმართულებით ჩინეთის წარმატებები საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. **თუკი საერთო შიგა პროდუქტს მსყიდველუნარიანობასთან პარიტეტში დავთვლით, ამ მაჩვენებლით ჩინეთმა უკვე გაუსწრო აშშ-ს და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ჩინეთი, ამასთანავე, მსოფლიოში უდიდესი ექსპორტიორია. ჩინეთის საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებში სულ უფრო მეტი წილი მოდის იუანზე, ხოლო დოლარი, ევრო და სხვა სარეზერვო ვალუტები მეორე პლანზე გადადის.**

საერთაშორისო ვაჭრობაში ანგარიშების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება აკრედიტივია. 2012 წლის იანვარში მსოფლიოში აკრედიტივების 1,89% იუანში იყო, ხოლო სამ წელიწადში ეს მაჩვენებელი 9,43%-მდე გაიზარდა. სხვათა შორის, ეს მეტია, ვიდრე ევროში არსებული აკრედიტივები. იუანის წილი იზრდება ყველა საერთაშორისო ანგარიშში (საერთაშორისო ვაჭრობაში, სხვა მიმდინარე ოპერაციებში, კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციებში).

ამ ინფორმაციის გადაცემის ბანკთაშორისი სისტემა SWIFT-ის მონაცემები: **2012 წელს იუანი საერთაშორისო ანგარიშების მოცულობაში მხოლოდ მე-12 ადგილზე იყო. 2015 წლის აგვისტოში იუანის წილი საერთაშორისო გადახდებში (ტრანზაქციების ღირებულების მიხედვით) შეადგენდა 2,79%-ს, ივლისის 2,34%-ის შემდეგ. იუანმა ამ მაჩვენებლით პირველად გაუსწრო იაპონურ იენს.** ჩინური ვალუტა მეოთხე, ყველაზე გამოყენებული ვალუტაა მსოფლიოში ამერიკული დოლარის, ევროსა და გირვანქა სტერლინგის შემდეგ. გარდა ამისა, მთელ რიგ ქვეყნებში იუანი სარეზერვო ვალუტად იქცა, ანუ ცენტრალური ბანკები ჩინურ ვალუტას თავიანთ საერთაშორისო რეზერვებში რთავენ. იუანებში განთავსებული საერთაშორისო რეზერვების ზუსტი მოცულობა ცნობილი არაა.

**ვაშინგტონი, ნებისით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობდა ბრიქსის ქვეყნების კონსოლიდაციას. 2015 წელს დასრულდა ბრიქსის ბანკის შექმნა. შესაძლოა, ეს ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ალტერნატივად იქცეს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კიდევ ერთი ალტერნატივა შეიძლება აღმოჩნდეს პეკინის გადამწყვეტი როლის პირობებში შექმნილი ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიური ბანკი**



მეორე მიმართულებითაც შეინიშნება ძვრები, მაგრამ ვაშინგტონი სწორედ ამ მხრივ ცდილობს პეკინისთვის ყველაზე მეტად ხელის შეშლას. აშშ-ის ხაზინა და სხვა სახელისუფლო ინსტანციები პეკინს იუანის კურსის ხელოვნურად დაწევაში სდებდნენ ბრალს. ფაქტობრივად, ის სავალუტო ომის წარმოებაში იყო ექვმიტანილი. **ვაშინგტონის მხრიდან პეკინის მისამართით გაისმა ბრალდებები, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში იუანის მცირე დევალვაცია იყო არა საბაზრო პროცესების, არამედ ჩინეთის სახალხო ბანკის მიზანმიმართული ქმედებების შედეგი.**

ჩინეთის ეკონომიკაში უცხოური კაპიტალისთვის მრავალრიცხოვან შეზღუდვებსაც ვაშინგტონი იუანის თავისუფალი კონვერტირებისთვის სერიოზულ შეზღუდვად მიიჩნევს. მიმდინარე წლის ზაფხულის დასრულებამდე აშშ-ის სხვადასხვა მაღალჩინოსანმა არაერთხელ განაცხადა, რომ მხარს არ უჭერეს SDR-ის კალათში იუანის ჩართვის იდეას.

მაგრამ შემოდგომაზე ვაშინგტონის გამოსვლების ტონი შეიცვალა. ეს მოხდა სექტემბერში **სი ძინ პინის** აშშ-ში ვიზიტის შემდეგ. თეთრ სახლში მიხვდნენ, რომ ჩინეთთან მდგომარეობის დაძაბვა არ შეიძლება. პეკინი უკიდურესად გაღიზიანებული იყო იმის გამო, რომ ვაშინგტონმა კურსი აიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმების წინააღმდეგ, 2010 წელს ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ (24 აღმასრულებელი დირექტორი) მიიღო გადაწყვეტილება წევრი ქვეყნების კვოტების გადახედვის თაობაზე (კაპიტალისა და ხმათა კვოტები), ქვეყნების ეკონომიკური და ფინანსური პოზიციების ცვლილებების გათვალისწინებით. **თუკი აშშ-ისა და ჩინეთის ეკონომიკური პოტენციალები, რომლებიც საერთო შიგა პროდუქტის მოცულობითა და საერთაშორისო ვაჭრობით იზომება, დღეისათვის თითქმის თანაბარია, მათი წილი ფონდის ხმებში შეუსაბამოა. აშშ-ის შემთხვევაში ეს წილი 17%-ს აღემატება, ჩინეთისთვის კი მხოლოდ 3,8%-ია. თუ გავითვალისწინებთ აშშ-ის კავშირს დიდ შვიდეულთან, ის, საერთო ჯამში, ხმათა 43%-ს ფლობს.** ვაშინგტონს ამგვარი განლაგება ხელს აძლევს, ამიტომაა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბლოკავდა კონგრესის მხრიდან ფონდის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების რატიფიცირებას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში აშშ-ის პოლიტიკა ბოლო წლებში ისეთი იყო, რომ ის ჩინეთს ამერიკის პარტნიორიდან ამერიკის მტრად გადააქცევდა. **ვაშინგტონი, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობდა ბრიქსის ქვეყნების კონსოლიდაციას. 2015 წელს დასრულდა ბრიჩსის ბანკის შექმნა. შესაძლოა, ეს ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ალტერნატივად იქცეს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კიდევ ერთი ალტერნატივა შეიძლება აღმოჩნდეს პეკინის გადამწყვეტი როლის პირობებში შექმნილი ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიური ბანკი.**

SDR-ის კალათში იუანის ჩართვაზე ვაშინგტონის მხრიდან წინააღმდეგობის შეწყვეტა იძულებითი ტაქტიკური დათმობაა. ნოემბრის შუა პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი და ფონდის ექსპერტები იუანის სარეზერვო ვალუტების რიგში ჩართვის რეკომენდაციებს იძლეოდნენ. **2015 წლის 30 ნოემბერს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა პეკინის მხრიდან დიდი ხნის ლოდინის შემდეგ იუანის SDR-ის კალათში ჩართვის გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლა ათი თვით გადაიდო — 2016 წლის 1 ოქტომბრამდე. სავარაუდოდ, ეს ვაშინგტონის ინიციატივით მოხდა, რადგან მას სურს, პეკინი მოკლე სადავეზე ჰყავდეს გარკვეული დროით.**

გაჩნდა პირველი შეფასებები იმისა, რა ზეგავლენას მოახდენს ჩინეთის ეკონომიკაზე იუანისთვის ოფიციალური სარეზერვო ვალუტის სტატუსის მინიჭება. ექსპერტები ელიან, რომ იუანის აქტივებში კაპიტალის დამატებითი მოდინება 2020 წლამდე 600 მილიარდ დოლარს შეადგენს. მათ შორის 400 მილიარდი იქნება უმსხვილესი საინვესტიციო ფონდებიდან, სუვერენული ფონდების ჩათვლით, კიდევ 200 მილიარდი კი — კერძო კომპანიებისა და ცალკეული ინვესტორებისგან.

არსებობს ნეგატიური შეფასებებიც. მათი არსი არის ის, რომ იუანის კურსი მატებას დაიწყებს, ეს კი შეასუსტებს ისედაც არამდგრად ჩინურ ექსპორტს. ზოგიერთი ექსპერტი იმასაც ვარაუდობს, რომ რეალური ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე ჩინეთში ჯვარის დასმა შეიძლება; ჩინეთი ნელ-ნე-

ამჯერად TIME-ის წარმომადგენლებმა გამოამჟღავნეს საკუთარი, ფროიდის მიხედვით „დათრგუნული“ სურვილები ევრაზიის ქაოსიზაციაზე და მსოფლიოში ცნობილ ყველა ადამიანს შორის სარეიტინგო სიის სათავეში ჩასაყენებლად აარჩიეს სწორედ ის ორი, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან მათ მიერ გატარებულ მსოფლიო პოლიტიკას.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლა დაიწყებს გადაქცევას ფინანსურ ეკონომიკად, ეს მოდელი კი მოითხოვს საკუთარი ვალუტის სამხედრო უზრუნველყოფას, როგორც ბრიტანეთი აკეთებდა XIX საუკუნესა და XX-ის დასაწყისში — ძალისმიერი მეთოდებით უჭერდა მხარს გირვანქა სტერლინგს, ხოლო აშშ XX საუკუნიდან Dდღემდე სწორედ ასე უჭერს მხარს თავის დოლარს.

როგორც უნდა იყოს, პეკინი თავს გამარჯვებულად მიიჩნევს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ კი ზოგიერთი სახელმწიფო უკმაყოფილო დარჩა. SDR-ის კალათში სხვა სარეზერვო ვალუტებს ხომ შემჭიდროვება მოუწევთ. **იუანის წილი განსაზღვრულია 10,92%-ით, ხოლო ამერიკული დოლარის წილი მხოლოდ სიმბოლურად შემცირდება 41,90-დან 41,73%-მდე. პირველ რიგში, დაზარალდება ევრო, რომლის წილიც 37,40-დან 30,93%-მდე დაიკლებს; ასევე შემცირდება ბრიტანული გირვანქა სტერლინგისა (11,30-დან 8,09%-მდე) და იაპონური იენის (9,40-დან 8,33%-მდე) წილები, ანუ ორი ევროპული ვალუტის წილი (ევროსი და გირვანქა სტერლინგის) SDR-ის კალათში თითქმის 10 საპროცენტო პუნქტით შემცირდება.** ნიშანდობლივია ისიც, რომ რჩეულთა კლუბში მოხვედრის შემდეგ იუანმა უმალ დაიკავა მასში მესამე ადგილი და უკან ჩამოიტოვა იაპონური იენი და ბრიტანული გირვანქა სტერლინგი.

მოსალოდნელია, რომ პეკინი, რომელმაც მიაღწია იუანის განსაკუთრებულ სტატუსს, უახლოეს მომავალში შეეცდება მომდევნო სიმაღლის დაპყრობას — საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების მიღწევას. უპირველესად, ეცდება, კვოტების კორექტირების თაობაზე აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის გადაწყვეტილება ძალაში შეიყვანოს... შეიყვანონ — ვიდეს, შემდეგ კი კვოტების გათვლის ახალი ფორმულა დამკვიდრდეს, რომელსაც, 2015 წლის მდგომარეობის შესაბამისად, კვოტების ახალი კორექტირება მოჰყვება.

პეკინის შემდგომი ბრძოლა საერთაშორისო სავალუტო ფონდში ადგილის დასამკვიდრებლად დიდ რისკებთანაა დაკავშირებული. ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მომავალზე დაახლოებით ასე საუბრობს: ვაშინგტონს ფონდი სჭირდება მანამ, სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკუთვნის საკონტროლო პაკეტი ამ „სააქციო საზოგადოებაში“ და შეუძლია, ფონდი საკუთარი საერთაშორისო პოლიტიკის ინსტრუმენტად გამოიყენოს. თუკი ჩინეთი და სხვა სახელმწიფოები ამერიკის შეერთებულ შტატებს საერთაშორისო სავალუტო ფონდში საკონტროლო პაკეტს დააკარგვინებენ, ვაშინგტონისა და მისი მოკავშირეების შემდგომი წევრობა ამ ორგანიზაციაში აზრს დაკარგავს. საინტერესოა, ითვალისწინებს თუ არა ჩინეთი ამ გარემოებებს ფონდში ახალი სიმაღლეების დაპყრობისთვის მზადებისას?

**fondsk.ru**

# როგორიც ქვეყანა — ისეთი გმირები

## ჟურნალმა TIME-მა სარეიტინგო სია «ლიდერები —2015» გამოაქვეყნა

**ამერიკულმა ჟურნალმა Time-მა არც კი იცოდა, რომ ამერიკული სული გამოამზეურა. დიახ, მათ სული აქვთ და კვლავაც გამოვლინდა ამჟამინდელ კრიტიკულ მომენტში.**




უკვე ყველამ დაწერა, რომ, ჟურნალ Time-ის ვერსიით, ნომინაციაში „წლის ადამიანი — 2015“ პირველი ადგილი დაიკავა გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა**, მაგრამ ყველამ ვერ გაბედა, მიენიშნებინა, რომ იმავე ნომინაციაში მეორე ადგილი მიენიჭა 2015 წლის მთავარ ტერორისტს, ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერ **აბუ ბაქრ ალ-ბაღდადს.**

**ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ შეიძლებოდა ვარაუდი, რომ TIME-ი, როგორც აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული გამოცემა, თავის გარეკანზე აღარ გამოფენდა ჰიტლერის მსგავს ადამიანებს, მაგრამ ამერიკულმა სულმა ვერ გაუძლო ცდუნებას და ამჯერად პრიორიტეტი მიანიჭა მორიგ სისხლისმსმელ დამნაშავეს, რომლის თანამებრძოლებიც ტელეკამერების წინ აჭრიდნენ თავებს ამერიკელებს. გამოდის, ეს საუკეთესო საშუალებაა იანკების ტოპსიაში მოსახვედრად.**

არ ღირს გაოცება — როგორც კი იანკები კრიტიკულ მომენტში, და ახლა სწორედ ასეთი მომენტია, ხედავენ მოღვაწეს, რომელიც „აქ და ახლა“ შეესაბამება მათ ფარულ გლობალურ ინტერესებს, ეს პერსონაჟები უმალ ხვდებიან ათასგვარი ამერიკული რეიტინგის ტოპსიებში.

***დღეს ანგელა მერკელი, TIME-ის ვერსიით, პირველია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ კარი გაუღო აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ასიათასობით დევნილს, რომლებიც ევროკავშირის, პირველ რიგში, როგორც ეკონომიკური კონკურენტის, მაქსიმალური და კომპლექსური დასუსტების გეგმის შესაბამისად მიაწყდნენ ევროპას.**

*აქ არის ევროკავშირის სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, ევროპის მხრიდან ათობით მილიარდი ევროს დანაკარგებით. აშშ-ს კი რუსეთთან საქონელბრუნვა ეზრდება!

*აქ არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო დღეების გადაწყვეტილებაც, რომელიც აშშ-მა ძალით გაიტანა და რომელიც ითვალისწინებს, არ ამოიღონ ვალები უკრაინისგან, საბერძნეთისგან, ესპანეთისგან და სიის შემდეგი წევრებისგან, რაც განაპირობებს ევროპის ფინანსური სისტემის კოლაფსს ლოზუნგით „მივუტევებ ყველას, ვისიც მმართებს“.

*აქ არის ევრობიუროკრატებისთვის ხელების გადაგრეხვაც, ევროპის ჩათრევის მიზნით, ტრანსატლანტიკურ პარტნიორობაში აშშ-თან ერთად, რაც გაანადგურებს ევროპის ეკონომიკას, მაგრამ გადაარჩენს ამერიკისას.

***აქ ბევრი რამ ვითარდება ერთადერთი მიზნით, რომლისკენაც იანკები მიილტვიან — დასცენ ევროკავშირი ბეჭებზე, გამოწურონ მისგან მთელი ფინანსურ-ეკონომიკური წვენი და ამ „ახალი სისხლის“ წყალობით გაუძლონ კრიზისის დარტყმებს: „დღეს შენ მოკვდი, ხვალ მე მოვკვდები“.**

„ისლამური სახელმწიფოს“ შეფი ალ-ბაღდადი ძველი ამერიკელი აგენტია. ის ფაქტი, რომ მთავარი ტერორისტი ტოპსიაში გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის შემდეგაა, ასახავს იანკების ფარულ სურვილს, სწორედ მერკელისა და ალ-ბაღდადის ხელით მიიყვანონ ბოლომდე ევრაზიის ქაოსიზაციის თამაში.

როგორც ფროიდი ამბობდა, ფსიქოპათიური კომპლექსების სამუდამოდ დამალვა შეუძლებელია, ადრე თუ გვიან პაციენტი ავლენს მათ და ყველასთვის ხილულად წარმოაჩენს. როგორც ჩანს, ამჯერად Time-ის წარმომადგენლებმა გამოამჟღავნეს საკუთარი, ფროიდის მიხედვით „დათრგუნული“ სურვილები ევრაზიის ქაოსიზაციაზე და მსოფლიოში ცნობილ ყველა ადამიანს შორის სარეიტინგო სიის სათავეში ჩასაყენებლად აარჩიეს სწორედ ის ორი, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან მათ მიერ გატარებულ მსოფლიო პოლიტიკას.

**serfilatov.livejournal.com**

# ფრანგულმა გაზეთებმა ლე პენის წარმატების მიზეზები დაასახელეს

**ფრანგი კომუნისტების გაზეთი „ნაცფრონტს“ ნაცისტებს ადარებს. ჟურნალისტები მკითხველს შეახსენებენ, რომ „საფრთხე, რომელსაც უკიდურესი მემარჯვენეები წარმოადგენენ, იზრდება. ჯერ რეგიონული არჩევნები, შემდეგ — ეროვნული“. L'Humanite-ს თვალსაზრისით, სტრატეგიები, რომლებიც სოციალისტებმა წამოაყენეს, მეორე ტურისთვის არ კმარა, მით უფრო, რომ მემარჯვენეებისგან მხარდაჭერას არავინ ელის.**



თუკი კომუნისტები უკიდურესად შეშფოთებულნი არიან, მემარჯვენე გაზეთი Le Figaro ხელიდან არ უშვებს შანსს, უჩქმიტოს **ფრანსუა ოლანდს** და რეგიონულ არჩევნებზე ამბობს: „თუკი ფრანგებს ვთხოვთ, რომ მეხუთე რესპუბლიკის პრეზიდენტები ყველაზე დამღუპველების მიხედვით რიგში განალაგონ, სავარაუდოდ, გაიმარჯვებს ის, ვინც ქვეყანას 2012 წლიდან მართავს“.

სარედაქციო შენიშვნაში **პოლ-ანრი დიუ ლამბერი** წერს, რომ მოქმედი ხელისუფლების მიმართ პრეტენზიების საკითხში ქვეყანაში პრაქტიკულად მიღწეულია „კონსენსუსი“: „უმუშევრობა, საშინელი გადასახადები, განხეთქილება საზოგადოებაში, სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც ხელს აწერენ საკუთარ უუნარობას“. Le Figaro თვლის, რომ ფრანსუა ოლანდი სწორედ ნაცფრონტის წინააღმდეგ ბრძოლაზე ააგებს 2017 წლის საპრეზიდენტო კამპანიას.

Le Monde აღნიშნავს, რომ არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემდეგ ქვეყნის პრემიერმა **მანუელ ვალისმა** არ ისურვა თავის გამოსვლაში საუბარი ხელისუფლების უცოდინარობაზე, შეამციროს უმუშევრობის დონე. „ეს გზავნილი, პირველ რიგში, განკუთვნილია ხელისუფლებისთვის“, — განაცხადა რესპუბლიკელების ლიდერმა სარკოზიმ.

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ლირან ბუვე** ამავე გაზეთის გვერდებზე წერს, რომ No Pasaran-ის ყვირილი საკმარისი აღარ არის, მემარცხენეებმა უნდა შეიცვალონ სტრატეგია, ამასთანავე, იმუშაონ ნაცფრონტის ზრდის მიზეზების გააზრებაზე.

Liberation-ი პირველი გვერდიდან იტყობინება, რომ ყველა სტრატეგია: „დაშინება, განკითხვა, რომელიც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა ნაცფრონტის მიმართ, უეფექტო აღმოჩნდა“. ამასთანავე, გაზეთის კორესპონდენტი **დომინიკ ალბერტინი** აღნიშნავს, რომ ნაცფრონტის წარმატება დიდწილად „კონტექსტის საქმეა“: „გადასახადებისგან გადაღლა, გეოპოლიტიკური რყევები ევროპის ზღურბლზე, ისლამისტების თავდასხმა... შემთხვევითი არაფერია, განსაკუთრებით იმ მომენტში, როდესაც სოცპარტია ცდილობს, გაატაროს 2012 წელს დაპირებული ცვლილებები. ამ დროს ნიკოლა სარკოზის, სახელმწიფოს ექსმეთაურს, რომელიც „რესპუბლიკელების“ პარტიის პრეზიდენტი გახდა, ახალი არაფერი დარჩა. იგი მიჰყვება სწორ ხაზს, რომელმაც 2012 წელს დამარცხებისგან ვერ იხსნა“.

კათოლიკური La Croix წერს, რომ ნაცფრონტის წარმოუდგენელი წარმატების მიზეზების ძებნა არ ღირს. კენჭისყრამდე მოხდა სამი რამ: ევროპაში დევნილების ნაკადის ზრდა, 13 ნოემბრის ტერაქტები და უმუშევრობის მატება. „ხელისუფლება (როგორც საფრანგეთის, ასევე ევროპის) უძლური აღმოჩნდა ამ სამი მოვლენის წინააღმდეგ. 6 დეკემბერს ამომრჩევლებმა ვერდიქტი გაახმოვანეს: სასჯელი ხმის მისაცემად მიუსვლელობა ან ნაცფრონტის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებაა“.

**RFI**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მალისა და საჰელის რეგიონის პრობლემას ვერ გადაწყვეტენ ისინი, ვინც თვითონ ქმნიან ამ პრობლემას. აფრიკაში ეს ესმით, ამიტომაც ცდილობენ, შექმნან საერთო აფრიკული ჯარები და რუსეთისგან შეიძინონ იარაღი. ხელმძღვანელები ისეთი ქვეყნებისა, როგორიცაა ნიგერია, კამერუნი, მალი, აცნობიერებენ, რომ ეგრეთ წოდებული საერთაშორისო ძალები სულ სხვა დღის წესრიგს სთავაზობენ, ტერორთან ბრძოლა კი საბოლოოდ თვითონ მოუწევთ...**

# მალი, შეიარაღებული ძალადობა საჰელში და მსოფლიო ტერორი, როგორც ინსტრუმენტი



**ნოემბრის მეორე ნახევარში მალის რესპუბლიკაში სიტუაცია მკვეთრად დაიძაბა. 20 ნოემბერს ქვეყნის დადაქალაქ ბამაკოში, სასტუმრო „რადისონ ბლუში“ მოხდა ტერორისტული აქტი, რომლის შედეგადაც 140-ზე მეტი ადამიანი მძევლად აიყვანეს, ამ მძევლების გათავისუფლების ოპერაციას კი 27 ადამიანი ემსხვერპლა. ქვეყანაში განვითარებული მოვლენები გადაფარა პარიზში მომხდარი ტერაქტების გამო შექმნილმა სიტუაციამ.**



ტერორისტულ შეტევას ბამაკოში არ ახლდა რაიმე მოთხოვნები და მისი მიზნების შესახებ საკითხი ღიად რჩება. თუმცა, მრავალი ანალოგიური სიტუაციისაგან განსხვავებით, თავდასხმა მოხდა სასტუმროზე, მაგრამ არა ტურისტებზე. მსხვერპლთა შორის პრაქტიკულად ყველა იმ ქვეყნების ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ახლა მონაწილეობენ მალიში მშვიდობიანი ცხოვრების ორგანიზებაში: **რუსი მფრინავები, რკინიგზის მშენებლობის ჩინელი სპეციალისტები, ამერიკელი ექიმები, ავიაკომპანიების — TURKISH AIRLINES-ისა და AIR FRANCE-ის წარმომადგენლები, ინდოელი ბიზნესმენები...**

თავდასხმაზე პასუხისმგებლობა რამდენიმე ორგანიზაციამ დაიკისრა. მათ შორისაა „ალ ქაიდა“ ისლამური მაღრიბის ქვეყნებში და ამავე ორგანიზაციის ნაწილი, დაჯგუფება Al Mourabitoun-ი, რომელსაც სათავეში **მუხტარ ბელმუხტარი** ედგა. ეს ადამიანი მისი მშობლიური ალჟირის ხელისუფლებამ თავის დროზე ქვეყნიდან გააძევა. მალის ტერიტორიაზე კი ამ ტერორისტებს არსებობა შეეძლებათ მხოლოდ ქაოსისა და უმართაობის პირობებში. თუკი ერთმანეთთან მეომარი მალელები შეთანხმებას მიაღწევენ, ბელმუხტარის რაზმებსა და სხვა ჩასულ ტერორისტებს, სავარაუდოდ, იქიდან აბარგება მოუწევთ.

**28 ნოემბერს მალიში ახალი შეიარაღებული თავდასხმა მოხდა, ამჯერად გაეროს მისიაზე — კიდალში. ნაღმსატყორცნით სროლების შედეგად დაიღუპა 3 მშვიდობისმყოფელი, 20-მდე კი — დაიჭრა. მალიში ორი წლის განმავლობაში უკვე დაიღუპა გაეროს 59 თანამშრომელი.**

**მალიში ტერორისტების მიერ მძევლების აყვანის შემდეგ რეგიონში კიდევ ექვსი დიდი ტერაქტი მოხდა — აფეთქებები კამერუნში, ნიგერიაში, ტუნისში, ნიგერში, ლიბიასა და ევგიპტეში... ეს აღარ არის სტიქიური ბანდიტიზმი, ეს უკვე პოლიტიკაა**

გაეროს უშიშროების საბჭოს რეაქცია მთლად ადეკვატურად არ გამოიყურება. მსგავს სიტუაციებზე საერთო რუტინულ რეაქციაში (თანაგრძნობის გამოხატვა, ტერორთან შემდგომი ბრძოლის მტკიცე გადაწყვეტილების გამოცხადება) უცნაურად გაისმა მიმართვა მალის ხელისუფლებისადმი — „დაუყოვნებლივ გამოიძიოს მომხდარი ინცინდენტი და დასაჯოს დამნაშავენი“. მომხდარისა და გამოცხადებულის აშკარა შეუსაბამობა კითხვებს აჩენს. მაგალითად, **რას ნიშნავს ეს მოთხოვნა იმ ხელისუფლების მისამართით, რომელსაც არ შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება და ამ მიზნით გაეროს სთხოვა, ჯარებით დახმარებოდა?** ახლა ხელისუფლებამ უნდა დაიცვას გაეროს ჯარები? როგორ შეიძლება, შეფასდეს ეს მოთხოვნა სამხედრო აეროდრომზე განთავსებული გაეროს მისიის უუნარობის ფონზე, არა მხოლოდ ქვეყნის მოსახლეობის, არამედ საკუთარი თავის დაცვის მხრივაც? მაგრამ უშიშროების საბჭოს ამ, ერთი შეხედვით ალოგიკურ, რეაქციას თავისი ახსნა აქვს.

გაეროს მისიებს საკმაოდ ხშირად აქვთ მიზნად არა კონფლიქტების შეწყვეტა, არამედ მათი ხელშეწყობა. მაგალითად, არ არსებობს რწმენა იმისა, რომ გაეროს მისია მზადაა მალიში კონკრე- ▶

# «ისლამური სახელმწიფო» ფრანგულ და გერმანულ იარაღს იყენებს

**თუკი Amnesty International-ის ანგარიშს დავუჯერებთ, „ისლამური სახელმწიფოს“ ხელთ არსებული იარაღი და საბრძოლო მასალები ძირითადად წარმოებულია იმ ქვეყნებში, რომლებიც ამ ტერორისტული მოძრაობის წინაალმდეგ იბრძვიან.**



„ისლამურ სახელმწიფოს“ ხშირად უწოდებენ ყველაზე ორგანიზებულ ტერორისტულ მოძრაობას. როგორც Amnesty International-ის ანგარიშიდან ჩანს, „ისლამურ სახელმწიფოს“ აქვს დიდი რაოდენობით იარაღი, რომელიც გამოშვებულია უცხოეთის 25 სახელმწიფოში, მათ შორის აშშ-ში, ჩინეთსა და ევროპის ქვეყნებში.

ტერორისტები შთამბეჭდავ არსენალს ფლობენ: ცეცხლსასროლი იარაღი, M16, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები, გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსები, ნაღმტყორცნები, პისტოლეტები და ა. შ. მთელი ეს იარაღი განკუთვნილია „ისლამური სახელმწიფოს“ ჯარისკაცებისთვის. Amnesty International-ში აღნიშნავენ, რომ **მხოლოდ 2014 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ ხელში ჩაიგდო იმდენი იარაღი, რამდენიც ეყოფოდა სამ ამერიკულ დივიზიას, ანუ 40 000-დან 50 000-მდე ადამიანს. ამ შეიარაღებაში აღმოჩნდა როგორც ფრანგული, ასევე გერმანული წარმოების იარაღი.** „ეს ექვგარეშეა, — ამბობს ორგანიზაციის წარმომადგენელი ემერიკ ელიუენი, — შეიძლება იმის გაგება, თუ სად იქნა დამზადებული „ისლამური სახელმწიფოს“ იარაღი, მაგრამ იმის დათვლა, თუ რამდენი იარაღი მიიღო მან ამა თუ იმ ქვეყნიდან, გაცილებით რთულია“.

ის ფაქტი, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ რამდენიმე წელიწადში დააგროვა იარაღისა და საბრძოლო მასალების ესოდენ შთამბეჭდავი რაოდენობა, აიხსნება არმიის საწყობების მიტაცებით იმ ქვეყნებში, რომლებშიც მოძრაობა დამკვიდრდა. „ერაყი „ისლამური სახელმწიფოსთვის“ ალი ბაბას გამოქვაბულად იქცა. მათ მხოლოდ ხელის გაწვდენა სჭირდებოდათ. იარაღის მიტაცება მათი მომარაგების მთავარი წყაროა“.

სხვაგვარად რომ ვთქ- ▶

**მხოლოდ 2014 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ ხელში ჩაიგდო იმდენი იარაღი, რამდენიც ეყოფოდა სამ ამერიკულ დივიზიას, ანუ 40 000-დან 50 000-მდე ადამიანს. ამ შეიარაღებაში აღმოჩნდა როგორც ფრანგული, ასევე გერმანული წარმოების იარაღი**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2008 წელს, იუგოსლავიაში ომის დაწყებიდან 10 წლის შემდეგ, კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ მისი დამოუკიდებლობა 111-მა ქვეყანამ აღიარა, ის არათუ გაეროს წევრი არ არის, იუნესკოშიც კი ვერ შევიდა...**

◀ტული ზომების მისაღებად საჰელის ტერორის წინააღმდეგ. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ 2012 წლის სახელმწიფო გადატრიალება მალიში მოხდა თვით აფრიკელების ხელმძღვანელობით საერთო აფრიკული შეიარაღებული ძალების შექმნის მცდელობასთან ძალზე საეჭვო კავშირში (მთავარსარდლის თანამდებობაზე განიხილებოდა გადატრიალებისას ჩამოგდებული გენერალი ადამუ ტუმანი ტური). აფრიკული სახელმწიფოების მცდელობა, უშიშროების საკითხები თავადვე ემართათ, მკაცრად და გარკვეულწილად დემონსტრაციულად იქნა აღკვეთილი. შემთხვევითი არაა, რომ მალიში გაგზავნილ მისიას სათავეში ედგა ევროპელი — დანიელი **მიქაელ ლოლესგორი.** იმის შესახებ, რომ აფრიკის ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა თავად აფრიკელებს უნდა გადაეცეთ, გაეროს უშიშროების საბჭოში, სალეჰში არსებული მდგომარეობისათვის მიძღვნილ ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე კვლავაც საუბრობდა საბჭოში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი.

მალიში შექმნილი სიტუაცია უნდა შეფასდეს ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკის რაიონში შექმნილი საერთო სიტუაციის ფონზე, ეს რაიონი კი საერთაშორისო ტერორიზმის ბაზირების კიდევ ერთ ადგილად იქცა. ქვეყნები, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე არიან განლაგებულნი, მოკლებულნი არიან განვითარების რაიმე პერსპექტივას, რადგან იძულებულნი არიან, უზარმაზარი სახსრები ხარჯონ უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფაზე, თანაც ჯერჯერობით — უშედეგოდ. **მალიში ტერორისტების მიერ მძევლების აყვანის შემდეგ რეგიონში კიდევ ექვსი დიდი ტერაქტი მოხდა — აფეთქებები კამერუნში, ნიგერიაში, ტუნისში, ნიგერში, ლიბიასა და ეგვიპტეში... ეს აღარ არის სტიქიური ბანდიტიზმი, ეს უკვე პოლიტიკაა.**

28 ნოემბერს საჰელის საკითხებზე გამართულ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელმა ამ რეგიონში — ჰირუტ გუებრე სელასიემ დაასახელა რიცხვი — 41 მილიონი პოტენციური დევნილი სალეჰიდან ევროპაში... ევროპელებს სირიელი დევნილები არ ჰყოფნით?

სალეჰში გაჩაღებული ტერორის ერთ-ერთი მიზეზი არის „აბრეშუმის გზის“ შექმნა ლათინოამერიკული ნარკოტიკების ევროპაში გასატანად. უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომაზე ნარკოტრაფიკის, როგორც სალეჰში არეულობის ზონის შექმნის, ერთ-ერთი მთავარი მიზეზის თემამ კვლავ წამოიწია. ნათელია, რომ „გამოაშკარავებები“ თვალთმაქცობაა, რადგან ამ თემაზე ყველა საუბარი მთავრდება წყაროს ან ტრანზიტის განხილვით და არასდროს მიდის სერიოზულ საუბრამდე იმის შესახებ, თუ ვინაა მყიდველი. **ვის სჭირდება მთელი ეს ლაყბობა „ტრაფიკზე“, თუკი ნარკოტიკების საბითუმო პარტიების მყიდველების შესახებ საკითხს ტაბუ ადევს? სხვათა შორის, მყიდველების გასაიდუმლოების მიზეზითვე წყდება ევროკავშირის მისიის გამოძიება კოსოვოში ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობის შესახებ. ყველასათვის გასაგებია, რომ სერიოზული გამოძიებისა და სასამართლოს შემთხვევაში საჭირო გახდება ევროპელი შემკვეთებისა და მყიდველების დასახელება.**

მალისა და საჰელის რეგიონის პრობლემას ვერ გადაწყვეტენ ისინი, ვინც თვითონ ქმნის ამ პრობლემას. აფრიკაში ეს ესმით, ამიტომაც ცდილობენ, შექმნან საერთო აფრიკული ჯარები და რუსეთისგან შეიძინონ იარაღი. ხელმძღვანელები ისეთი ქვეყნებისა, როგორიცაა ნიგერია, კამერუნი, მალი, აცნობიერებენ, რომ ეგრეთ წოდებული საერთაშორისო ძალები სულ სხვა დღის წესრიგს სთავაზობენ, ტერორთან ბრძოლა კი საბოლოოდ თვითონ მოუწევთ... ახლახან სამხრეთ აფრიკაში აფრიკული კავშირის საერთო სწრაფი რეაგირების ძალების სწავლებები ჩატარდა.

fondsk.ru

◀ვათ, სირიასა და ერაყში პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა. ამ რამდენიმე თვის განმავლობაში სახელმწიფოთა მეთაურები ირწმუნებიან, რომ „ისლამური სახელმწიფო“ უნდა განადგურდეს, მაგრამ ეს ორგანიზაცია განაგრძობს ტერორს მათსავე ქვეყნებში მათივე წარმოებული იარაღით. „სიტუაცია აბსურდულია, რადგან მათი ძალის მთავარი წყარო ჩვენი იარაღია, — აღნიშნავს ემერიკ ელიუენი, — ამასთანავე, ყველაფერი მილიონობით დოლარში აღირიცხება“.

რამდენიმე წელია, Amnesty International-ი განგაშის ზარებს სცემს, მაგრამ ნამდვილ შემობრუნების მომენტად იქცა 2003 წელი, როდესაც ერაყს ამერიკული იარაღი მიაწყდა. **„ისინი ფიქრობდნენ, რომ, თუკი ერაყის არმიას მილიარდობით დოლარს მისცემდნენ, სიტუაცია გაუმჯობესდებოდა, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. დღეს არავის შეუძლია თქვას, რომ ქვეყანაში უსაფრთხო მდგომარეობაა. იქ კვლავაც ყვავის ძარცვა და კონტრაბანდა... და, როგორც ყოველთვის, მშვიდობიანი მოსახლეობა ზარალდება“.**

იმისათვის, რომ შეწყდეს იარაღის უკონტროლო გავრცელება, უფლებადამცველი ორგანიზაცია საერთაშორისო სისხლის სამართლისა და იურიდიული თანამშრომლობის დარეგულირებას ითხოვს: „თუკი მართლაც გვსურს „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურება, ყველაზე მარტივიდან უნდა დავიწყოთ, ანუ ავიღოთ პასუხისმგებლობა და კონტროლს დავუქვემდებაროთ რეგიონის იარაღის ბაზარი“. Amnesty International-ში დარწმუნებულნი არიან, რომ სირიაში იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება აუცილებელია.

Le Figaro

# ევროპა გზაგასაყარზე

**კონტინენტის პოლიტიკური კონფიგურაცია ახლო მომავალში სერიოზულ ცვლილებებს განიცდის. ესპანეთში 20 დეკემბრისთვის დაგეგმილი საყოველთაო არჩევნები პოლიტიკურად შეაჯამებს განვლილ წელს ამ ქვეყანაში და, შესაძლოა, 2016 წლისთვის ევროპის განვითარების ვექტორებსაც გარკვეული მიმართულება მისცეს. უკვე ჩანს, რომ ერთ-ერთი სეპარატისტული განწყობების გავრცელება იქნება.**




ძალზე ბევრი რამ არყევს ევროპის პოლიტიკურ სისტემას: აშშ-ის პოლიტიკით პროვოცირებული არასტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დასავლელი არქიტექტორების კონტროლიდან გამოსული საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები, დევნილების მოზღვავება ევროპაში, ამ ფონზე ნაციონალური და იზოლაციური ტენდენციების ზრდა... და ვაშინგტონისა და ბრიუსელის დაჟინებული უარი, საერთაშორისო დღის წესრიგის ყველაზე მწვავე საკითხებში ითანამშრომლონ რუსეთთან... დღეს საეჭვოა, ვინმემ დანამდვილებით განსაზღვროს, რა სახით შეხვდება ევროკავშირიში 2017 წელს.

რაც შეეხება 2015 წელს, ის მთავრდება სხვა ყველაფერთან ერთად ესპანეთიდან კატალონიის გამოყოფის მომხრეთა განცხადებების აკომპანიმენტით. **კატალონიის პარლამენტის მიერ 9 ნოემბერს მიღებულმა რეზოლუციამ, რომელმაც ესპანეთიდან გამოყოფის დასაწყისი გამოაცხადა, ფითილს მოუკიდა ევროპის კიდევ ერთ „დენთის კასრზე“.** პრემიერ მინისტრმა მარიანო რახოიმ ნაჩქარევად მიმართა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს, რათა წინ აღდგომოდა აღნიშნული რეზოლუციის განხორციელებას. მაგრამ სიტუაცია, შესაძლოა, გასცდეს სამართლებრივ ჩარჩოებს. „მათი რაოდენობა, ვინც მოითხოვს, რომ კატალონია სახელმწიფო გახდეს, იზრდება“, — ხაზს უსვამენ კატალონიურ პარტიაში ერთად თანხმობისთვის“, რომელმაც 27 სექტემბერს გამართულ ადგილობრივ არჩევნებზე წარმატებას მიაღწია.

ესპანეთის ხელისუფლების პოზიციის გაგება შეიძლება, უპირველესად, ეკონომიკური მოსაზრებების გათვალისწინებით.

ეკონომისტებმა გამოთვალეს, რომ, თუკი კატალონია მაინც გამოეყოფა ესპანეთს, ქვეყნის საერთო შიგა პროდუქტის მოცულობა დაახლოებით 20%-ით შემცირდება, ვალის თანაფარდობა საერთო შიგა პროდუქტთან კი 25%-ით გაიზრდება.

შესაძლოა პოლიტიკური დანაკარგებიც მმართველი სახალხო პარტიისთვის, რომელიც არჩევნებზე ორ ცეცხლს შუა აღმოჩენის რისკის წინაშე დგას — ერთნი მხარს უჭერენ კატალონიის ბრძოლას თვითგანსაზღვრისათვის, ხოლო მეორენი ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან უფრო მკაცრ ზომებს ემხრობიან.

კატალონიური საკითხი გარდაუვლად პროეცირდება მსგავსი პრობლემების მქონე სხვა ევროპული ქვეყნების ანალოგიურ კოლიზიებზე — **შოტლანდიიდან და ბელგიიდან უკრაინასა და ბალკანეთამდე.** კერძოდ, ბალკანეთში, შესაძლოა, ხელახლა და ამჯერად უკვე საბოლოოდ დაისვას საკითხი ერთიანი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის შენარჩუნების შესახებ.

შემთხვევითი არ არის, რომ კატალონიის გამოყოფის მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც ხშირად იშველიებენ ბალკანეთის, განსაკუთრებით კოსოვოს, გამოცდილებას. თუკი კატალონიელი სეპარატისტების მომხრეები კოსოვოს პრეცენდენტს დადებით ფაქტორად წარმოაჩენენ, მათი ოპონენტები ხაზს უსვამენ პრობლემებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა ევროპა კოსოვოს ალბანელი სეპარატისტებისთვის ხელშეწყობის შედეგად.

## კატალონიის პარლამენტის მიერ 9 ნოემბერს მიღებულმა რეზოლუციამ, რომელმაც ესპანეთიდან გამოყოფის დასაწყისი გამოაცხადა, ფითილს მოუკიდა ევროპის კიდევ ერთ «დენთის კასრზე»

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია სტატია, რომელიც ნოემბერში ესპანეთის წამყვან გაზეთ El Pais-ში გამოქვეყნდა. ამგვარი თვალსაზრისი ხშირად ვერ აღწევს ევროპელ მკითხველამდე. **„კოსოვო არის უდიდესი მარცხი, თანაც სამმაგი, — წერს გაზეთი, — მარცხი საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომელიც, ვიდრე მთავარ საკითხზე, ანუ კოსოვოს მოსახლეობის მომავალზე შეთანხმდებოდა, ძალზე გაერთო გეოპოლიტიკისა და სუვერენიტეტის თამაშებით. მარცხი სერბებისთვის, რომლებმაც, დაიწყეს რა სამოქალაქო ომებითა და საერთაშორისო კონფლიქტებით სავსე წარსული, დაუჯერეს ავანტიურისტებსა და დამნაშავეებს, რომლებიც დიდ სერბეთს ჰპირდებოდნენ მათ, სინამდვილეში კი ევროპის კიდეზე მიგდებულ, საკუთარი ტერიტორიის ნაწილის დამკარგავ ქვეყნად აქციეს ქვეყანა. ეს იყო მარცხი კოსოვოელი ალბანელების ხელმძღვანელთათვის, რომლებმაც ისარგებლეს დამოუკიდებლობით, რათა დაემკვიდრებინათ კლანურობაზე, კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულზე დამყარებული მართვის სისტემა და გაეფლანგათ მილიარდობით თანხა, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებამ დახმარების სახით მისცა მათ“.**

გვერდი ავუაროთ სერბეთის ყოფილი ხელმძღვანელების „ავანტიურისტებად და დამნაშავეებად“ ტენდენციურ სტერეოტიპულ შეფასებას დასავლური მაინსტრიმის სტილში. სხვა მხრივ მსჯელობა იმაზე, რომ კოსოვოს ფსევდოსახელმწიფოს მოსახლეობის 40% მზადაა, რაც შეიძლება სწრაფად დატოვოს ქვეყანა, სამართლიანი ჩანს. ესპანური გაზეთი მნიშვნელოვან პრეტენზიებს უყენებს მსოფლიო საზოგადოებრიობას: „თუკი კოსოვო რაიმეს გვასწავლის, არის ის, რომ ქვეყნის შემადგენლობიდან ცალმხრივად გასვლა ცუდად მთავრდება. კეთილსინდისიერი საერთაშორისოსამართლებრივი ბაზის არარსებობის შემთხვევაში და მსოფლიო საზოგადოების მხრიდან მკაფიოდ გამოხატული მხარდაჭერის გარეშე მრავალი დაინტერესდება იმით, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამ კრახი განიცადოს.

სწორედ ეს მოხდა კოსოვოში, რომელიც არ აღიარეს ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორიცაა ესპანეთი, ჩინეთი, რუსეთი, საბერძნეთი, სლოვაკეთი.

2008 წელს, იუგოსლავიაში ომის დაწყებიდან 10 წლის შემდეგ, კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ მისი დამოუკიდებლობა 111-მა ქვეყანამ აღიარა, ის არათუ გაეროს წევრი არ არის, იუნესკოშიც კი ვერ შევიდა... კარგი იქნებოდა, თუკი კოსოვოს ხელისუფლებას ვინმე აუხსნიდა ამას“.

აზრი არ აქვს რაიმეს ახსნას კოსოვოს ხელისუფლებისთვის, რომელმაც მშვენივრად იცის საკუთარი ინტერესები და დარწმუნებულია აშშ-ის მხარდაჭერაში, მაგრამ ამჟამად ევროპაში შექმნილი დრამატული სიტუაცია ყველასგან სწორედ აწონ-დაწონილ და გააზრებულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს. ეს პირდაპირ ეხება ბალკანეთის იმ ქვეყნებსაც, რომლებიც მიჩვეულნი არიან დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ბრიუსელსა და მოსკოვს შორის ბალანსირებას. მალე ევროპის პოლიტიკური კონფიგურაცია სერიოზულად შეიცვლება და ამ ცვლილებებისთვის ყველა მზად უნდა იყოს.

stoletie.ru

ნახევარდაშლის პერიოდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიომ ათეულობით და ასეულობით პროცესი იცის, რომლებზეც განაჩენი ჯერ კიდევ მანამდე იყო გამოტანილი, სანამ მოსამართლე წარმოთქვამდა: „ხალხი, ღვთის წყალობით თავისუფალი და დამოუკიდებელი“... ანდა სხვა საწყის ფორმულას, თუ თვალთმაქცობა შეერთებული შტატების გარეთ თამაშდებოდა.**

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.

სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.

სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.

სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.

წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.

კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-45 (315-327)

— აქამდე ნიუ-ორლეანში ვცხოვრობდი, — თქვა ჯომ.

— იქ რას აკეთებდი? — ვკითხე მე.

ჯომ ღვარძლიანად გადაიხარხარა.

— ვმუშაობდი... გამომპანღურებლად ვმუშაობდი გოგოებიან ღამის ბარში და მომსვლელებისათვის პრეზერვატივებს ვყიდდი. ბიზნესს ვეწეოდი. ჩვენი სტრიპტიზი საუკეთესოდ ითვლებოდა — გოგოები სცენაზე თითქმის მთლიანად შიშვლდებოდნენ. კაბინეტებშიც ყველაფერი იყო. ასე რომ, ცოლის მოყვანაც ვერ გადავწყვიტე:> ყოველი გოგონა მეძავი მეგონა. ხელფასი ცუდი არ მქონდა, მაგრამ ყველაფერს მივაფურთხე და ფრისკოში წავედი.

ჯომ შეიგინა და ჰამაკში აწრიალდა.

— მაშ, მოდიხართ ბარში, მაიორო?

მე უარი ვუთხარი...

დიახ, ჩემზე უკეთ არავინ იცის, რომელი დღიდან და საათიდან დაიწყო ჯომ სმა.

1945 წლის 6 აგვისტო, 22 საათი კუნძულ ტინიანის დროით...

— დავლიოთ, — ვეუბნები, — და მენზურას ვუჯახუნებ.

დღეს სამშაბათია.

კიდევ ორი დღე უნდა გავძლო.

მე აირინზე და ლუსიზე ვფიქრობ.

## 11.

დრეიფუსი.

საკო და ვანცეტი.

როზენბერგები.

ოპენჰეიმერი.

**მსოფლიომ ათეულობით და ასეულობით პროცესი იცის, რომლებზეც განაჩენი ჯერ კიდევ მანამდე იყო გამოტანილი, სანამ მოსამართლე წარმოთქვამდა: „ხალხი, ღვთის წყალობით თავისუფალი და დამოუკიდებელი“... ანდა სხვა საწყის ფორმულას, თუ თვალთმაქცობა შეერთებული შტატების გარეთ თამაშდებოდა.**

ამ ზვავში, თოვლის პატარა გუნდასავით, წვეტიან ქვებზე ქვევით მოგორავს სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი მაიორის, „მეწამული გულისა“ და სხვა საბრძოლო ორდენების კავალერის, 42 წლის, ცოლიანის, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის, ვინმე კლოდ ემრიჩის საქმე.

**კლოდ ემრიჩი — ეს მე ვარ.**

რისი იმედი მაქვს? სამართლიანობისა და კანონის? ხომ არ ჰგავს ეს იმას, თუ როგორ ცდილობს პატარა ბავშვი, ხელით დაიჭიროს მზის სხივი?

ლარი მხნევდება.

— შენ მოიგებ, ძმობილო.

აირინი წერს, რომ დარწმუნებულია საქმის კეთილად დაგვირგვინებაში.

ფრედ მაკ-კორმაკიც არცთუ ისე სკეპტიკურადაა განწყობილი.

ჩემი თავი მაგონებს ავადმყოფს, რომლის საწოლთანაც დგანან უმწეო, მაგრამ საუკეთესო ზრახვებით აღვსილი ნათესავები. ავადმყოფის სიცოცხლე ქირურგზე და თვითონ მასზეა დამოკიდებული.

ასეთ ვითარებაში შეუძლებელია საკუთარ თავს მიუკერძოებელი მეთვალყურის მზერით უყურო. უსამართლობა ჯერ კიდევ არაა ჩადენილი, შენ კი უკვე პროტესტს აცხადებ მის წინააღმდეგ; ბოროტი, აღშფოთებული სიტყვები; გული ძგერს, ძგერს, ძგერს...

გონივრულია, მოსთხოვო ადამიანს შეუძლებელი?

გაწაფულმა ადვოკატებმა არ იციან საკუთარი თავის დაცვა.

ბრწყინვალე ორატორები ენადაბმულნი ხდებიან განსასჯელთა სკამზე.

ასე დაემართა დანტონს.

ასე დაემართა ოპენჰეიმერს.

დანტონმა, რომლის ბრალდებებისა თვით რობესპიერსაც ეშინოდა, ვერ შეძლო თავის ბრალმდებელთათვის პასუხი გაეცა და გილიოტინაზე დაასრულა სიცოცხლე.

**იულიუს რობერტ ოპენჰეიმერი, ადამიანი, რომელსაც შეეძლო საკუთარ თავზე ეთქვა: „ჯენტლმენებო, მე ვარ ავტომური ბომბი“, თანამედროვე ნიუტონი და ციცერონი, შეწყალების იმედით, უბრძოლველად ჩაბარდა გამარჯვებულებს — გორდონ გრეის, თომას ა. მორგანს და როჯერ რობს.**

**ეს მოხდა 1954 წლის 12 აპრილს.**

ვაშინგტონი. სამსახურებრივი „ბილდინგ T-3“.

სასამართლოს დარბაზი — კანცელარია №2022.

მოსამართლეები:

გორდონ გრეი — გაზეთებისა და რადიოსადგურების მფლობელი, მილიონერის შვილი, ყოფილი სამხედრო მინისტრი, ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

**თომას ა. მორგანი** — „სპერი ჟიროსკოპ კომპანის“ პრეზიდენტი.

**უორდ ვ. ივენსი** — ჩიკაგოს უნივერსიტეტის ქიმიის პროფესორი.

პროკურორი:

**როჯერ რობი** — სენატორ მაკარტის თანამშრომელი.

რობი:

— მისტერ ოპენჰეიმერ, თქვენ მორალური მოსაზრებების გამო იყავით წინააღმდეგი ხიროსიმაზე ატომური ბომბის ჩამოგდებისა?

ოპენჰეიმერი:

— მე მოგახსენეთ ჩემი შეშფოთების მიზეზები და მოსაზრებანი.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ თქვენი მოსაზრებანი მიმართული იყო მისი ჩამოგდების წინააღმდეგ?

— მე მოგახსენეთ მისი ჩამოგდების საწინააღმდეგო ჩემი დასაბუთებანი!

— ატომური ბომბის ჩამოგდების?

მახე დაგებულია. ოპენჰეიმერი დაიღალა წინააღმდეგობის გაწევით.

— დიახ!

ტკაც! — და მახე დაიკეტა. **იულიუს რობერტ ოპენჰეიმერმა, ატომური ბომბის მამამ, თვითონ გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი.** ორმა მრეწველმა და ერთმა პროვოკატორმა გამოიტანეს გადაწყვეტილება: 1. დოქტორ ოპენჰეიმერის ქცევა და მისი კავშირები წარმოადგეს უშიშროების სისტემის მოთხოვნათა სერიოზული იგნორირების გამოვლინებას; 2. ჩვენ ეს მიგვაჩნია მის სუსტ ადგილად. მსგავსი განწყობილებანი ქვეყნის უშიშროების სისტემას ასუსტებს.

პროფესორი ივენსი წინააღმდეგი იყო. მან განაცხადა:

— აქ ასამართლებენ განწყობილებას და არა გადაცდომებს.

პროცესის მსვლელობისას, 22 აპრილს, ოპენჰეიმერს 50 წელი შეუსრულდა. „მადლიერმა“ სამშობლომ ოდნავ დაგვიანებით აღნიშნა მისი იუბილე, „ეროვნული მოღალატის“ ტიტული მიანიჭა მას.

რას იზამ, ეს არაფრით ჩამოუვარდება ეროვნული გმირის წოდებას.

მე ვიამაყებდი.

ამის შესახებ ვეუბნები ლარის.

ჰარბერტი მარწმუნებს:

— ყველაფერი მოგვარდება, კლოდ. ჩვენ კიდევ დავლევთ შენი წარმატებების სადღეგრძელოს.

— ძვირფასო ექიმო, არ არის საჭირო ეს ფსიქოთერაპია!

ვიცინი, ისეთ სახეს ვიღებ, თითქოს არ ვსაჭიროებ ნუგეშისცემას, მაგრამ ძნელია ლარის მოტყუება.

— დარწმუნებული ხარ შენს თავში? — მეკითხება იგი.

— რა თქმა უნდა! — ვპასუხობ გაზვიადებული მხიარულებით.

ვერ ვურიგდები დამარცხების შესახებ აზრს. აირინი წერს: „როცა გაგიჭირდება, გაიხსენე, კინაღამ რომ ჩამოგაგდეს ნორმანდიაში. შენ მეუბნებოდი, რომ თქვენ გადარჩენის ასიდან ერთი შანსი გქონდათ, მაგრამ თქვენ გადარჩით. ნუთუ შენ იმდენად შეიცვალე, რომ მზადა ხარ კრიტიკულ წუთებში მხნეობა დაკარგო?“

აირინი ამარტივებს. ჩვენი „B-29“-ის ქვემეხები „მესერშმიტების“ ქვემეხებს დაუპირისპირდნენ; ჩვენი ნებისყოფა გერმანელი პილოტების ნებისყოფასთან ჩაება ბრძოლაში; ოსტატობა ებრძოდა ოსტატობას. ეს იყო პატიოსანი ბრძოლა. გაიმარჯვა იმან, ვინც ოდნავ უფრო ზუსტად იბრძოდა, ოდნავ უფრო შეუდრეკელი და მარჯვე იყო... მაგრამ მოზრდილთაგან ვის მოუვა თავში აზრად, იზეიმოს ბავშვზე გამარჯვება?

ადამიანი და სასამართლო. დავითისა და გოლიათის ორთაბრძოლა, როდესაც დავითი უშურდულოდ იბრძვის.

ვცდილობ, ლარის ავუხსნა ეს; მას პასუხი უკვე მზად აქვს:

— ამერიკაში არ არის ჰიტლერის საიდუმლო ტრიბუნალები.

მაინც კარგია, რომ ლარი გვერდითაა.

მასთან ერთად უფრო იოლია.

— გინდა, ნემსს გაგიკეთებ? — მეკითხება ლარი, — ერთხელ შეიძლება.

— გმადლობთ, მორფიუმის გარეშეც გავძლებ.

ვერ ვიტან ნემსებს. მეშინია მათი, როგორც ბავშვებს გომბეშოსი; არც ისე მტკივნეულია, მაგრამ საზიზღრობაა. ბარკერმა შეამჩნია ეს და დაუყოვნებლივ გამომიწერა ამინაზინი. ამინაზინისგან დუნდულები დამისივდა და ბზასავით მაგარი გახდა. ყოველდღე დავდივარ გასათბობად — სხვაგვარად შეუძლებელია წოლა.

დერეფანში ჯოკი ავადმყოფებს იძახებს.

— სკოტი, ლოუსონ, ასტორ...

მცირე დაყოვნების მერე:

— მისტერ ემრიჩ!

უნდა წავიდე. ულტრამაღალი სიხშირის თერაპია არა მარტო ტკივილების შემსუბუქებაა, არამედ რამდენადმე გართობაცაა. საავადმყოფოს ერთ ციცქნა სამყაროში ისეთი რამ, როგორიცაა გასეირნება ან სპეციალურ კაბინეტში სიარული, იძენს საერთაშორისო მოვლენების ხასიათს. ისეთი იღბლიანები, როგორიც ასტორია, ახერხებენ დღეში სამჯერ-ოთხჯერ მოგზაურობას ყველანაირ ონკოლოგებთან, ოტოლარინგოლოგებთან და ფტიზიატრებთან. ჩემთვის ეს მიუწვდომელია: ბარკერმა და გორდონმა ჩემზე ნაკლებად როდი იციან სპეციალისტებთან სიარულის ნამდვილი მნიშვნელობა და ერთხელ და სამუდამოდ ამოიღეს ჩემი გვარი იმ პირთა სიებიდან, რომლებიც გასინჯვებზე იყვნენ განწესებული. მაგრამ ულტრამაღალი სიხშირის თერაპიის წინააღმდეგ მათ არაფრის თქმა არ შეუძლიათ — შეთბობა ესაჭიროება ყველას, ვისაც ამინაზინით აწამებდნენ.

გზად იზოლატორის საჭვრეტელში ვიხედები.

ჯო ჯერ კიდევ დამაწყნარებელ პერანგშია.

ყოველი შემთხვევისთვის ვეძახი:

— ჯო!

ის კარს უყურებს, მაგრამ აშკარად ვერ ხვდება, ვინ ეძახის. კვნესის:

— ოო... მოაშორეთ მზე!.. ო-ო...

მგონია ვხვდები, რატომაც ეჩენება მზის აუტანელი კაშკაშა ელვარება. ხიროსიმის შემდეგ ის ხშირად მევლინებოდა ჩემს სიზმრებში.

ფიზიოთერაპიის კაბინეტში უხმაუროდ ფუსფუსებს მის ემი — სანდომიანი არსება იისფერი ქიმიური ტუჩებით. მისი შემყურე ასტორი კმაყოფილებისაგან ბლავის, მაგრამ ემიმ იცის, როგორ უნდა მოექცეს. მეორე წამს ლოიდი უკვე ულტრამაღალი სიხშირის თერაპიის დისკოს ქვეშ წევს, საიმედოობისათვის ღვედებით დაბმული, როგორც საგზაო ჩემოდანი.

— მარჯვედ ახერხებთ, — ვამბობ.

ემი მკაცრია.

— მისტერ ემრიჩ...

არცთუ სასიამოვნოა ახალგაზრდა გოგონას თანდასწრებით პერანგის ამხანაგისამარა წოლა, მაგრამ რას იზამ. ვწვები. ემი ხელსაწყოს რთავს. ის წყნარად ზუზუნებს, სითბოს აფრქვევს.

ემი ყველას აწვენს და თავის მაგიდასთან ჯდება. შლის ლამაზყდიან ჟურნალს.

— საინტერესოა, ემი?

— ძალიან. ეს მიკი სპილეინია.

— რომელი სერია?

— ალაბამის საიდუმლოებანი. მასში ტრაქტორით ჭყლეტენ ქალს.

— ჰოო... ალბათ, კარგი გასართობია...

— მერე როგორი! — ამბობს ემი და კითხვაში ეფლობა. საათი რიტმულად წიკწიკებს.

ასტორი ცქმუტავს დისკოს ქვეშ. საცოდავად იძახის:

— ცხელა!

ემი დაყრუვდა. მიკი სპილეინმა შთანთქა მისი ყურადღება. ჯერ კიდევ ვერ წავსულვართ შორს იმ ველურებისაგან, ნათესავთა ხორცით რომ ტკბებიან-

მის ემი თვრამეტი წლისაა.

**თვრამეტი წლისა იყო ფრედ მაკნამუსიც, რომელიც ელექტროსკამზე დაჯდომამდე „ნიუ იორკ ჯორნელში“ წერდა: „29 მარტის ღამეს ფულის შოვნის მიზნით მოვკალი ორი უცნობი. 30 მარტის ღამეს იმავე მიზნით მოვკალი კიდევ ორი უცნობი. 28 მარტის ღამეს გავაჩერე შავ-წითელი „პლიმუტი“. პატრონი გასროლით მოვკალი, როცა უარი მითხრა მანქანის მოცემაზე. ყველა ეს მკვლელობა ჩავიდინე ჩემი ცოლის, ანუ იმ ქალისაგან ფარულად, რომელსაც ჩემს ცოლად ვთვლი, უფრო ზუსტად, როცა მას ეძინა“.**

მაკმანუსის „ცოლი“, დიანა ვეგელენდი, 16 წლისა იყო.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ამჟამად წყალქვეშა ნავები 40 ქვეყნის შეიარაღებაშია, მათ შორის, 6 ქვეყანას — აშშ-ს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთსა და ინდოეთს — ჰყავს ატომური წყალქვეშა ფლოტი. ორი სახელმწიფო კი — ბრაზილია და პაკისტანი — ახლა ცდილობს თანამედროვე წყალქვეშა ნავის აგებას.

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ატომური წყალქვეშა «მგლები»

**თითოეული წყალქვეშა ნავი კონკრეტული ქვეყნის სამხედრო, ტაქტიკური და სტრატეგიული დოქტრინის, აგრეთვე, ეკონომიკური და სამეცნიერო განვითარების შესაბამისად იგებოდა. ამჟამად წყალქვეშა ნავები 40 ქვეყნის შეიარაღებაშია, მათ შორის, 6 ქვეყანას — აშშ-ს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთსა და ინდოეთს — ჰყავს ატომური წყალქვეშა ფლოტი. ორი სახელმწიფო კი — ბრაზილია და პაკისტანი — ახლა ცდილობს თანამედროვე წყალქვეშა ნავის აგებას. გთავაზობთ ზემოჩამოთვლილი ქვეყნების ყველაზე მძლავრი ატომური წყალქვეშა ნავების ტექნიკურ მახასიათებლებს.**



## პროექტ 971 «შჩუკა-ბ» კლასის ატომური წყალქვეშა ნავები, რუსეთი

ეს არის მესამე თაობის რუსული მრავალმიზნობრივი ატომური წყალქვეშა ნავები, რომლებიც იმავე ტექნიკური ამოცანების მიხედვით არის დაპროექტებული, რომლებითაც აიგო პროექტ 945 „ბარაკუდას" ტიტანის სუბმარინები, ოღონდ ფოლადის კორპუსებით.

**აგებულია:** 15 ერთეული

**ექსპლუატაციაშია**: 9 ერთეული

**სიჩქარე:** წყლის ზედაპირზე —12 კვანძი. წყალქვეშ — 33 კვანძი

***ავტონომიური ცურვის ხანგრძლივობა**: 100 დღე

***სვლის მარაგი:** შეუზღუდავი

***შეიარაღება:** 650 მმ-იანი 4 სატორპედე აპარატი 12 ტორპედოთი;

533 მმ-იანი 4 სატორპედე აპარატი 28 ტორპედოთი;რაკეტა-ტორპედოები; ფრთოსანი რაკეტები PK-55 „გრანატი;" წყალქვეშა რაკეტები; გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „სტრელა-3M"; 13 გამშვები კონტეინერი, 12 რაკეტა.

## ატომური წყალქვეშა ნავი «არიჰანტი», ინდოეთი

ეს სუბმარინა ინდოეთის ატომური სტრატეგიული წყალქვეშა ნავების პირველი პროექტია, რომლის განხორციელებაც 1985 წელს დაიწყო. ინდურ პროექტს საფუძვლად დაედო საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავის — „სკატის" კონსტრუქცია.

***აგებულია:** 1 ერთეული (გადის გამოცდას). სულ იგეგმება 6 სუბმარინის აგება.

***სიჩქარე:** წყალქვეშ — 24-დან 30 კვანძამდე (1 კვანძი უდრის 1852 მ/სთ).

***ავტონომიური ცურვის ხანგრძლივობა**: 90 დღე-ღამე

***ჩაყვინთვის მაქსიმალური სიღრმე:** 300 მ.

***ეკიპაჟი:** 100 კაცი.

***შეიარაღება:** სატორპედე მოწყობილობა 6 X533 მმ; რაკეტები; წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტა K-15 — 12 ერთეული.



## Rubis-ის კლასის ატომური წყალქვეშა ნავები, საფრანგეთი

Rubis-ის კლასის პირველი ატომური წყალქვეშა ნავი 1979 წელს ააგეს. ეს საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირველი თაობის სუბმარინაა. 1993-1994 წლებში ამ წყალქვეშა ნავებზე რამდენიმე ავარია მოხდა. დაიღუპა 10 ადამიანი.

***აგებულია:** 6 ერთეული

***ექსპლუატაციაშია:** 6 ერთეული

***სიჩქარე:** წყლის ზედაპირზე — 15 კვანძი. წყალქვეშ — 25 კვანძი.

***სვლის მარაგი**: 20 წლის სამყოფი ატომური საწვავი.

***შეიარაღება:** წყალქვეშა ნავის საწინააღმდეგო 4 ტორპედო;

14 ტორპედო F17 mod 2 ან 14 ფრთოსანი რაკეტა Exocet SM390R

**ავტონომიური ცურვის ხანგრძლივობა:** 30 დღე:

ჩაყვინთვის მაქსიმალური სიღრმე: 300 მ

***ეკიპაჟი:** 57 კაცი.



## «ვირჯინიის» კლასის ატომური წყალქვეშა ნავები, აშშ

„ვირჯინიის" კლასის ატომური წყალქვეშა ნავები ააგეს „ლოს ანჯელესის" კლასის მოძველებული წყალქვეშა ნავების შესაცვლელად. სუბმარინას აქვს რამდენიმე სიახლე, მაგალითად, ტრადიციული პერისკოპის ნაცვლად დამონტაჟებულია რამდენიმე მოძრავი ანძა მაღალი სიზუსტის ხედვის სისტემის (Electronic Support Heasure) კამერებით.

***აგებულია:** 7 ერთეული

***ექსპლუატაციაშია:** 7 ერთეული

***სიჩქარე:** წყლის ზედაპირზე — 25 კვანძი. წყალქვეშ — 35 კვანძი

***სვლის მარაგი:** შეუზღუდავი

***ავტონომიური ცურვის ხანგრძლივობა**:შეუზღუდავი

***შეიარაღება:** 4 სატორპედე აპარატი. 26 ტორპედო. რაკეტა „ტომაჰავკის" ვერტიკალურად გამშვები 12 მოწყობილობა

***ჩაყვინთვის მაქსიმალური სიღრმე:** 488 მეტრი

***ეკიპაჟი:** 100-120 კაცი



## პროექტ 093 «შანის» ატომური წყალქვეშა ნავები, ჩინეთი

ეს ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველაზე თანამედროვე წყალქვეშა ნავია, რომელმაც უნდა შეცვალოს უკვე მორალურად მოძველებული სერია 091.

***დაგეგმილია აგება**: 6-8 ერთეულის

***ექსპლუატაციაშია**: 2-3 ერთეული

***სიჩქარე:** წყალქვეშ — 30-35 კვანძი

*** ავტონომიური ცურვის ხანგრძლივობა:** 80 დღე

***სვლის მარაგი:** შეუზღუდავი

***შეიარაღება:** ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები YJ-82 და 533-მილიმეტრიანი სატორპედე აპარატები. რაკეტებსა და ტორპედების რაოდენობა უცნობია.



## «ასტიუტის» (Astute Class) კლასის წყალქვეშა ნავები, დიდი ბრიტანეთი

ეს არის გაერთიანებული სამეფოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველაზე დიდი და ყველაზე მძლავრი სუბმარინა, რომელიც აღჭურვილია 48 ტორპედოთი, წყალმტყორცნი ძრავითა და თანამედროვე ატომური რეაქტორით. ამ წყალქვეშა ნავის კონსტრუქტორები ამბობენ, რომ „ასტიუტის" კლასის სუბმარინები ტექნიკურად უფრო რთულია, ვიდრე კოსმოსური აპარატი „შატლი".

***აგებულია:** დაგეგმილია 7 ერთეული

***ექსპლუატაციაშია:** 1 ერთეული

***სიჩქარე:** წყალქვეშ — 29 კვანძი

***ავტონომიური ცურვის ხანგრძლივობა**: 90 დღე

***სვლის მარაგი:** შეუზღუდავი

***შეიარაღება:** 533-მილიმეტრიანი სატორპედე აპარატი — 6 ერთეული.

48 ტორპედო ან რაკეტა. ფრთოსანი რაკეტები: „ტომაჰავკი" და ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა **Sub-Harpoon**-ი.

***ჩაყვინთვის მაქსიმალური სიღრმე:** 300 მ

***ეკიპაჟი:** 98 კაცი.



# «ტანკების მკვლელს» შეუძლია უხილავი მიზანიც კი გაანადგუროს

**რუსულ უახლეს ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექს „ქრიზანტემას" შეუძლია გაანადგუროს ისეთი მიზნებიც კი, რომლებიც მისგან ბოლით, მტვრითა და სხვა საბურველით არის დაფარული. ეს განსაკუთრებული შესაძლებლობა ამ ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსს უნიკალურობას სძენს: მსგავსი კომპლექსი მსოფლიოს სხვა ქვეყანაში ჯერჯერობით არ არსებობს.**

კონსტრუქტორების თქმით, ამ კომპლექსს უნიკალურობას რადიოსალოკაციო სისტემა სძენს.

„ამჟამად არსებული სხვა ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსები, თუ მიზანს ვერ ხედავს, ჯავშნის დაზიანების როგორი შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეთ, ზუსტად ვერ ისვრიან. „ქრიზანთემისთვის" კი ეს რთული არ არის. ამ მხრივ ჩვენ დასავლეთის ქვეყნებს 15 წლით გავუსწარით", — განაცხადა სამეცნიერო-საწარმო კომპლექს „მანქანათმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს" გენერალურმა კონსტრუქტორმა **ვალერი კაშინმა**.

აღსანიშნავია, რომ „ქრიზანთემას" შეუძლია ერთდროულად 5 ტანკს გაუმკლავდეს — მისი ყუმბარა 1 მ-ზე მეტი სისქის სატანკო ფოლადს ხვრეტს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სიონის პრიორატმა რამდენიმეჯერ გამოაქვეყნა განცხადება, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ მათთან ინახება წმინდა გრაალი, ტამპლიერების განძი და მრავალი საკრალური ნივთი, მაგრამ მათი ჩვენება საზოგადოების წინაშე მოხდება მაშინ, როცა ამას თავად გადაწყვეტენ, რადგან განძთან ერთად იქ ინახება უძველესი ცოდნაც. პრიორატის ჩანაწერების მიხედვით, მისი ცნობილი წევრები იყვნენ: ნიკოლა ფლამელი, სანდრო ბოტიჩელი, ლეონარდო და ვინჩი, რობერტ ბოილი, ისააკ ნიუტონი, ვიქტორ ჰიუგო.**

# ზოგი რამ საიდუმლო ორგანიზაციების შესახებ

**შეთქმულების თეორიების მოყვარულთა მტკიცე რწმენით, სწორედ საიდუმლო ორგანიზაციები განაგებენ მსოფლიოს, ქმნიან მის მომავალს, ახდენენ გავლენას სახელმწიფოებისა და ხალხების ბედზე. შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში ეს მართლაც ასეა. ასეა თუ ისე, ყველაზე ცნობილი საიდუმლო ორგანიზაციები შესახებ საუბარი საუკუნეების განმავლობაში არ წყდება და ჭორ-მართალი ისეა ერთმანეთში არეული, რომ ერთმანეთისგან გარჩევას, ალბათ, წლები დასჭირდება.**


მასონები

## მასონები

ყველაზე გავლენიან და მრავალრიცხოვან საზოგადოებას, ცხადია, მასონები წარმოადგენენ. მათ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისკენ სწრაფვაში, გლობალურ შეთქმულებაში, მასობრივ მკვლელობებსა და ეკონომიკური კრიზისების ორგანიზებაში სდებენ ბრალს. ამჟამად **მასონების ლოჟა მსოფლიოში 5 მილიონ წევრს ითვლის, მათგან ორ მილიონამდე აშშ-ში ცხოვრობს, 480 000 — ინგლისში, შოტლანდიასა და ირლანდიაში.**

საიდუმლო ორდენის შექმნის ფესვები XVII საუკუნის ინგლისშია. ოფიციალურად კი მასონური ლოჟა 1717 წელს ჩამოყალიბდა. ორდენის თავდაპირველი სახელწოდება free masons ქართულად **თავისუფალ ქვის მთლელებს** ნიშნავს. მასონების ეთიკა და ფილოსოფია ეყრდნობა მონოთეისტურ რელიგიას. განსაკუთრებულ ყურადღებას მასონები მორალურ ღირებულებებს ანიჭებდნენ, ამიტომ ორგანიზაციის მრავალი წევრი ქველმოქმედებით გახდა ცნობილი.

მასონობა ადმინისტრაციულად ორგანიზებულია დამოუკიდებელ დიდ ლოჟებში, რომელთაგან თითოეული ხელმძღვანელობს საკუთარ იურისდიქციას და შედგება მის დაქვემდებარებაში არსებულიი მასონური ლოჟებისგან. თითოეულ ლოჟაში, როგორც წესი, 15-დან 100-მდე წევრია, რომლებიც ტერიტორიული პრინციპით არიან გაერთიანებულნი. ადგილობრივ ლოჟებს აარსებს დიდი ლოჟა, ასეთი კი თითოეულ ქვეყანაში მხოლოდ ერთია. ზოგიერთი დიდი ლოჟა აღიარებს ერთმანეთს, ზოგიერთი — არა.

**მასონობა სიმბოლოებად იყენებს ქვის მთლელთა იარაღებსა და აღჭურვილობებს და ლეგენდებს სოლომონის ტაძრის მშენებლობის შესახებ, რათა მეტაფორულად გამოხატოს ის, რასაც მასონებიცა და მათი კრიტიკოსებიც უწოდებენ ალეგორიებში დამალულ და სიმბოლოებში ილუსტრირებულ მორალის სისტემას.**

ძირითადი ვერსიის თანახმად, მასონობა მშენებელი ქვის მთლელების შუასაუკუნოვანი კორპორაციებისგან წარმოიშვა, თუმცა, ზოგიერთი ვერსიით, მის წინაპრად ტამპლიერების ორდენსაც მიიჩნევენ.

მიუხედავად იმისა, რომ მასონობა დისტანცირებულია პოლიტიკისა და რელიგიისგან, მას ხშირად აკრიტიკებენ რელიგიური და პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებში.

**ორდენის ძირითადი იდეები უპირისპირდება რელიგიურ სწავლებებს, ამიტომ ეკლესია ოდითგანვე უკმაყოფილებას გამოთქვამდა მასონობის გავრცელების გამო. 1917 წლის კანონიკური სამართლის კოდექსში პირდაპირ ეწერა, რომ მასონურ ლოჟაში შესვლა ავტომატურად ნიშნავდა ეკლესიისგან მოკვეთას.**

კონსპიროლოგიის თეორიის მომხრეები აღნიშნავენ ლოჟებში ცნობილი პოლიტიკოსების წევრობას და ვარაუდობენ, რომ სწორედ მათი დახმარებით ახორციელებდნენ მასონები გავლენას სახელმწიფოთა განვითარებასა და ისტორიული მოვლენების მსვლელობაზე.

**მასონები ჟესტებს, ხელის ჩამორთმევას და გარკვეულ სიტყვებს იყენებენ იმისათვის, რომ შეკრებებზე კანონიერი დამსწრეები ამოიცნონ. იმის გამო, რომ ეს საიდუმლო ნიშნები საუკუნეების განმავლობაში არაერთხელ გამჟღავნდა არაწევრებისთვის, მასონებს ყოველთვის მოუწიათ რიტუალურ წესებში ცვლილებების შეტანა. სხვათა შორის, მასონურ დიდ ლოჟებს უფლება აქვთ, საკუთარი სურვილისამებრ შეცვალონ არსებული რიტუალები ან შექმნან ახალი, ამიტომ შეკრებაზე დამსწრეთ, შესაძლოა, ნამდვილი წევრობის დამადასტურებელი დიპლომი ან მოსაწვევი მოსთხოვონ.**

იმის გამო, რომ მასონებს აქვთ მდიდარი სიმბოლიკა და რიტუალები, რომელთა უდიდესი ნაწილი მხოლოდ საძმოს წევრებისთვისაა გახსნილი, დანარჩენი საზოგადოებისთვის კი დახურული, საზოგადოება მათ განუზომელ ძალაუფლებას, მსოფლიოს მმართველობას, კაცობრიობის ბედის განკარგვას და კიდევ უამრავ რამეს მიაწერს.

რეალურად მასონთა მოვალეობები ლოჟების მიხედვით განსხვავდება, თუმცა თითქმის ყველა იზიარებს ვალდებულებას, იმოქმედოს, როგორც ეს შეესაბამება ცივილიზებულ საზოგადოებას, დამორჩილდეს უზენაესი არსების კანონებს, დაემორჩილოს იმ ქვეყნის კანონებს, რომელშიც ცხოვრობს, არ მოატყუოს საძმო, დაეხმაროს ოჯახის წევრებს, საკუთარ ძმებსა და მათი ოჯახის წევრებს, თუკი ეს მოხერხდება პირადად მისი ფინანსური დაზარალების გარეშე.

ცნობილია, რომ მასონები იყვნენ **მარკ ტვენი, უინსტონ ჩერჩილი, ჰენრი ფორდი** და მრავალი სხვა.

**მასონების ლოჟა მსოფლიოში 5 მილიონ წევრს ითვლის, მათგან ორ მილიონამდე აშშ-ში ცხოვრობს, 480 000 — ინგლისში, შოტლანდიასა და ირლანდიაში. საიდუმლო ორდენის შექმნის ფესვები XVII საუკუნის ინგლისშია. ოფიციალურად კი მასონური ლოჟა 1717 წელს ჩამოყალიბდა**


ილუმინატები

## ილუმინატები

ამ საიდუმლო საზოგადოებას ხშირად მასონებს მიაკუთვნებენ და იმავე ცოდვებსაც მიაწერენ, როგორიცაა მასობრივი მკვლელობები და ანტირელიგიური საქმიანობა. სინამდვილეში ამ ორი ორგანიზაციის საქმიანობა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ილუმინატები განათლებული ახალგაზრდა რეფორმატორების საზოგადოებაა, რომელიც ბავარიაში, ინგოლშტადტის უნივერსიტეტში, ფილოსოფოსი და თეოლოგი პროფესორის — **ადამ ვაისჰაუპტის** მიერ 1776 წლის 1 მაისს ჩამოყალიბდა და თავდაპირველად მხოლოდ 5 წევრისგან შედგებოდა. პროფესორი თავის ორდენს **სრულყოფისკენ მიმავალთა გაერთიანებას** უწოდებდა და ფილოსოფიისა და თეოლოგიის ცოდნის გავრცელებას ცდილობდა. ორდენს, ძირითადად, საგანმანათლებლო მიზნები ამოძრავებდა. მისი დამაარსებელი კანტის ფილოსოფიის ცნობილი მოწინააღმდეგე გახლდათ. ორგანიზაციის ეკლესიასთან დაპირისპირების გამო იგი მალევე გამოცხადდა უკანონოდ.

როგორც ცნობილია, ილუმინატები თავად ირჩევდნენ ორდენის წევრებს. ეს ხანგრძლივი პროცესი მოიცავდა დაკვირვებას სასურველ კანდიდატზე, მის მომზადებას ორდენში გაწევრებისათვის, სპეციალური რიტუალის ჩატარებას, საზეიმო ფიცის დადებასა და ფარული ფსევდონიმის მინიჭებას.

**ილუმინატების ოფიციალურად გამოცხადებული მიზანი იყო ადამიანთა სრულყოფა „ახალი იერუსალიმის მშენებლობის“ გზით. მალე ორდენში განხეთქილება მოხდა, 1785 წელს კი საერთოდ აიკრძალა ბავარიის ხელისუფლების მიერ. მისმა დამაარსებელმა თანამდებობა დაკარგა და დევნილმა დალია სული.**

საინტერესოა, რომ საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, სწორედ ილუმინატების იდეაა საერთო ენის, ვალუტისა და კანონების შემოღება.


კამორა

## კამორა

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის იტალიური მაფია, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ იტალიაში ჩამოყალიბდა. „კოზა ნოსტრას“ საქმიანობა, კამორას საქმიანობის მექანიზმთან შედარებით, არაფერია. **კამორა** — ეს სიტყვა მაფიის მშობლიურ ქალაქ ნეაპოლში ახლაც შიშის ზარს სცემს ადგილობრივებს, ხოლო ორგანიზაციის მასშტაბები, უკვე დიდი ხანია, გასცდა აპენინის ნახევარკუნძულს.

სიმბოლიკა, ჩვეულებები, ტრადიციები დღემდე საიდუმლოდ ინახება. ცნობილია, რომ ტერიტორია, რომელსაც მაფია აკონტროლებს, რამდენიმე სექტორადაა დაყოფილი, რომლებსაც „კაპო“ მართავს. ასევე ცნობილია, რომ კაპოს ყოველდღიური შემოსავალი 500 000 ევროა. ცოტა ხნის წინათ **სილვიო ბერლუსკონის** შესახებ აგორებულმა სკანდალმა კიდევ ერთხელ წამოწია კამორას თემა.

## ტრიადა

პირველი ტრიადები ჩინეთში ჩვენს წელთაღრიცხამდე II-I საუკუნეებში გაჩნდა. ორგანიზაციის წევრების რწმენით, ციფრ 3-ს მაგიური, მისტიკური მნიშვნელობა აქვს, საიდანაც მომდინარეობს კიდეც მათი სახელწოდება **ტრიადა**. მშვიდობიანობის პერიოდში უამრავი მსგავსი ორგანიზაცია არსებობდა, როგორც საძმო ურთიერთდახმარებისთვის, მაგრამ ზოგი მათგანი კრიმინალურ სამყაროს ეკუთვნოდა. ტრიადის წევრებს, ძირითადად, სისხლით ნათესაობა აკავშირებთ ერთმანეთთან და იგი მკაცრ იერარქიულ სისტემას ეფუძნება.

**ჩინეთის განვითარებასა და მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად, ტრიადები ახალ საფეხურზე ავიდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი სამომხმარებლო საქონლისა და ელექტროტექნიკის გაყიდვას აკონტროლებენ, გარდა ამისა, არიან ვირტუალური მეკობრეები.**



## იაკუძა

იაკუძა იაპონური მაფიის სახელწოდებაა. იაკუძას ჯგუფის წევრის სხეულის 85-95% ტატუებითაა დაფარული. სწორედ ეს ნახატები აღწერენ, ვინ არის ის და რომელ „ოჯახს“ მიეკუთვნება. ტატუები ამ ოჯახების წარმოშობის მოკლე ისტორიასაც მოგვითხრობს.

ორგანიზაციაში არსებობს იერარქია, თუმცა, ტრიადისა და კამორისგან განსხვავებით, ფართოდ არის გავრცელებული ერთი ჯგუფის წევრებს შორის ეგრეთ წოდებული „ძმური“ ურთიერთობები. 1995 წელს იაპონიის მთავრობამ იაკუძას საქმიანობის წინააღმდეგ კანონი მიიღო. ▶

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ოპუს დეი

**ოპუს დეის წევრთა უმეტესობა საერო პირები არიან. ისინი ადამიანებს მიიჩნევენ ნაშრომად, ღმერთის შემოქმედების ნაყოფად, ამიტომაც ეწოდა ორგანიზაციას ეს სახელი. 2009 წელს წევრების რაოდენობამ 90 ათასს მიაღწია, მათგან 2000 მღვდელია. 70%-ს ოჯახი ჰყავს, დანარჩენი 30% კი ცელიბატია.**


ტრიადა

## თავის ქალა და ძვლები

თავის ქალისა და ძვლების ორდენი, იელის უნივერსიტეტის საიდუმლო საზოგადოება, თავდაპირველად ცნობილი იყო, როგორც სიკვდილის საძმო. ეს არის აშშ-ის სტუდენტთა ერთ-ერთი უძველესი საიდუმლო ორგანიზაცია. დაარსდა 1832 წელს და მასში გაწევრების საშუალება მხოლოდ ერთეულებს აქვთ. მისი წევრები დღემდე ატარებენ მასონურ რიტუალებს. ხუთშაბათსა და კვირას იკრიბებიან სპეციალურ შენობაში, რომელსაც „აკლდამას" ეძახიან.

იელის უნივერსიტეტის არქივის გამგისა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ **ჯუდი შიფის** თქმით, ორგანიზაციის წევრთა ვინაობა 70-იან წლებამდე გასაიდუმლოებული არ იყო, რიტუალები კი მაშინაც ტარდებოდა. იელში სწავლის პერიოდში ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ მამა-შვილი **ბუშები. თავის ქალისა და ძვლების შესახებ ბევრი თეორიაა გავრცელებული. ერთ-ერთის მიხედვით, ამ ორგანიზაციის წევრების მიერ არის დაფუძნებული ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (CIA).** სააგენტომ 2007 წელს გაავრცელა განცხადება, რომელშიც ეს მოსაზრება უარყოფილია.


თავის ქალა და ძვლები



## როზენკრეიცერები

როზენკრეიცერების ორდენის შექმნის იდეა გაუჩნდათ გერმანელ პროტესტანტებს, რომლებმაც 1600-იან წლებში გამოუშვეს სამი დოკუმენტი: Fama Fraternitatis Rosae Crucis (ვარდისა და ჯვრის საძმოს გზავნილი), Confessio Fraternitatis (საძმოს აღსარება) და The Chymical Wedding of Christian Rosenkreutz anno 1459 (ქრისტიან როზენკრეიცის ქიმიური ქორწინება, 1459 წელი).

ეს დოკუმენტები ისე ფართოდ გავრცელდა და ისეთი გავლენიანი იყო, რომ ისტორიკოსმა **ფრანსის იეტსმა** XVII საუკუნეს როზენკრეიცერული განათლების პერიოდი უწოდა.

პირველი დოკუმენტი გვიამობს მისტიკურ ალქიმიკოსზე, რომელმაც მსოფლიოს მრავალ ადგილას იმოგზაურა ცოდნის გაფართოების მიზნით. მეორე დოკუმენტში მოთხრობილია ალქიმიკოსთა საიდუმლო საძმოზე, რომელიც აპირებდა, ევროპის პოლიტიკური და ინტელექტუალური სახე შეეცვალა. მესამე დოკუმენტი მოგვითხრობს ქრისტიან როზენკრეიცზე, რომელიც მიიწვიეს მეფისა და დედოფლის „ქიმიურ" ქორწილზე საოცრებათა სასახლეში.

როზენკრეიცერების ორდენის დღევანდელი წევრები ამტკიცებენ, რომ მათი საძმო გაცილებით ძველია, ვიდრე ის სამი დოკუმენტი. დოკუმენტებში იგრძნობა სიმპათია პროტესტანტების მიმართ და უარყოფითი დამოკიდებულება კათოლიკეების მიმართ. სავარაუდოდ, საძმომ გავლენა მოახდინა მასონებზეც, რადგან, შოტლანდიური წესით, XVIII ხარისხის მასონს „წითელი ჯვრის რაინდი" ეწოდება.

დღეს როზენკრეიცერების ბევრი განშტოება არსებობს, ყველა მათგანი ამტკიცებს, რომ ორიგინალთან ახლოსაა.

## აღმოსავლეთის ტაძრის ორდენი

ეს ორგანიზაციაც ჰგავს მასონურს, მაგრამ მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის, „დიდი მხეცის", **ალისტერ კროულის** გავლენით, ასევე შეტანილია რელიგიური სისტემის — თელემას ელემენტებიც. თელემა დაფუძნებულია უბრალო კანონზე: „აკეთე ის, რაც გსურს". წევრებს ენიჭებათ სხვადასხვა ხარისხი გამოცდილებასთან ერთად, ასევე ტარდება მაღალ დონეზე ორგანიზებული რიტუალები. ამჟამად მსოფლიო მასშტაბით ორდენს 3000-მდე წევრი ჰყავს.


აღმოსავლეთის ტაძრის ორდენი

კროულიმ ორდენის წევრებისგან შექმნა მასა, რომელსაც უწოდა „გნოსტიკური მასა". რიტუალების დროს ადიდებენ ბუნების ძალებს. აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ქალწული ქურუმები, ბავშვები და მღვდლები. მოუწოდებენ ბევრ უძველეს ღვთაებას, ძირითადად ეგვიპტურებს, ასევე ლუციფერს. ქურუმი კი ამ დროს შიშვლდება და სარიტუალო მოძრაობებს ასრულებს.

## ოქროს განთიადის ჰერმეტული ორდენი

ორდენის ფუძემდებელნი არიან დოქტორი **უილიამ რობერტ ვუდმენი, უილიამ ვაინ ვესტკოტი და სამუელ ლიდელ მაკგრეგორ მატერსი.** სამივე მათგანი იყო თავისუფალი მასონი და ინგლისური როზენკრეიცერების საძმოს წევრი (რომელსაც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირი აქვს მასონებთან). ბევრი მკვლევარის მიერ მიჩნეულია, რომ ამ ორდენის წევრებმა ჩაუყარეს საფუძველი ოკულტური ჯგუფების უმეტესობას.

ოქროს განთიადის ჰერმეტული ორდენის წევრთა რწმენის სისტემა დაფუძნებულია ქრისტიანულ მისტიციზმზე, კაბალაზე, ჰერმეტიციზმზე, უძველეს ეგვიპტურ რელიგიებზე, თავისუფალი მასონების იდეოლოგიაზე, ალქიმიაზე, თეოსოფიაზე, მაგიასა და რენესანსის პერიოდის ნაშრომებზე. ყველაზე ცნობილი წევრები არიან უილიამ იეტსი და ალისტერ კროული.

ორდენის ფუნდამენტური დოკუმენტები ცნობილია, როგორც შიფრის დოკუმენტები. მათში ასახულია მაგიური რიტუალები. რიტუალთა უმეტესობა, როგორც ჩანს, სათავეს იღებს როზენკრეიცერებიდან.


ოქროს განთიადის ჰერმეტული ორდენი



## ტაძრის რაინდები

ორგანიზაციის სრული სახელია: ტაძრის, წმინდა იოანე იერუსალიმელის, პალესტინის, როდოსისა და მალტის გაერთიანებული რელიგიური, სამხედრო და მასონური ორდენი. ეს არის თანამედროვე ორგანიზაცია, რომელსაც კავშირი არ აქვს ტამპლიერებთან — ორგანიზაციასთან, რომელიც XII საუკუნეში შეიქმნა. მის წევრებს ამაზე არც აქვთ პრეტენზია, მათგან მხოლოდ იდეები და სიმბოლოები ისესხეს. ორდენის წევრი რომ გახდეთ, უნდა იყოთ ქრისტიანი ოსტატი მასონი. თავისუფალი მასონები უარყოფენ, რომ ტაძრის რაინდებთან რაიმე აკავშირებთ, თუმცა შეინიშნება აშკარა მსგავსება წყობასა და იერარქიაში. ასევე არიან მასონები, არამასონები და ანტიმასონებიც კი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეს ორი ორგანიზაცია ერთმანეთთან თანამშრომლობს.

## ბილდერბერგის ჯგუფი

ეს ჯგუფი იმით განსხვავდება ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციებისგან, რომ არ აქვს წევრთა ოფიციალური სია. სახელი უწოდეს მისმა ყველაზე გავლენიანმა წევრებმა, რომლებიც წელიწადში ერთხელ აწყობენ შეხვედრას. **ბილდერბერგის ჯგუფი შეიქმნა 1954 წელს, ამავე წელს შედგა პირველი შეხვედრაც ჰოლანდიის სასტუმრო ბილდერბერგში. საკითხები, რომლებიც შეხვედრებზე განიხილება, საიდუმლოდ ინახება. შეხვედრის ადგილები, როგორც წესი, 5-ვარსკვლავიანი სასტუმროებია მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. დასწრება მხოლოდ მოსაწვევითაა შესაძლებელი.**

ჯგუფი აერთიანებს ძალაუფლების მქონე ადამიანებს პოლიტიკიდან, ბიზნესიდან, საბანკო, სამხედრო და მედიის სფეროებიდან. შესაბამისად, ორგანიზაცია მათი მფარველობით სარგებლობს. ვისაც აქვს ბედნიერება და სხდომას დაესწრება, წინასწარ დებს ფიცს, რომ არ გათქვამს უმნიშვნელო დეტალსაც კი, რომელსაც იქ მოისმენს. ალბათ, იმის თქმა საჭირო აღარაა, რომ ბილდერბერგის ჯგუფის შესახებ უამრავი შეთქმულების თეორია და მოსაზრება არსებობს.


ბილდერბერგის ჯგუფი




## სიონის პრიორატი

დენ ბრაუნის „და ვინჩის კოდის" გამოსვლის შემდეგ სიონის პრიორატის მიმართ საზოგადოების ინტერესი გაიზარდა. საერთოდ, სიონის პრიორატი ეწოდება რამდენიმე სხვადასხვა ორგანიზაციას, რომელთაგან ზოგი ფიქტიურია, ზოგიც — ასე თუ ისე რეალური. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის 1956 წელს საფრანგეთში პიერ პლანტარდის მიერ აღმოჩენილი ორგანიზაცია, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, შექმნა გრაფმა **გოდფრუამ.** პრიორატის არქივების მიხედვით, მათ წვლილი მიუძღვით ტამპლიერების ორდენის შექმნაში და მათი მართვაც, ძირითადად, აქედან ხორციელდებოდა.

**სიონის პრიორატმა რამდენიმეჯერ გამოაქვეყნა განცხადება, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ მათთან ინახება წმინდა გრაალი, ტამპლიერების განძი და მრავალი საკრალური ნივთი, მაგრამ მათი ჩვენება საზოგადოების წინაშე მოხდება მაშინ, როცა ამას თავად გადაწყვეტენ, რადგან განძთან ერთად იქ ინახება უძველესი ცოდნაც. პრიორატის ჩანაწერების მიხედვით, მისი ცნობილი წევრები იყვნენ: ნიკოლა ფლამელი, სანდრო ბოტიჩელი, ლეონარდო და ვინჩი, რობერტ ბოილი, ისააკ ნიუტონი, ვიქტორ ჰიუგო.**

## ოპუს დეი, ანუ ღმერთის ნაშრომი

ოპუს დეი არის კათოლიკური ორგანიზაცია, რომლის წევრებიც მიიჩნევენ, რომ ყველა ადამიანი წმინდაა და ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა გზა სიწმინდისკენ. ორდენი დაარსდა ესპანეთში 1928 წელს კათოლიკე მღვდლის — ჯოზემარია ესკრივას მიერ, რომის პაპ პიუს XII-ის კურთხევით.

„და ვინჩის კოდში" დენ ბრაუნი ირწმუნებოდა, რომ ოპუს დეი არის საიდუმლო ორგანიზაცია კათოლიკე ეკლესიის შიგნით, რომლის მიზანია, დაშალოს სიონის პრიორატის საზოგადოება და საზოგადოებას ამცნოს ჭეშმარიტება ქრისტიანობის რეალური არსის შესახებ. დენ ბრაუნამდე და მის შემდეგ ბევრჯერ ყოფილა კამათი ამ ორგანიზაციის თაობაზე, მათი განსაკუთრებულად მკაცრი რელიგიური სტრუქტურის გამო.

**ორგანიზაცია ოპუს დეის წევრთა უმეტესობა საერო პირები არიან. ისინი ადამიანებს მიიჩნევენ ნაშრომად, ღმერთის შემოქმედების ნაყოფად, ამიტომაც ეწოდა ორგანიზაციას ეს სახელი. 2009 წელს წევრების რაოდენობამ 90 ათასს მიაღწია, მათგან 2000 მღვდელია. 70%-ს ოჯახი ჰყავს, დანარჩენი 30% კი ცელიბატია.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სალათის ფურცლის მიღება დადებითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის სისტემაზე, სასარგებლოა ათეროსკლეროზის დროს, მწყობრში მოჰყავს ნერვული სისტემა, ხსნის მუდმივ გონებრივ დაძაბულობას და აუმჯობესებს მეხსიერებას, ეფექტიანია უძილობის დროს.**

# როგორ გამოვდევნოთ საკვებიდან ქიმიკატები

**ჯანმრთელობას უმთავრესად განაპირობებს სწორი კვება. სწორი რაციონალური კვება ორგანიზმის ყველა სისტემის ნორმალური ფუნქციობის საწინდარია. დღეს ძნელია, ბაზარზე იპოვო სრულიად ჯანსაღი საკვები, ვინაიდან ამა თუ იმ პროდუქტის ფართო მოხმარებამ, კომერციული თვალსაზრისით, გაზარდა მასში ქიმიკატების — ნიტრატებისა და პესტიციდების დონე. არსებობს ხერხები, რომელთა საშუალებითაც მაქსიმალურად გამოდევნით ამა თუ იმ ხილიდან და ბოსტნეულიდან ორგანიზმისთვის მავნე ქიმიკატებს.**



## კომბოსტო

ერთ-ერთი საჭირო ბოსტნეულია სამზარეულოში, რომელიც შეიცავს ძალიან დიდი რაოდენობით ცილას. კომბოსტო აუცილებელია თირკმელების სწორი მუშაობისთვის, ფარისებრი ჯირკვლისა და სისხლისთვის. მდიდარია U ვიტამინით, რომლის წყალობით შეუძლია მოაშუშოს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წლული, წყლულოვანი კოლიტი, გასტრიტი და ნაწლავების დაავადებები. ასევე მდიდარია C, E, $B_1$, $B_2$, $B_3$, P, PP და H ვიტამინებით, რომლებიც ხელს უწყობს სისხლის შედედებას, ჭრილობის დროულად შეხორცებას, ძვლების ფორმირებასა და კბილების სიჯანსაღეს, თუმცა მასში შემავალი ნიტრატები საზიანოა ჩვენი ჯანმრთელობისთვის. ამიტომ გამოყენების წინ კომბოსტოს გარეთა ფურცლები (3-4 ცალი) შემოაცალეთ და არ გამოიყენოთ, ასევე ღრმად ამოაჭერით მთელი შიგთავსი და გადააგდეთ, რადგან მათში უფრო მეტია ნიტრატების შემცველობა. ასევე კარგი იქნება თუ გამოყენებემადე გამდინარე წყლის ქვეშ კარგად გარეცხავთ.

## სალათის ფურცელი, ოხრახუში, კამა და სხვა მწვანილი



**სალათის** ფურცლის მიღება დადებითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის სისტემაზე, სასარგებლოა ათეროსკლეროზის დროს, მწყობრში მოჰყავს ნერვული სისტემა, ხსნის მუდმივ გონებრივ დაძაბულობას და აუმჯობესებს მეხსიერებას, ეფექტიანია უძილობის დროს. კვლევებმა დაადასტურა, რომ ამ ტიპის მცენარე ეხმარება მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს მკერდის კიბოს რისკის შემცირებაში.



**კამა** C ვიტამინს, კალიუმსა და საკმაოდ ბევრ რკინას შეიცავს, ამიტომ ძალიან კარგია ანემიის დროს. კამა სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის სხვადასხვა დარღვევისას. ამიტომ არის, რომ ჩვილებს მუცლის შებერვის თავიდან ასაცილებლად კამის წყალს უნიშნავენ. ამავე მიზნით კამის წყალი შეიძლება ბავშვებმა და მოზრდილებმაც მიირთვან. კამას იყენებენ გულის რიტმის დარღვევის, ჰიპერტონული დაავადების სამკურნალოდ და ათეროსკლეროზული პროცესების შესაფერხებლად.



**ოხრახუშის** ფოთლებში კალციუმი, რკინა, ფოსფორი გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ბოსტნეულში. გარდა ამისა, ოხრახუში C ვიტამინის უხვი შემცველობით გამოირჩევა. ასკორბინის მჟავა მასში სამჯერ მეტია, ვიდრე ლიმონში. ოხრახუში კალიუმსა და ნატრიუმსაც შეიცავს, ამიტომ განსაკუთრებით მათთვისაა სასარგებლო, ვისაც გულის, თირკმელების, შარდის ბუშტის პათოლოგიები აწუხებს.

საზოგადოდ, სხვა ნებისმიერ მწვანილშიც ვიტამინები და სასარგებლო ნივთიერებები გაცილებით მეტია, ვიდრე ბოსტნეულში, თუმცა აქაც ნიტრატებისა და სხვა ქიმიკატების პრობლემაა და მწვანილში გაცილებით დიდი, ვინაიდან მწვანილების ღეროვან უჯრედებში მათი დიდი ნაწილი ღრმად და კარგად ჯდება, ამიტომ გამოყენებამდე 1 საათზე მეტ ხანს გარეცხეთ გამდინარე წყლის ქვეშ.



## კარტოფილი

ის პრაქტიკულად ყველა ამინომჟავას, ფოსფორს, კალიუმს, C ვიტამინს შეიცავს. სასარგებლოა თირკმლისა და გულის დაავადებების სამკურნალოდ, მისი ხშირი მიღება ხელს უწყობს ქოლესტერინის შემცირებას ღვიძლში და ორგანიზმის მიერ ზედმეტი წყლის შეწოვას. ეხმარება ორგანიზმს სიმსივნის დათრგუნვაში. უმად ჭამა სასარგებლოა ათეროსკლეროზის, გულძმარვის, შეკრულობისა და გასტრიტის დროს. თუმცა, ამ სარგებელთან ერთად, დღევანდელი კარტოფილის კანი და გული უხვადაა გაჯერებული ნიტრატებითა და სხვა ქიმიკატებით, რაც, ცხადია, მავნებელია ჩვენი ორგანიზმისთვის, ამიტომ კარგი იქნება, თუ კარტოფილს გავფცქვნით, წამოვადუღებთ სუფთა წყალში, გადავღვრით ამ წყალს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიყენებთ საკვებად.



## პომიდორი

შეიცავს გლუკოზას, ფრუქტოზას, კალიუმის მარილებს, მაგნიუმს და რკინას, იცავს საკვერცხეებსა და სარძევე ჯირკვლებს კიბოს განვითარებისგან. გამოიყენება შარდსასქესო, ათეროსკლეროზის, კუჭ-ნაწლავის, გულის, ღვიძლისა და სისხლძარღვების დაავადებების დროს. თუმცა, რაც უფრო სქელი აქვს კანი პომიდორს, მით უფრო ქიმიურია და არასოდეს იყიდოთ პომიდორი, რომლის შეფერილობა წითელ-ნარინჯისფერია. თუ პომიდვრის რბილობი მოთეთრო ფერისაა და შიგნიდან ღეროვანია, ეს არის სიგნალი იმისა, რომ მასში ბევრია ნიტრატი. ამიტომ, შემთხვევით თუ ასეთი გამოგადგათ ნაყიდი პომიდორი, 1 საათის განმავლობაში გააჩერეთ ჩვეულებრივ ცივ წყალში, რათა ნაწილობრივ მაინც გამოდევნოთ მასში შემავალი ქიმიკატები.



## ყაბაყი, კიტრი და ბადრიჯანი



**ყაბაყი** შეიცავს ცილებს, ნახშირწყლებს, შაქარს, ვიტამინ C-ს. მისი პიურე რეკომენდებულია ათეროსკლეროზისა და ყაზბობის, გასტრიტებისას (კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებისას). საკმაო რაოდენობით შეიცავს რკინას. კარგია ანემიის, სისხლის შედედების დაქვეითების დროს. დიდი რაოდენობით შეიცავს კალიუმის მარილებს, ამიტომ სასარგებლოა ჰიპერტონული და გულის დაავადებების დროს.



**კიტრი** შეიცავს ნახშირწყლებს, მინერალურ და აზოტოვან ნივთიერებებს, მასში შედის ნატრიუმი, კალიუმი. ის შარდმდენია და საუკეთესო საშუალებაა წნევით დაავადებულთათვის. კიტრი შეკრულობის საწინააღმდეგოა. შეიცავს იოდს და კარგია ჩიყვით დაავადებულთათვის, იოდის შესავსებად. კარგია ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისთვის. საკმაო რაოდენობით შეიცავს თუთიას, რაც აუცილებელია კუჭქვეშა ჯირკვლის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ხელს უშლის თირკმელში მავნე მარილების დაგროვებას. მისი წვენი გამოიყენება სახის კანის გასაწმენდადაც.



**ბადრიჯანი** მდიდარია კალიუმით, რაც ხელს უწყობს გულის ფუნქციის აღდგენასა და ორგანიზმში მჟავე-ტუტიანობის ბალანსს. ასევე შეიცავს რკინასა და სპილენძს, რაც უწყობს ხელს სისხლს გაუმჯობესებაში. შეიცავს ასევე ასკორბინის მჟავასა და B ვიტამინის მთელ კომპლექსს. ბუნებრივი ანტიბიოტიკია და ეხმარება ორგანისმს, გაუმკლავდეს სხვადასხვა დაავადებას.

ამ ბოსტნეულის შეძენისას ყურადღება უნდა მიაქციოთ შემდეგს: ბუნებრივად სასარგებლო კიტრი უნდა იყოს სალათისფერი, ღია მწვანე შეფერილობის, თუ ის მუქი მწვანეა, ე.ი. მასში უხვადაა ნიტრატები. ბადრიჯანს და ყაბაყს, სამწუხაროდ, ფერის მიხედვით ვერ განვსაზღვრავთ, რამდენად სასარგებლოა, ამიტომ გამოყენების წინ კარგად მოაჭერით თავი და ბოლო, ვინაიდან ნიტრატები უხვი რაოდენობით სწორედ მის დაბოლოებებშია და დიდხანს გარეცხეთ გამდინარე წყლის ქვეშ.



## ყურძენი

ყურძნის წვენი შეიცავს შაქარს, ასკორბინისა და ორგანულ მჟავებს, პექტინებს, მინერალებს, ფერმენტებს, B, E, C ვიტამინს, კალიუმს. ახდენს აღდგენით და მატონიზირებელ ეფექტს. B ვიტამინის შემცველობის გამო, მისი ყოველდღიური მიღება ორგანიზმს ეხმარება სტრესის მოხსნაში. ამაგრებს ფრჩხილებსა და თმას, ანიჭებს კანს ელასტიურობას, ებრძვის ბაქტერიებს.

იმის გამო, რომ დიდხანს შეინარჩუნოს ბუნებრივი იერი, ყურძენს უმატებენ ფუნგიციდებს, რაც მავნებელია ჩვენი ორგანიზმისთვის, ამიტომ, თავი რომ დავაღწიოთ ამ მავნებლებს, უბრალოდ, საჭიროა, დიდი ხნის მანძილზე გავრეცხოთ გამდინარე წყლის ქვეშ და მხოლოდ ამის შემდეგ მივირთვათ.



**ტვინის მარცხენა ნახევარსფერო აკონტროლებს მეტყველებასა და ინტელექტუალურ საქმიანობას, ხოლო მარჯვენა ნახევარსფერო — ემოციებს, წარმოსახვასა და სენსორულ საქმიანობებს.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტაფილო, ჭარხალი და ბოლოკი



**სტაფილო** შეიცავს ვიტამინებს — A, $B_1$, $B_2$, C. $E_1$, P, კალციუმს, იოდს, ნატრიუმს, რკინას, დიდი რაოდენობით კაროტინს. მიიღება დიეტების დროსაც. შეგიძლიათ მიირთვათ 2-3 ცალი საშუალო ზომის სტაფილო ორგანიზმის გაწმენდისთვის. ის, ამავე დროს, ხელს უშლის ორგანიზმში სოკოს სპორების გამრავლებას. სადილში უმჯობესია ჩაემატოს ხარშვის დასრულებამდე 10 წუთით ადრე.



**ჭარხალი** შეიცავს A და B ვიტამინებს და დიდი რაოდენობით შაქარს. მის მიღებას დიაბეტიან პაციენტებს არ ურჩევენ. კარგია ათეროსკლეროზის, მაღალი წნევის სამკურნალოდ. სასარგებლოა დაბალი გემოგლობის დროსაც. მისი ფოთლები კარგია გულის მუშაობისთვის. ის ასევე შარდმდენია.



**ბოლოკი** შეიცავს ფერმენტებს, მინერალურ ნივთიერებებს, მარილებს — კალიუმს, Na, Ca, Mg, Fe. ამიტომ, თუ ადამიანი დაავადებულია წყლულით, გასტრიტით, ფაღარათით, პოდაგრით, ღვიძლისა და თირკმლის დაავადებებით, მისი მიღებისას სიფრთხილე გვმართებს. კარგი ამოსახველებელი საშუალებაა თაფლთან ან შაქართან ერთად. აქვს ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება და საუკეთესოა კუჭის შეკრულობისას.

ამ ბოსტნეულის ფესვებში ბევრია ნიტრატი, ამიტომ გამოყენებამდე კარგად მოაჭერით ძირი და ეცადეთ მოლუნული ფორმის (კუდიანი) არ შეიძინოთ არც ერთი მათგანი. კარგი იქნება, თუ სტაფილოს ძირს 1 სმ-ით მოაჭრით, ხოლო თუ მეტ ნაწილზე ახლავს მწვანე შეფერილობა, მაშინ ის მთლიანად მოკვეთეთ, ვინაიდან სწორედ მწვანე შეფერილობაა დასტური იმისა, რომ მასში ქიმიკატებია.



# საზამთრო

გარდა იმისა, რომ ზაფხულში მისი მირთმევა მეტად სასიამოვნო პროცესია, ამასთანავე, ის ძალიან სასარგებლო ხილია და კარგი საშუალებაა ართრიტის, ათეროსკლეროზის, გასტრიტის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ანემიის, გულის დაავადებების, შარდსასქესო ორგანოებისა და თირკმელების დაავადებების, სიმსუქნისა და უშვილობის დროს. აუმჯობესებს რეფლექსებსა და კანის ფერს, წმენდს ორგანიზმს ტოქსინებისგან. თუმცა არასოდეს არ უნდა შევიძინოთ საზამთრო, თუ ის შუაზეა გაჭრილი და ცელოფანი აქვს გადაკრული, ვითომდა ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით. სინამდვილეში ასე უფრო მალე ვრცელდება მასში ბაქტერიები და მიკროორგანიზმები. ასევე, თავი შეიკავეთ ისეთი საზამთროს ყიდვისგან, რომელსაც მწვანესთან ერთად ბევრი ყვითელი ზოლი დასდევს, ვინაიდან ეს მაჩვენებელია იმისა, რომ იგი ქიმიკატებითაა მოყვანილი. ამასთანავე, შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტი, რომლის საშუალებითაც დაადგენთ, მხოლოდ ბუნებრივი პირობებითაა მოყვანილი თუ არა საზამთრო: დაჭრის შემდეგ, საზამთროს კანის პატარა ნაწილი ჩადეთ 1 წუთის განმავლობაში ერთ ჭიქა სუფთა წყალში. თუ წყალმა ფერი იცვალა, ესე იგი, მასში ნიტრატები და სხვა ქიმიკატებია; ხოლო თუ წყალი დარჩა იმავე შეფერილობის, ის სასარგებლო ღირებულებებს ატარებს.

# როგორ გამოვიცნოთ განწყობა

**სახის გამომეტყველება ადამიანთა გრძნობებისა და ხასიათის მაჩვენებელია. სახეზე ყველაზე იოლი ამოსაცნობია ადამიანთა დადებითი ემოციები — სიხარული, სიყვარული თუ გაოცება; რთული ამოსაცნობია, როგორც წესი, უარყოფითი ემოციები — მწუხარება, აღშფოთება და ზიზღი. აი რამდენიმე მინიშნება თანამოსაუბრის ემოციების გასაშიფრად:**



***გაოცება** — აწეული წარბები, ფართოდ გახელილი თვალები ძირს დაშვებული ტუჩები, დაღებული პირი.

***შიში** — აწეული წარბები, ფართოდ გახელილი თვალები, ჩამოშვებული და უკან გაწეული ტუჩი, პირი შესაძლოა ღიაც იყოს.

***მრისხანება** — წარბები დაშვებული, პირი მომუწული, კბილები მჭიდროდ დაჭერილი.

***ზიზღი** — წარბები დაშვებული, ცხვირი შეჭმუხნილი, ქვედა ტუჩი გადმოწეული და ზედ დაბჯენილი ქვედა ტუჩი.

***მწუხარება** — ჩამქრალი თვალები, სამკუთხედი ტუჩი ოდნავ დაშვებულ მდგომარეობაში.

***ბედნიერება** — წყნარი თვალები, ტუჩის ბოლოები აწეული.

ფოტოგრაფებისა და მხატვრებისათვის ცნობილია, რომ ადამიანის სახე ასიმეტრიულია და შესაბამისად მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე განსხვავებულად აისახება ემოციები. ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ სახის სხვადასხვა მხარე ტვინის სხვადასხვა ნახევარსფეროთი კონტროლდება.

ტვინის მარცხენა ნახევარსფერო აკონტროლებს მეტყველებასა და ინტელექტუალურ საქმიანობას, ხოლო მარჯვენა ნახევარსფერო — ემოციებს, წარმოსახვასა და სენსორულ საქმიანობებს. მართვის კავშირები გადაჯვარედინდება, კერძოდ, **ტვინის მარცხენა ნახევრსფეროს მუშაობა აისახება სახის მარჯვენა ნაწილზე, ხოლო მარჯვენა ნახევარსფეროს მუშაობა კი — სახის მარცხენა ნაწილზე.**

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ დადებითი ემოციების ასახვა ხდება მეტ-ნაკლებად თანაბრად სახის ორივე ნაწილზე, ხოლო უარყოფითი ემოციები მეტწილად აისახება სახის მარჯვენა ნაწილში.

ამდენად, **მომგებიანია, თანამოსაუბრესა და პარტნიორს მეტწილად და ინტერესით დააკვირდეთ სახის მარჯვენა ნაწილში, მაგრამ ვინაიდან ორივე ნახევარსფერო მუშაობს ერთდროულად, ეს განსხვავებები მხოლოდ წვრილმანებში ვლინდება.**

# სურდოსთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდი

**თუ გაწუხებთ სურდო და გჭირდებათ ინჰალაცია, ძვირად ღირებული ინჰალატორების ნაცვლად გამოიყენეთ მარტივი ინჰალატორი, რომლის დამზადებაც სახლში ყველას შეუძლია.**



ამისათვის დაგჭირდებათ ისეთი ჭურჭელი, რომელშიც წყალს გააცხელებთ, 3-4 ჩაის კოვზი სოდა და სურვილისამებრ დამატებით სასიამოვნო სურნელისთვის ან სოდის სუნის გასანეიტრალებლად პიტნას ან სხვა საშუალებას.

**მომზადების წესი:** აადუღეთ წყალი, ჭურჭელი გადმოდგით მაგიდაზე და ჩაყარეთ სოდა (პიტნასთან ერთად, თუ გნებავთ), მიიტანეთ სახე ანადუღარ სითხესთან ახლოს, გადაიფარეთ პირსახოცი ისე, რომ თავსაც და ჭურჭელსაც ფარავდეს და ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ რამდენჯერმე. შემდეგ გადაიძრეთ პირსახოცი და გაიმეორეთ იგივე რამდენჯერმე.



# ყველაზე ნიჭიერი



**12 წლის ბრიტანელმა გოგონამ ლიდია სებასტიანმა გაიარა „მენსა კატელის" ტესტი და 162 ქულა აიღო.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან აინშტაინზე მეტი IQ დააგროვა. ის თავისი შედეგით უსწრებს სტივენ ჰოუკინგსაც. როგორც ლიდიას მშობლები აცხადებენ, მათი შვილი ყოველ დღე 10 საათით მეცადინეობს. მას 2 კვირაში კვლავ ჩაუტერებენ ტესტს და ექსპერტები დაასკვნიან, შეცვლის თუ არა ეს პატარა გოგონა აინშტაინს.

# ვაშლი და მსხალი



**ვაშლი** შეიცავს უამრავ ვიტამინს: A, B, C, PP და 87% წყალს. სასარგებლოა ლიმფური სისტემის, ანემიის, ნივთიერებათა ცვლის მოსაწესრიგებლად. გამოიყენება ასევე რევმატიზმის, ათეროსკლეროზის, ქრონიკული ეგზემის, დაბალი წნევისა და გამკვრივებული სისხლძარღვების სამკურნალოდ.

**მსხალი** შეიცავს უამრავ ვიტამინს A, B1, B2, C, P, PP, E, გლუკოზას, ფრუქტოზას, საქაროზას, ფოლიუმის მჟავას, პექტინს, კაროტინს, მინერალებს, რკინას, მანგანუმს, იოდს, სპილენძს, კალიუმს, კალციუმს, უნიკალურ ეთერზეთებსა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უწყობს ორგანიზმს, თავდაცვის ფუნქცია გაიუმჯობესოს. აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და აღადგენს ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციას. გარდა ამ სარგებლიანობისა, ორივე ხილი, როგორც წესი, გაჯერებულია დიფენილით, რაც ხელს უწყობს მათ დიდხანს შენახვას და იცავს გაფუჭებისგან. თუ იყიდეთ ვაშლი ან მსხალი და იგრძენით ხელში, რომ მისი ნაყოფი თითქოს წებოვან-ტკბილია, ეს სწორედ დასტურია იმისა, რომ დიფენილს შეიცავს. აშშში სასტიკად აკრძალულია ამ ნივთიერების საკვებ პროდუქტებში გამოყენება, ვინაიდან ახასიათებს ძლიერი კანცეროგენული და ალერგიული თვისებები. ხოლო იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ეს ტოქსინები, უნდა მივირთვათ ნაყოფი გაფრცქვნილი, ვინაიდან დიფენილის უმეტესი რაოდენობა სწორედ მის კანში გროვდება.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



* 1903 წლის 17 დეკემბერს ძმებმა რაიტებმა — ორვილმა და უილბერმა — წარმატებით გამოსცადეს ჰაერზე მძიმე პირველი საფრენი აპარატი „ფლაიერი“. ძმებმა თვითმფრინავი გამოსცადეს ჩრდილოეთი კაროლინის შტატში, ქალაქ კილ-დევილ-ჰილში.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



*** 1879 წლის 21 დეკემბერს გორში დაიბადა სსრკ-ის გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოს პოლიტიკაზე, იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი).**

1894 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სემინარია და შევიდა თბილისის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში. მოგვიანებით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. იყო 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე. 1913 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ტურუხანსკში. 1917 წლის მარტში დაბრუნდა პეტროგრადში და აქტიურად მონაწილეობდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მომზადებაში. 1922 წლის აპრილში აირჩიეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

სტალინი აქტიურად მონაწილეობდა სსრკ-ის პოლიტიკის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საკითხების შემუშავებასა და განხორციელებაში.

სსრკ-ში სოციალიზმის გამარჯვებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურულ რევოლუციას, რომლის განხორციელებაშიც სტალინმა უდიდესი წვლილი შეიტანა.

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემდეგ ამავე წლის 19 ივლისს დაინიშნა სსრკ-ის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად. როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური, მონაწილეობდა სამი ქვეყნის — სსრკ-ის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის — კონფერენციებში: თეირანის (1943), იალტისა (1945) და პოტსდამის (1945).

უდიდესია სტალინის როლი ფაშიზმის დამარცხებასა და ჰიტლერელებისგან ევროპის გათავისუფლებაში. დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ სტალინმა რამდენიმე წელიწადში აღადგინა სსრკ-ის დანგრეული ეკონომიკა და განსაკუთრებით გაზარდა სსრკ-ის გავლენა მსოფლიოში. მრავალმხრივი ნიჭის მქონე იოსებ სტალინი იყო უამრავი შრომის ავტორი. დაწერილი აქვს ლექსებიც როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე.

მისი ცნობილი ლექსი „დილა“ („ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“) 1895 წლის 4 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“, რომელსაც ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა.

იოსებ სტალინი გარდაიცვალა 1953 წლის 5 მარტს. დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.



*** 1770 წლის 17 დეკემბერს** ბონში (გერმანია) დაიბადა გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი და პიანისტი, „ვენის კლასიკური სკოლის“ წარმომადგენელი **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი.** ბეთჰოვენი კლასიკური მუსიკის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია, მუსიკოსები ყველაზე ხშირად მის ნაწარმოებებს ასრულებენ.

ბეთჰოვენმა დაწერა 9 სიმფონია, 5 კონცერტი ფორტეპიანოსთვის ორკესტრთან ერთად; მუსიკა დრამატული სპექტაკლებისთვის: „ეგმონტი“; „კორიოლანი“; „მეფე სტეფანე“. 32 სონატა და 60 პიესა ფორტეპიანოსთვის, 10 სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის; ოპერა „ფიდელიო“ და სხვ.

გარდაიცვალა 1827 წლის 26 მარტს ვენაში.



*** 1858 წლის 22 დეკემბერს ქალაქ ლუკაში დაიბადა გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორი ჯაკომო პუჩინი (ჯაკომო ანტონიო დომენიკო მიკელე სეკონდო მარია პუჩინი).**

პუჩინის შექმნილია ოპერები: „მანონ ლესკო“; „ბოჰემა“; „ტოსკა“; „მადამ ბატერფლაი“ („ჩიო-ჩიო-სანი“); „ედგარი“; „ტურანდოტი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1924 წლის 29 ნოემბერს ბრიუსელში.



*** 1983 წლის 19 დეკემბერს რიო-დე-ჟანეიროში ჩაიდინეს დანაშაული, რომელსაც სპორტის სამყაროში „საუკუნის ქურდობა“ უწოდეს.** ამ დღეს რიო-დე-ჟანეიროს ცენტრში მდებარე ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის შენობიდან მოიპარეს ოქროს სტატუეტი — ნიკე (ჟიულ რიმეს თასი), რომელიც ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატებში სამჯერ გამარჯვებისთვის გადაეცა 1970 წელს. ეს ქურდობა ბრაზილიელებისთვის ეროვნული სირცხვილი და ტრაგედია იყო.

30 სმ სიმაღლის თასი, რომლის გადადნობაც მოასწრეს ბოროტმოქმედებმა, სუფთა ოქროსგან იყო დამზადებული და 1,8 კგ-ს იწონიდა.



*** 1926 წლის 20 დეკემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი რევაზ ინანიშვილი.**

1937 წელს ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943-45 წლებში მუშაობდა საავიაციო ქარხანაში, შემდეგ სწავლობდა საავიაციო ტექნიკუმში. 1947-49 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1949 წელს სწავლა მიატოვა სიდუხჭირის გამო და მუშაობა დაიწყო სამგორის არხის მშენებლობაზე. 1951 წელს კვლავ დაუბრუნდა სწავლას და 1956 წელს დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1960 წელს მუშაობა დაიწყო გამომცემლობა „ნაკადულში“. 1966 წელს სამუშაოდ გადავიდა „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილებაში. 1989 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1991 წლის 26 დეკემბერი) იყო ჟურნალ „დილას“ რედაქტორი.

რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებების კრებულებია: „მეგობრისადმი მიწერილი წერილებიდან“; „წვეთები ფოთოლზე“; „ცისფერი გორგალი“; „საღამო ხანის ჩანაწერები“; „ბარისკენ მიფრინავს ჯაფარა“; „ჩიტების გამომზამთრებელი“; „შორი თეთრი მწვერვალი“ და სხვ.

მისი სცენარებით გადაღებულია ფილმები:

„არდადეგები“; „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“; „ზაფხული სოფლად („პასტორალი“. თანაავტორი ოთარ იოსელიანი); „ნატვრის ხე“ (გ. ლეონიძის ნაწარმოებების მიხედვით. თანაავტორი — თენგიზ აბულაძე), „ქვიშანი დარჩებიანო“ (თანაავტორი — გიორგი შენგელაია).



*** 1939 წლის 22 დეკემბერს ოჩამჩირეში დაიბადა რუსეთში მოღვაწე კარდიოქირურგი, გამომგონებელი, პედაგოგი, პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლეო (ლეონიდ) ბოკერია.**

აკადემიკოსი ლეო ბოკერია მსოფლიოს კარდიოქირურგების იმ მცირერიცხოვანი ჯგუფის წარმომადგენელია, რომელიც გულის ნებისმიერ პათოლოგიაზე ატარებს ქირურგიულ ოპერაციას. მის მიერ გაკეთებულ ბევრ ოპერაციას ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ ლეო ბოკერიას ეკუთვნის 150-ზე მეტი პატენტი სხვადასხვა გამოგონებისთვის კარდიოლოგიაში. გამომგონებელს აქვს ათასამდე სტატია, მათ შორის, 100-ზე მეტი უცხოეთში. ლეო ბოკერია არის ფოთისა და თბილისის საპატიო მოქალაქე.



*** 1915 წლის 19 დეკემბერს** პარიზში დაიბადა ლეგენდარული ფრანგი მომღერალი და მსახიობი **ედიტ პიაფი** (ედიტ ჯოვანა გასიონი).

გარდაიცვალა 1963 წლის 10 ოქტომბერს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**მოიმატებს პრაქტიკულად ყველა ნიშნით დაბადებულთა ენერგიულობა. აქტუალური იქნება ფინანსური და კომერციული საკითხების მოგვარება. სასიკეთო პერიოდია მორიელისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**16 - 22 დეკემბერი ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

წარმატება გელით ფინანსურ სფეროში — შეძლებთ თქვენი ბიუჯეტის მნიშვნელოვნად შევსებას და საცხოვრებლის კეთილმოწყობას, მაგრამ შეიძლება დაუკმაყოფილებლობის განცდა გაგიჩნდეთ, რადგან სუბიექტური მიზეზების გამო შეფერხდება თქვენი განვითარება.

დიდი ცვლილებები გელით პირად ცხოვრებაში. საყვარელმა ადამიანმა დაქორწინება შეიძლება შემოგთავაზოთ.

მაღალია კუჭ-ნაწლავთა სისტემის დაავადებების გამწვავების ალბათობა. მოერიდეთ ალკოჰოლსა და ცხიმიან საკვებს.

**დადებითი დღე: 16 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 22 დეკემბერი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

თუ იფიქრებთ, რომ ვითარებას აკონტროლებთ და საქმეებში ჩარევა საჭირო აღარ არის, ყველაფერი თავზე დაგემხობათ. აქტიურად იმოქმედეთ, მუხლჩაუხრელად იშრომეთ და დასახულ მიზნებს აუცილებლად მიაღწევთ.

საოჯახო საქმეების მართვა საყვარელ ადამიანს მიანდეთ. ოჯახის უმცროს წევრებზე ზრუნვის შედეგი საუცხოო ატმოსფერო და მხიარული განწყობა იქნება.

მაღალია ვირუსული დაავადების გამწვავების ალბათობა.

განსაკუთრებით გაუფრთხილდით ყელს.

**დადებითი დღე: 21 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 დეკემბერი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

მოსალოდნელია მცირე უსიამოვნებები, მაგრამ, თუ ხელებს ჩამოუშვებთ, ეს უსიამოვნებები დიდ პრობლემებში გადაიზრდება. მოთოკეთ ემოციები, ცივი გონებით იმოქმედეთ და შეძლებთ, დაადგეთ იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნებამდე მიგიყვანთ.

მარტოხელა ტყუპებს პირად ცხოვრებაში სიურპრიზი ელით. შესაძლოა, სიყვარულში გამოგიტყდეთ ისეთი ადამიანი, რომლისგანაც არ ელოდით.

ამჟამად თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ, თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, მკურნალობის არატრადიციულ მეთოდებს მიმართეთ.

**დადებითი დღე: 16 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 20 დეკემბერი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

მიუხედავად იმისა, რომ პირად ცხოვრებასა და საქმიანობაში, ისეთ შედეგებს ვერ მიაღწევთ, როგორსაც ელოდით, მაინც განაგრძეთ სვლა დასახული მიზნებისკენ, რადგან უკან დახევა კატასტროფის ტოლფასი იქნება. ნუ განეწყობით უარყოფითად სიახლეების მიმართ — თამამად ჩაერთეთ ექსპერიმენტებში.

მარტოხელა კირჩხიბებს ელის დაუვიწყარი რომანტიკული თავგადასავალი, მაგრამ გატაცება შეიძლება, ხანმოკლე აღმოჩნდეს.

მაღალია შარდ-სასქესო ორგანოების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 17 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 დეკემბერი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

სტაბილური პერიოდია. როდესაც არჩევანის წინაშე დადგებით, შეძლებთ სწორი გადაწყვეტილების მიღებას. უწინარესად კი ფინანსური პრობლემები მოაგვარეთ. კოლეგებისადმი პატივისცემის გამოჩენა მათ კეთილგანწყობას გამოიწვევს, რაც კმაყოფილებას მოგგვრით.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესანიშნავად წარიმართება, თუ მის მოთხოვნებსაც გაითვალისწინებთ. კარგი იქნება, თუ ერთად იმოგზაურებთ.

განწყობის გასაუმჯობესებლად დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით ან დრო მხიარული ადამიანების გარემოცვაში გაატარეთ.

**დადებითი დღე: 16 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 18 დეკემბერი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

დადგა წარსულში დაშვებული შეცდომების გაანალიზების დრო. გაითვალისწინეთ, რომ პარტნიორის არჩევისას აქცენტი მის თქვენდამი ერთგულებაზე კი არა, გამოცდილებაზე, ცოდნასა და საქმისადმი ერთგულებაზე უნდა გააკეთოთ. მხოლოდ ასე შეძლებთ პრობლემებთან გამკლავებას და დასახულ მიზნებამდე მიღწევას.

დაქორწინებული ქალწულები შეიძლება დილემის წინაშე აღმოჩნდნენ — ან ოჯახური სიმყუდროვე და საყვარელ ადამიანთან მშვიდი ურთიერთობა, ან დაძაბული მუშაობა და კეთილდღეობაზე ზრუნვა. დროის უქონლობის გამო ორივეს ერთდროულად ვერ მოახერხებთ, ამიტომ სჯობს, მეტი ყურადღება ოჯახს დაუთმოთ.

მოერიდეთ ალკოჰოლს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 16 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 22 დეკემბერი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

მოიმატებს თქვენი თვითდაჯერებულობა და ნებისმიერ საქმეს წარმატებით გაართმევთ თავს. საქმეების წარმატებით დასრულება კი თქვენს ბიუჯეტზეც დადებითად აისახება. არ არის გამორიცხული, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

თქვენი ოჯახური იდილია შეიძლება დაარღვიოს საყვარელ ადამიანთან ურთანხმოებამ მოვალეობების განაწილების საკითხზე, მაგრამ კომპრომისულ გამოსავალს აუცილებლად მოძებნით.

აკონტროლეთ არტერიული წნევა და შეეცადეთ, მეტი დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 21 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 დეკემბერი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

თქვენი გულმოდგინე მუშაობა შედეგს გამოიღებს და ფინანსურ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ. დროა, დაიწყოთ საახალწლო სამზადისი. იყიდეთ საჩუქრები ახლობლებისთვის და არც საკუთარი თავი დაივიწყოთ.

თუ საყვარელ ადამიანთან უთანხმოება გაქვთ, ახლა საუკეთესო დროა მის მოსაგვარებლად.

თქვენი დახმარება შეიძლება დასჭირდეს ნათესავს და უარს ნუ ეტყვით.

მაღალია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა;

**დადებითი დღე: 18 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 21 დეკემბერი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

თქვენ გარშემო სასიამოვნო მოვლენები განვითარდება. გაგიჩნდებათ ცოდნისა და უნარების საჭირო მიმართულებით გამოყენების შესაძლებლობა და ამ შესაძლებლობით აუცილებლად უნდა ისარგებლოთ. კოლეგები და ხელმძღვანელობა თქვენში ახალ თვისებებს დაინახავენ და მეტად დაგაფასებენ. მეტი ყურადღება დაუთმეთ საყვარელ ადამიანს. ნუ გაღიზიანდებით, თუ ის გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად მიიღებს.

თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ, თუ ჭარბი წონა გაწუხებთ, აუცილებლად დაიტვირთეთ ფიზიკურად და დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 21 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 18 დეკემბერი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

სიჯიუტე და შეუპოვრობა იმ პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ, რომელთა წინაშეც ბოლო დღეებში აღმოჩნდით. ძალები მოიკრიბეთ და დასახული მიზნებისკენ შეუპოვრად იარეთ.

საყვარელი ადამიანის საქციელმა შეიძლება ძალიან დაგწყვიტოთ გული, მაგრამ მას საყვედურებით ნუ აავსებთ. შეეცადეთ, დაელაპარაკოთ და თქვენი გულისტკივილის მიზეზები მშვიდად აუხსენით.

მაღალია ტრავმირების ალბათობა. გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას.

**დადებითი დღე: 21 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 დეკემბერი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

ბევრი საქმე დაგიგროვდებათ და მათ წარმატებით დასასრულებლად დიდი ძალისხმევის გამოჩენა დაგჭირდებათ, მაგრამ შედეგები სასიხარულო იქნება. სასიკეთო პერიოდია ახალი პროექტების დასაწყებად. იდეების განსახორციელებლად კი დახმარება გავლენიან ადამიანებს სთხოვეთ.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან ან უახლოეს ნათესავთან უთანხმოების მოსაგვარებლად. შეეცადეთ, შობა-ახალი წლის დღესასწაულზე სიხარული მოჰგვაროთ ახლობელ ადამიანებს.

იმ მერწყულებმა, რომლებსაც ღვიძლი აწუხებთ, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 22 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 18 დეკემბერი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

შესაძლოა, იფიქროთ, რომ ის, რასაც მიაღწიეთ, საკმარისი არ არის. გაგიჩნდებათ ახალი საქმის დაწყების დაუოკებელი სურვილი, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ იდეების განსახორციელებლად ფინანსები და თანამოაზრეთა მხარში ამოდგომა დაგჭირდებათ. თავი შეიკავეთ გარშემო მყოფთა გაკრიტიკებისგან, ნუ მოსთხოვთ იმაზე მეტს, რაც მათ შესაძლებლობებს აღემატება.

დაქორწინებული თევზების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან მშვიდად, უპრობლემოდ წარიმართება, მარტოხელა თევზებს კი ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც შეიძლება მგზნებარე რომანში გადაიზარდოს.

მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი

**დადებითი დღე: 19 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 17 დეკემბერი.**

# სამშობლოს გრძნობა — გასაკვირველი!..

**წერილის სათაურად გამოტანილი გალაკტიონის ლექსის ეს სტრიქონი ამეკვიატა მხატვარ ელგუჯა ჩაჩავას გამოფენის დათვალიერებისას, რადგან აქ გამოფენილ 120-მდე ფერწერულ, გრაფიკულ თუ სცენოგრაფიულ ნამუშევარს, შეიძლება ითქვას, ერთიანად მშობლიური მიწის სურნელი, საქართველოს წარსული თუ დღევანდელობა, მისი სულიერება, მისი ადამიანების ხიბლი ასაზრდოებს.**
**გუჯა ჩაჩავას, მართლაც მოჭარბებული აქვს „სამშობლოს გრძნობა — გასაკვირველი“...**



უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს მხატვართა კავშირის საგამოფენო სივრცეს. ეს უკვე მეხუთე პერსონალური გამოფენა ყოფილა მხატვრის ნამუშევრებისა — გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გამოფენები ჰქონია თბილისში, ბათუმში, ქუთაისში... მის შესანიშნავ ფერწერას იცნობენ მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, ლვოვში, ხარკოვში, ტალინში... კანადაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, ინგლისში, არგენტინაში, ესპანეთში, პოლონეთში... ავტორია რამდენიმე სპექტაკლის სცენოგრაფიისა ბათუმისა და ახმეტელის თეატრებში...

ამას ყველაფერს მიყვება ჩემი მეგობარი, ცნობილი მხატვარი **ნოდარ რურუა**, რომელმაც ამ დარბაზში მომიყვანა და ფრიად შთამბეჭდავი სანახაობის მოწმე გამხადა... შემდეგ იგი ელგუჯა ჩაჩავასაც მაცნობს... კეთილღიმილიანი, შუახნის კაცი დარბაზიდან ოდნავ „მოფარებულში“ წაგვიძღვა სასაუბროდ და სწორედ ასე გავიცანით (ჩემდა სამარცხვინოდ, აქამდე არ ვიცნობდი) ერთმანეთი...

**— იშვიათია, რომ მხატვრის მთავარი თემა სამშობლოს წარსული, დღევანდელობა, მისი სულიერება იყოს, ბატონო ელგუჯა...**

— აბაშამ შემაყვარა, ჩემმა აბაშამ!.. იქიდან „მოვედე“ მერე მთელ საქართველოს, ჩემო ბატონო, — ღიმილით ამბობს ელგუჯა, — მერე კი ჩემმა მასწავლებლებმა: დიმა ერისთავმა, ფარნაოზ ლაპიაშვილმა, ედმონდ კალანდაძემ, ლევან ცუცქირიძემ და, განსაკუთრებით — ზურაბ ნიჟარაძემ გამიძლიერეს ეს გრძნობა!..

**— ისე, „პიკოს“ ფერწერა გამახსენა თქვენმა ნამუშევრებმა...**

— რა გასაკვირია... „პიკოს“, ზურაბ ნიჟარაძის, ხელმძღვანელობით დავამთავრე სამწლიანი ასისტენტურა-სტაჟირებაც...

**— ეს სამხატვრო აკადემიაში, არა?**

— დიახ... ისე, სახვით ხელოვნებას სოხუმში, სამხატვრო სკოლაში ვეზიარე... ეს ის დრო იყო, უკვე რუსი და რუსული რომ „მეფობდა“ აფხაზეთში...



ხაჭაპურს არ გვაწვდიდნენ ბუფეტში, თუ რუსულად არ ეტყოდი... მერე ბათუმის ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ვიყავი. ბოლოს კი — თბილისში, აკადემიაში...

**— რით მოგაქვს თავი, როგორც მხატვარსა და შემოქმედს?**

— ერის, სამშობლოს სიყვარულით... ღვთის მოშიშობით...

**— ზოგიერთი თქვენი ახალგაზრდა კოლეგა ნამეტანი ღვთის მოშიშია... მეტი მაგათ რა ვუთხრა! არ ვიცი, თქვენ ნახეთ თუ არა — „ილიაუნში“ (ძველ „პუშკინში“) ჰქონდა გამოფენილი ამას წინათ ვიღაც ახალგაზრდა ქალს — ქუთაისელ ლია უკლებას „თვითმკვლელი ღვთისმშობელი“... ღვთისმშობელი თავს იკლავს, რადგან თქვენ არ ხართ ჩემი ღირსიო... წარმოგიდგენიათ?! ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ასეთი რა ჩავიდინეთ ქართველებმა, რომ ღვთისმშობელი გვსჯის?! — აი, ეს არის პატივცემული მხატვრის ჩანაფიქრი. ბევრმა მნახველმა გააპროტესტა, ის კი არა, უწმინდესმა და უნეტარესმაც კი გამოთქვა აღშფოთება... მერე რა? მგონი, როგორც ამბობენ, კულტურის სამინისტრომ, საყვედურის ნაცვლად, პრემიაც კი უბოძა ქალბატონ უკლებას!..**

— უწინ სამხატვრო საბჭოები იყო, ძმებო... საბჭო განიხილავდა, რა გამოეფინა და რა — არა... ახლა ვინღა კითხულობს სამხატვრო საბჭოს?! რაც გინდა — გამოფინე, რაც გინდა — დაწერე და დაბეჭდე!.. — **ერთვება ჩვენს საუბარში ნოდარ რურუა,**

— ჩვენი ახალგაზრდების უმრავლესობას კიდევ ეგ უნდა?! სული მომათქმევინეს ამ ნამუშევრებმა. ყოჩაღ, ჩვენო გუჯა!..

**...აგერ, ჩვენი შესანიშნავი ქალბატონი, ჟურნალისტი და ხელოვნებათმცოდნე ია ბაგრატიონ-მუხრანელი. აბა, იას ისე როგორ გავუშვებდი, რომ ერთი-ორი სიტყვა არ ეთქვა გუჯა ჩაჩავას შესახებ?**

— ბატონი ელგუჯა ჩაჩავა მხოლოდ ნიჭიერი გრაფიკოსი და ფერმწერი როდია, — **ამბობს ია,** — მან მახვილი თვალითა და მგრძნობიარე გულით ბავშვობიდან შეიგრძნო საქართველოს კუთხეების განუმეორებელი კოლორიტი, ბუნებისა და ძეგლების სიდიადე სამეგრელოსა და გურიაში, აფხაზეთში, აჭარაში, სვანეთში, ხევსურეთში. გურიის ლურჯი მთები, ქართლის ვარდისფერი მდელოები, სვანური კოშკები — ღირსებისა და ვაჟკაცობის ჯარისკაცები, ძველი ციხეები, დანგრეული ეკლესიები, ქართველთა სახეები მან ფაქიზი და მეტყველი ფუნჯით გააცოცხლა ფერწერასა და გრაფიკაში... მისი ფერწერა აზრისა და ემოციის შერწყმაა, გრაფიკა კი — სინაზის, ფორმის სიყვარულის გამოხატულება...

ელგუჯა ჩაჩავა ძალზე ნაყოფიერად და საინტერესოდ მუშაობს ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეებთან, ლიცეანტების ნამუშევრები მრავალგზის იყო დაჯილდოებული რესპუბლიკურ კონკურსებში... აქ დააარსა მან კალიგრაფიის კურსი, მისი ხელმძღვანელობით დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, ილუსტრირებული ტექსტის შექმნა, ყველა ლიცეანტის მონაწილეობით, — გვითხრა **ქალბატონმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა.**

**აბა, მეტი სხვა რაღა ვთქვა?!**

**რომ ვერ ვინატრებდი, ისეთი დღე იყო; შიგნით — ელგუჯა ჩაჩავას მრავალფეროვანი პალიტრა, გარეთ — მზე და სითბო...**

**ვილენ მარდალეიშვილი**


## ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი, ქართული ფიტოთერაპიის შემქმნელი და დამაარსებელი იური ბურდილაძე ფარმაკოლოგ დავით იაკობიძესთან ერთად მცენარეული პრეპარატებითა და ნანოტექნოლოგიით შექმნილი პრეპარატებით სრული განკურნების გარანტიით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, წყლულოვანი კოლიტი, საშვილოსნოს კისტა, კისტომა, კოქსართროზი, შარდის ბუშტის ანთება, ღვიძლის დაავადებები, ალერგიები, ფრონტიტი, პროსტატა, ადენომა, ნაწლავის პოლიპი, ასთმა, ლიმფურ კვანძთა დაავადებები, ჩიყვი, შაკიკი და სხვ.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, 597-00-12-77 — დავით იაკობიძე**
**მისამართი: მოსკოვის პროსპექტი №44 (საქართველოს ბანკის გვერდით)**



## ს ი ა ხ ლ ე !
## ტიბეტური მედიცინით მკურნალობა



ლიცენზია N 035121

- გასტრიტი, წყლული, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ბუასილი, ჭიებით ინვაზია
- იმპოტენცია, პროსტატიტი, გაძნელებული შარდვა, შარდ-კენჭოვანი დაავადება.
- ფიბრომა, მენსტრუალური ციკლის მოშლა, უშვილობა, მასტოპათია, გართულებული კლიმაქსი.
- უძილობა, მეხსიერების და შრომის უნარის დაქვეითება, ნევროზი, შიშები, დეპრესია.
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, ოსტეოპოროზი, ართროზები, სკოლიოზი.
- ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია
- წონაში დაკლება, სიმაღლეში ზრდა
- ალერგია
- ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

მკურნალობის შერჩევა ინდივიდუალურად გენეტიკის, სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

☎ 599-54-18-30, 0790-98-63-33



## სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე:

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

**ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)**
**მის: აღმაშენებლის 154 «მწვანე ოფისი»**



## სიმაღლეში მომატება!

**გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?**



დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35



## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894